კვირის პალიტრა

გზა

№20(153) 15/V.-21/V.2003. ფასი 60 თ.

„გზის“ რედაქტორი: გიორგის ძალა საკუთარ თავზე გამოვცადე...

ოთხი წლის გოლიათი ჯერზე ერთ დედალს მიირთმევს და ყაბარდოელ ფალავანთან შესახვედრად ემზადება

1168
2003

მას სუპერმოჭიდავედ ზრდიან

პრობლემა: პრესა, ფული და თავისუფლება

დროებითი ფეხმძიმობა კრიმინალურ კლიპში

გულუბრყვილო ბუმბერაზი, მოტყუებული ცოლი და „ჩაწყობილი“ ავტომობილი

ემილიკა

ესტრადა შოუ

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘ
№20 (153)
15 - 21 ᲛᲐᲘᲡᲘ 2003
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ, ᲙᲔᲗᲘᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲓᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲑᲚᲝᲪᲐᲕᲗ!.. 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲭᲠᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ 6
ᲗᲔᲛᲐ
ᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ – 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲗᲣ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ? 8
ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ
ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ ᲣᲖᲦᲕᲐᲕᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ 10
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲪᲜᲔᲡ 12
• „ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲜ 13
• „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲠᲘᲜᲫᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲐᲩᲔᲮᲐ 14
• ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲨᲐᲒᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ 15
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ?.. 16
ᲡᲐᲮᲔ
ᲑᲐᲡᲐ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲞᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ 18
ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ
„ᲓᲐᲔᲛᲣᲭᲠᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ – ᲘᲡᲔᲗ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲒᲘᲖᲠᲓᲘ, ᲗᲐᲕᲑᲔᲓᲡ ᲒᲐᲬᲧᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲝ...“ 20
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 21
ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲔᲑᲘ
ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲕᲘᲚᲝ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲘ, ᲛᲝᲢᲧᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ „ᲩᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ“ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ 22
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 26
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲣᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲗ ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲰᲔᲛᲝᲠᲝᲘᲓᲣᲚ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ 26
ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲛᲘᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲛᲣᲠᲐᲑᲘᲡ ᲒᲔᲛᲝᲡᲐᲕᲘᲗ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ 30
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲜᲐᲓᲘᲠᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲚᲘ? 32

ᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ – 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲗᲣ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ?

მოახლოებული არჩევნების ფონზე განსაკუთრებით იზრდება მასმედიის საშუალებებზე ზეწოლის მცდელობა. საამისოდ ხელისუფლებას ისეთი ბერკეტი აქვს ხელთ, როგორიცაა საგადასახადო კანონი, რომლის საშუალებითაც მედიისთვის ყურში აქვს ხელი ჩავლებული.

8

ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ – ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ



ის უკვე 50 კგ-ს იწონის და სიმაღლით 120 სმ-ია. გიოს შინ მაშინ ვესტუმრეთ, როცა ვახშმობდა. პურის მოზრდილი ნაჭერი და ნახევარი ქათამი ედგა წინ. ისე სწრაფად შეჭამა, რომ გაოცებულები დავრჩით. შემდეგ მოითხოვა: ნაყინი მიყიდეთო და ეზოში სათამაშოდ გაიქცა.

10

„ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝᲡ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲜ

თვითმხილველთა თქმით, ირაკლი მჭედლიშვილს ხელიდან ახალგაზრდა გოგონა დაუსხლტა. ეს უკანასკნელი, საჩქაროდ, იქვე მდგარ მიკროავტობუსში შევარდა, შეშინებული, ავტომანქანის უკანა სავარძლებს ამოეფარა და მძღოლს შეევედრა: ჩქარა, დაძარით მანქანა, მიშველეთო!

13

ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲕᲘᲚᲝ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲘ, ᲛᲝᲢᲧᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ „ᲩᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ“ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ



ჩვენი მოკარნახე სონია ბის პირველ კულისებში. ფარდა ტანზე შემოუხვევია და სძინავს... წამოვიდა ფარდა გრიალით, ეს ჩვენი სონია ბურთიერთ შემოაგდო სცენაზე. ორ-სამჯერ გადაკოტრიალდა, კაბა თავზე წამოეცვა და მწვანე ფერის პერანგის ამხანაგის დანახვაზე კინაღამ გონება დავკარგეთ.

22

ტაძარი

როგორ მოვიქცეთ ჯადოს ადმოჩენის შემთხვევაში? 34

თარიღი

„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია...“ 35

ეკრანი

ტელევიზია, რომელიც ამცირებს ადამიანებს 40

რომანი

რუსულან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

ეშლი ჯადი: „მსახიობობაგე არასდროს მიოცნებია, პერსონაჟთა ცხოვრებით ბავშვობიდანვე „ვცხოვრობდი“ 46

საფეხბურთო მინდვრებზე 49

ავტო 50

ფავორიტები

ბექჰემომანია 51

შოუბიზნესი 52

ვიზაჟისტი

ვინ ალამაგებს პოლიტიკოსებსა და ვარსკვლავებს ტელეეკრანზე გასვლამდე? 55

ბომონდი 56

პრეზენტაცია

ნიკო გომელაურის აუდიოკრებული 56

ჯანმრთელობა

- თქვენი პატარა 57
- ქრონიკული პიელონეფრიტი 58
- რეგერვი თუ ჩიხი 59

შფოთისთავები

ოლივერ კანი: „მე წმინდანი როდი ვარ!“ 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (19-25 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორია თქვენი თვითშეფასება? 63

გადასალებ მოედნებზე 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გორა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია...“

სტალინმა გაგრაში ყოფნისას, პარტორგანიზაციის კრებაზე გამოსვლის დროს თქვა: „ეს გამსახურდია ძალიან ბევრ უფლებას აძლევს თავს. იგი უნდა ავლაგმოთ“. შემდეგ ბერიას შეხედა და წარმოთქვა: „მაგრამ ისე კი არა, თქვენ რომ იცით ზოგჯერ...“

35

როგორ ვუმკურნალოთ ბუასილს და სხვა ჰემოროიდულ დაავადებებს

როგორც ექიმები ამბობენ, საქართველოში ჰემოროიდულ დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებული, ბუასილია. სამწუხაროდ, პაციენტების 95% ექიმს გვიან აკითხავს – მაშინ, როდესაც დაავადება უკვე შორს წასული ფორმით ვლინდება და მკურნალობაც გართულებულია.

26

მსახიობობაზე არასდროს მიოცნებია, პერსონაჟთა ცხოვრებით ბავშვობიდანვე „ვცხოვრობდი“

ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ მსახიობს ამ ფილმში მონაწილეობისას საკუთარ პრინციპებთან კომპრომისზე წასვლა მოუხდა, რადგან ეშლი ეკრანზე გაშიშვლდა. მაგრამ თავად ჯადი ასე როდი ფიქრობს.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

წელში ოთხად მოკეცილი გიგო იატაკზე ეგდო და სიმწრისგან იკლაკნებოდა, თავზე კი პირგამეხებული გიგოლა აღგა:

– ქალზე ხელი როგორ ასწიე, შენი დედა... – უღრიალა გიგოლამ გიგოს და წიხლიც ჩააგილა:

– მოკვდი, შენი!..

42

დაეხმარეთ, კეთილი ხალხი, ღმერთი დაგლოცავთ!..



სად არ ვარ ნამყოფი – ევროპის, აზიის, ავსტრალიისა და ამერიკის გარდა, მაგრამ ჩვენნაირი გენიოსი და თავმდაბალი ერი არსად შემხვედრია!.. წაგვჭამეს თავი ტრაბახით ბერძნებმა: „ვანაში“ ჩაწოლისას წყალი რომ ამოიქცა, არქიმედემ ამომგდები ძალა აღმოაჩინაო... დიდი ამბავი! ჩვენც ვწვებით „ვანაში“ და გვექცევა წყალი, მაგრამ ქვედა მეზობელმა თუ არ იყვირა, ჩვენ რავა ამოვიღებთ ხმას?! ახლა ნიუტონი გავიხსენოთ: ხომ გადაგვაყოლეს – ვაშლი დაეცა თავში და მსოფლიო მიზიდულობის კანონი დაწერაო!.. აუ, რა მომხდარა!.. თქვე დალოცვილებო, შარშან ისეთი მიწისძვრა გვქონდა, რომ ვაშლი კი არა, სინკარები გვეცემოდა თავში და ჩვენც აღმოვაჩინეთ, მთავრობის ფეხებზე დაკიდების კანონი, მაგრამ ხომ არ შეგვიწუხებიხართ ბაქიაობით?! და საერთოდ, კანონებზე თუ მიდგა საქმე, კანონებს ჩვენი მთავრობა რომ იღებს, ისეთი უნდა – თმა ყალყზე დაუდგება კაცს! ან სულაც, მარადისობის კანონი ავიღოთ, ჩვენმა პრეზიდენტმა რომ აღმოაჩინა, – თქვენი F=ma – დაუდგება წინ?! სასაცილოა მოკლედ!.. არქიმედეს ამომგდები ძალა ვიღას უკვირს დღეს? ამომგდებ ძალაზე კი არა, ხელისუფლების ჩამომგდებ ძალაზე მუშაობენ უკვე ჩვენი დიდი მეცნიერები: ჟვანია, სააკაშვილი, გაჩეჩილაძე, ნათელაშვილი და საშემოდგომოდ შედევრსაც გვპირდებიან. მეტი გენიოსობა და თავმდაბლობა რაღა გინდათ?

მიტომაც გვაქვს აწყობილი ქვეყანა, რომელიც ზუსტად ორი საჭირო ფენისაგან შედგება: ჩაქცეულები და დაქცეულები – მეტი არცაა საჭირო. ცოტათი ჩაქცეულებს გაუჭირდათ ამ საარჩევნოდ და ისეთი დაბნეულები არიან, რომ საფერფლეებისა და ვაზების სიმტკიცეს ერთმანეთის თავებზე ამოწმებენ, მაგრამ აქა ვარ მე! დავეხმარები სუყველას...

დახმარების ორიგინალური ფორმაც მოვიფიქრე, გაჭირვების ტალკვესივით რომ დაეხმარებათ საარჩევნო კამპანიაში, თანაც, მკითხველს ისე მოეწონა, წინა ნომერში ჩემ მიერ შეთავაზებული რემიქსები, რომ „ზაკაზი ზაკაზზე“ მოდის. სიმღერას ქართველი კაცისთვის ყოველთვის ჰქონდა ჯადოსნური ძალა. მას ხომ გულქვა დევის ატირებაც შეეძლო და ბოროტი დედინაცვლის გულის მოლბობაც. ჰოდა, თითო კარგი სიმღერა რომ მივცეთ ჩვენს პოლიტიკოსებს, რომელი ამომრჩეველი ეტყვის უარს ხმის მიცემაზე?!

დავიწყოთ თავიდან: გავიხსენოთ ლელა წურწუმიასა და ზურა დოიჯაშვილის დუეტი, რა ტკბილი სიმღერაა, რა ტექსტი, რა მელოდია? ახლაც კურცხალი მინამავს თვალ-წარბ-წამწამებს... ჩემო ლელა და ზურა, ნუ მეტყვით უარს – მიეცით „მოქალაქეთა კავშირს“ საარჩევნოთ თქვენი სიმღერა – „ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი!“ გარწმუნებთ – მალამოსავით დაედება გულზე, მრავალგზის გაწბილებულ მოსახლეობას ეს სიტყვები და კიდევ ერთ შანსს მისცემს მმართველ-პერსპექტიულ პარტიას...

ბარემ „ფორტეც“ უნდა შევაწუხო და ერთი კარგი სიმღერა მასაც ვთხოვო, ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილისთვის. უმორჩილესად გთხოვთ, ქალბატონო ნუცა – მივცეთ ის სიმღერა ბატონ ვახტანგს – მისწრებაა ახლა მაგისთვის, პრეზიდენტს რომ უმღეროს – „თვალი სხვისკენ თუ გამირბის, განა მართლა გაგცვალე!..“

ახლა ზემოთ აღნიშნული ხალხის გაერთიანებასაც მივხედოთ – „ახალი საქართველოსათვის“. ჯერ მარტო, სახელი აქვთ ისეთი, რომ გული თვითონ ითხოვს სიმღერას. ითხოვს და ჩვენი დათო ხუჯაძეც აქ არ არის?.. ძმაო, დათო, კი ვიცი, შენი მათდამი დამოკიდებულება, მაგრამ შენს კეთილ გულზეც ხომ ქვეყანა ლაპარაკობს! თანაც, ანგელოზივით ბიჭი ხარ, მაინც არ შეგეფერება შენ ეგ სიმღერა და მიეცი სამთავრობო ბლოკს! ზედგამოჭრილია მათთვის, დამდურებული მოსახლეობის გულის მოსალბობად. თანაც მობოდიშებისა და დანაშაულის აღიარების ტონიც იგრძნობა. ჰოდა, მიეცი – „მახინჯი ვარ, მაგრამ შენთვის გავკარგდები“ – და ღმერთმა ბიულეტენებში მოახმაროთ...

დედა, რა ბიჭები მრჩებიან უსიმღეროდ! რა მოვუფიქრო ახლა მაგათ?.. უი, გამახსენდა, მანანა თოდაძის რეპერტუარში მეგულება ერთი კაი „ვეშჩი“... ქალბატონო მანანა, ერთი სიმღერით მეტი გექნებათ თუ ნაკლები, ამით თქვენს პოპულარობას არაფერი მოაკლდება და აჩუქეთ სააკაშვილსა და ჟვანიას – „კმარა(!) არ გვინდა მეტი“, ხო, ხო, ხო, რას დახატავს დუეტში!..

ტკბილი ლუკმა ბოლოსთვის მოვიტოვე. ამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, აღარც საპრეზიდენტო არჩევნებამდე რჩება დიდი დრო და კაცს ხომ უნდა რაიმე „კანცოვკის“ სიმღერა?!. ამიტომ, ბატონო თემურ, (წიკლაურს მივმართავ) 35 წელია, „ივერიაში“ ჟღერს და გვხიბლავს თქვენი ხმა. ჰოდა, ის კაციც „პაჩტი“ 35 წელია გვხიბლავს მისი „მონკალით“. მართალია, თქვენსავით მჭექარე ხმა არა აქვს – უფრო მოგუდულს მღერის და ჩვენც მოგუდვის პირას ვართ მისულები, – ამიტომ, თქვენს კეთილს გულს ვენაცვალე, მიეცით და იმღეროს – „გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ!“

არ მოვაკვარახჭინე ხუთი „პესნათი“ საქმე?! აი, ასეთი ძალა აქვს სიმღერას!

P.S. მონადირე მეთევზეს ეტრაბახება:

– ნადირობისას დათვი შემეფეთა, თოფმა მიღალატა, ხანჯალი წამართვა, რა უნდა მექნა? ჯიბეში სალამური აღმოვაჩინე, ამოვიღე და დაკვრა დავიწყე სიმწრისგან... ვხედავ, გადარეული დათვი მოლბა, კუნძზე ჩამოჯდა და მთელი საათი მისმინა.

მეთევზე:

– არ მითხრა ახლა, დაკვრა რომ დავამთავრე, ტაში დამიკრაო!..

პროვოკატორი

„საქართველოში ატიპური პნევმონიის ვირუსის შემოსვლა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია...“

— რატომ უკავშირებთ ერთმანეთს ატიპური პნევმონიის ვირუსის საფრთხეს და 2 ნოემბერს საქართველოში დაგეგმილ არჩევნებს? ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ხელისუფლება ვირუსის შემოჭრის მომიზეზებით ჩაშლის, როგორც თქვენ ამბობთ, „მისთვის არასასურველ არჩევნებს“?

იოსებ შატბერაშვილი, თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

— მართლა რეალური საფუძველი აქვს ამ განცხადებას და მართლა არსებობს საშიშროება, მსოფლიოში ატიპური პნევმონიის ვირუსის გავრცელება, საქართველოში 2 ნოემბერს დაგეგმილი არჩევნების ჩასაშლელად გამოიყენონ. რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ქვეყანაში ამ ვირუსის შემოჭრის შემთხვევაში, საარჩევნო უბნები, ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით, საკმაოდ საშიში იქნება. საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის გახანგრძლივებას და ამიტომ ატიპური პნევმონიის ვირუსის შემოსვლა მისთვის ხელსაყრელიც კი იქნება. მართალია, ჯანდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოში ამ ვირუსის გავრცელების შიში უსაფუძვლოა და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ქვეყანაში მისი შემოღწევა, მაგრამ არა მგონია, საზღვრებზე გაძლიერებულმა სამედიცინო კონტროლმა ხელისუფლების სურვილზე რაიმე გავლენა იქონიოს. ხელისუფლებას კი სურს, ნებისმიერი საბაბითა თუ მიზეზით არჩევნები ჩაშალოს. ■

„ჩვენ არ ვართ ძველი ბიჭები და არც საფერფლეებს ვაგროვებდით...“

— ნუთუ სიმართლეა, რომ სოციალისტებს პრეზიდენტმა გადაგაფიქრებინათ „გაერთიანებულ დემოკრატებზე“ დაგეგმილი შურისძიება? ამბობენ, საფერფლეები შეგროვებული გქონდათ, მაგრამ მათ გამოყენებას აღარ აპირებთ...

ირაკლი მინდელი, საპარლამენტო ფრაქცია „სოციალისტის“ თავმჯდომარე:

— არავითარ შურისძიებას არ ვგეგმავდით და არანაირ საფერფლეებს არ ვაგროვებდით. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პრეზიდენტმა თავისი რეაქცია უკვე გამოხატა. მან განაცხადა, რომ საქართველოში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ურთიერთდაპირისპირება. ჩვენ მართლაც, ამიტომ გადავწყვიტეთ გაჩუმება. მართალია, ბევრი ამბობს, რომ რაც „დემოკრატებმა“ გააკეთეს, ამის პატიება არ შეიძლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არაფერს მოვიმოქმედებთ. თუ ვინმე, ამ ფაქტს ძველბიჭური გაგებით მიუდგება, მაშინ ამ საკითხს სხვა განმარტებას მივცემთ, მაგრამ ამ თემაზე მხოლოდ ძველმა ბიჭებმა უნდა ილაპარაკონ. ჩვენ კი, არა ვართ ძველი ბიჭები — ჩვენ პარლამენტის წევრები ვართ და მოვლენებს მხოლოდ კანონიერების პრიზმაში ვადევნებთ თვალყურს. იმ დღეს, რჩეულიშვილის გარდა, სხვა ადამიანის სისხლიც დაიღვარა. ასე რომ, ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა და არც იმის მომხრე ვარ, რომ პოლიტიკური საკითხები ქუჩური წესებით გავარჩიოთ. ■

„საწარმოებს ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ფულის საარჩევნო ფონდში შეტანას აიძულებენ“

— რამდენად შეეფერება სინამდვილეს ის ინფორმაცია, თითქოს სახელმწიფო საწარმოებს, ბიუჯეტის ნაცვლად, ფინანსური სახსრების სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო ფონდში შეტანა დაევალათ?

რომან გოცირიძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:

— ეს ინფორმაცია მე გავავრცელე და აბსოლუტურად შეესაბამება რეალობას. სახელმწიფო საწარმოები იმ თანხას, რაც ბიუჯეტისთვის იყო განკუთვნილი, საარჩევნო ფონდში შეიტანენ. სახელმწიფოს 100-პროცენტიანი ხვედრითი წილით ფორმირებულმა საწარმოებმა, მიმდინარე წელს, დივიდენდების სახით 8 მილიონი ლარი გაიღეს — მაშინ, როდესაც შესაბამისი გეგმა 11 მილიონ ლარს უდრიდა. ყველა სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელი, ვინც საზოგადოების კუთვნილ თანხებს სახელისუფლებო ან სხვა ნებისმიერ საარჩევნო ბლოკში შეიტანს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თანამდებობას დატოვებს ან დაპატიმრებული იქნება. ჩემი აზრით, სახელისუფლებო ბლოკი, რომელიც არაკანონიერი ფინანსებით აპირებს, საარჩევნოდ გამოიკვებოს, არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, რადგან ისტორიას თავისი კანონები აქვს და აღარც მოსახლეობა იქნება ისეთი ინდიფერენტული არჩევნების გაყალბების მიმართ, როგორიც უწინ იყო. ■

„სოსო ალავიძის კანდიდატურას მომავალ არჩევნებში ერთ-ერთ ვარიანტად განვიხილავ“

— ამბობენ, თქვენ მიერ რუსთავში სამუშაოდ მიწვეული, თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი, სოსო ალავიძე საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და დეპუტატობას აპირებს. ეს იდეაც თქვენ ხომ არ გეკუთვნით?

მერაბ ტყეშელაშვილი, *რუსთავის მერი:*

— როგორც ვიცი, თავად სოსო

ალავიძე ამბობს, რომ გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე ჯერ არ მიუღია. მეც ვეთანხმები მას და ვაცხადებ, რომ კანდიდატურების შესახებ საუბარი ჯერ ნაადრევია. სოსო ალავიძის კანდიდატურას მომავალ არჩევნებში, ერთ-ერთ ვარიანტად განვიხილავ. თუ სოსო გადაწყვეტს, რომ რუსთავიდან იყაროს კენჭი, მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება. სხვა კანდიდატიც მრავლადაა, რომელთანაც უკვე მქონდა საუბარი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი აუცილებლად იყრის კენჭს. არჩევნებამდე დიდი დროა დარჩენილი. ყველა პარტიამ ძალიან ადრე დაიწყო მზადება და არ ვიცი, როგორ მიატანენ ბოლომდე — ძალიან დიდი ტემპი აქვთ აღებული... ჩემი აზრით, ჯერ რუსთავში გვაქვს საქმე საკეთებელი, რომ შემდეგ, პირნათლად წარვდგეთ მოსახლეობის წინაშე. თუ ახლა არაფერი გავაკეთეთ და მოსახლეობას არაფერი დავანახვეთ, გინდ გვყავდეს მაჟორიტარი და გინდ არა — ამას მნიშვნელობა აღარ ექნება. ■

„ჩვენი ხელისუფლება კომპრომატების ომის წამოსაწყებად ემზადება“

— გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება უცხოელი იმიჯმეიკერების ჩამოყვანას და ოპოზიციური ლიდერების საწინააღმდეგო, ე.წ. პიარული კამპანიების წარმოებას გეგმავს. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამასთან დაკავშირებით?

სანდრო ბრეგაძე, *პარლამენტარი:*

— ამის შესახებ მოგვეპოვება ინფორმაცია. ქვეყანაში წინასაარჩევნო დესტაბილიზაცია ხელისუფლების ინტერესებშია. მაგრამ ეს არ არის მათთვის საკმარისი და ისინი უცხოელი პიარ-კომპანიების დიდოსტატი იმიჯმეიკერების ჩამოყვანასაც გეგმავენ. ვთქვათ, რომელიღაც ოპოზიციურ ლიდერს, სადღაც რესტორანში პროვოკაციას მოუწყობენ, რაც ხელისუფლება-ოპოზიციას შორის მძაფრი დაპირისპირების საფუძველი გახდება. იმიჯმეიკერები, პროვოკაციის დიდოსტატები რომ არიან, ამაზე რუსულ ისტებლიშმენტში დატრიალებული მრავალი მაგალითი მოწმობს. ჩვენი ხელისუფლება, როგორც ჩანს, აქტიურად ემზადება კომპრომატების ომის წამოსაწყებად. ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის მცდელობა კი, ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. ■

გივი ბერიკაშვილს იუბილეს ვიწრო წრეში უსდიან

— ბატონო გივი, 15 მაისს თქვენი დაბადების დღეა. რამდენი წლის გახდით, ხომ არ გაგვიმხელთ?

გივი ბერიკაშვილი, *მსახიობი:*

— 70 წლის გავხდი, მაგრამ არ მაქვს იუბილარის განწყობილება. მგო-



ნია, რომ იუბილეების გადასახდელად ნამდვილად არ გვაქვს საქმე: ხომ ხედავთ — ქვეყანა ლამისაა, თავზე დაგვემხოს, ერთმანეთს დაუნდობლად ვხოცავთ, ვაფეთქებთ, ვემუქრებით. ასეთ ფონზე, იუბილეს კი არა, არაფრის გაგონება არ მინდა.

ჯემალ გაღაშვილი, *შოუბიზნესცენტრ „ლომისის“ ხელმძღვანელი:*

— აი, ასეა — ჩვენს საყვარელ გივის 70 წელი შეუსრულდა, მაგრამ იუბილეს გადახდაზე კატეგორიული უარი გვითხრა. ამიტომ გადაწყდა, რომ მისი დაბადების დღე ვიწრო წრეში აღვნიშნოთ და შემდეგ მოვამზადოთ სატელევიზიო გადაცემა, რომლის ნახვის საშუალებაც ექნება ყველას — ვისაც გივი ბერიკაშვილი უყვარს. ■

„კანონიერი ქურდების 70% ხელისუფლებისთვის მუშაობს“

— ბატონო შალვა, თქვენ აცხადებთ, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში დიდ როლს ითამაშებენ ე.წ. კანონიერი ქურდები. საიდან მოდის ეს ინფორმაცია?

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

— შემიძლია გითხრათ ის, რომ მათი მობილიზება უკვე დაიწყო. ახლა მიმდინარეობს მათი „დაჭერობანას თამაში“. ეს არის დაშინების პირველი ეტაპი, რომლის დროსაც მათ ეუბნებიან: თუ არჩევნებისას არ დაგვეხმარებით, გაგანადგურებთო. ჩამოიყვანენ უცხოეთიდან ქურდებს და დაავალებენ — ამა და ამ რაიონში სიტუაცია გააკონტროლეთო... შევარცხვინე ისეთი კანონიერი ქურდი, რომელიც ხელისუფლებას „შეუძვრება“!.. კანონიერ ქურდებთან თანამშრომლობს ხელისუფლების ძირითადი ნაწილი. ასეთი თანამშრომლობით მათ თავი შეირცხვინეს 1995, 1999 და 2000 წლების არჩევნებში. ქურდების დაახლოებით 70%, ხელისუფლებაზე მუშაობდა. რაც შეეხება ქუჩის კრიმინალებს — ისინი არჩევნების დროს „მოქკავშირის“ მიერ ნარკოტიკებით მარაგდებოდნენ. ■

„კლიპის გადაღებას ისევ ზაზა ორაშვილს ვანდობ“

— ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ პირველად, რიყეზე გამართულ კონცერტზე გამოჩნდით. როგორც შევიტყვეთ, თქვენ და თქვენი გოგონა ლიზი, ახალ სიმღერებზე მუშაობთ.

მაია ჯაბუა, მომღერალი:

— ძალიან კმაყოფილი დავრჩი რიყეზე გამართული კონცერტის ორგანიზებულობით: კარგი სცენა, კარგი განათება, კარგი ეფექტები, ხარისხიანი აპარატურა და ბევრი მსმენელი — რა სჭირდება მომღერალს მეტი?! „მზიურიდან“ ღია ცის ქვეშ სიმღერის დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული. რუსეთშიც ხშირად ვმონაწილეობდი „პლაშჩატკებზე“ გამართულ კონცერტებში. ამ დროს, ზღვა ხალხიდან ძალიან დიდი ენერგია მოდის. ამჟამად ვმუშაობ სოლო სიმღერაზე, რომლის არანჟირებასაც ზურა მახნიაშვილი აკეთებს. ეს სიმღერა ეკა კახიანმა დაწერა და ძალიან მომწონს. ვფიქრობ, 2 კვირაში დავამთავრებთ ჩაწერას. რაც შეეხება ჩემს ქალიშვილს — ლიზი, დათო ევგენიძის ძველ სიმღერას შეასრულებს — იმ სიმღერას, რომელსაც მე 15 წლის წინ ვმღეროდი. ლიზი, რა თქმა უნდა, ახალი არანჟირებით წარდგება მსმენელის წინაშე და ამ დღეს მოუთმენლად ელოდება. მისთვის მუშაობის პროცესი საერთოდ არ არის დამღლელი, რეპეტიციები და სტუდიური ჩაწერები დიდ სიამოვნებას ანიჭებს. როცა ახალი სიმღერები უკვე მზად გვექნება, ვნახავ, რა გამოგვივიდა და მერე გადავწყვეტ, გადავიღებთ თუ არა კლიპს. კლიპის გადაღებას ალბათ ისევ ზაზა ორაშვილს ვანდობ. საერთოდ, ძალიან მიჭირს სიმღერის არჩევა და ამით არის განპირობებული ის, რომ ხშირად არ ვწერ ახალ სიმღერებს. ■

ავსტრალიაში მემორიალს აუშენემენ ომის დროს დაღუპულ შინაურ ცხოველებს

პროექტის განხორციელებაზე ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოება იზრუნებს: საამისოდ ხელისუფლებამ 340.000 ავს-

ტრალიური დოლარი ($214.000) გამოყო. საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მონუმენტი მიეძღვნება იმ ცხენების, ვირებისა და აქლემების ხსოვნას, რომელთაც ომის დროს სამხედროები გამწევ ძალად იყენებდნენ; მტრედებისას, რომელთაც ფოსტა გადაჰქონდათ და ქიმიური იარაღის აღმოჩენას აკისრებდნენ; ძაღლებისას, რომლებიც ნაღმებს ეძებდნენ და მტერზე ნადირობდნენ. ■

პატიმარმა ცოლთან ყოფნას ციხე ამჯობინა

40 წლის იტალიელმა პატიმარმა, რომელიც ციხის უფროსმა ხანმოკლე შვებულებაში გაუშვა, ვერ გაუძლო ცოლთან 72-საათიან პაემანს, რამდენიმე წუთის შემდეგ, „მშობლიურ“ ციხეში დარეკა და უკან წაყვანა ითხოვა. ციხის პერსონალმა ასეთი თხოვნა პირველად მოისმინა. ჩვეულებრივ, პატიმრები შვებულების გახანგრძლივებას ითხოვენ ხოლმე. სატელეფონო ზარიდან რამდენიმე საათის შემდეგ, პატიმარი ციხეს დაუბრუნდა. ■



ᰰᲐᲐᲒᲐᲨᲘ ᲥᲕᲘᲨᲘᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲛᲐᲗᲐ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ეს საერთაშორისო ფესტივალი უკვე მეცამეტედ ტარდება. 6 ქვეყნიდან ჩამოსული მოქანდაკეები ᰰᲐᲐᲒᲘᲡ მახლობლად, სქეიფენინგენის პლაჟზე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებს, ადამიანების და ცხოველების გამოსახულებიან ქანდაკებებს ააგებენ. ფესტივალის თემაა – „სიჩქარე“. პლაჟს უკვე 11 სილის ქანდაკება ამკობს, რომელიც სხვადასხვაგვარად გამოსახავს XXI საუკუნის სწრაფი ტემპის იდეას. ქანდაკებებს შორისაა: სწრაფი მატარებელი, მოტოციკლეტი, ჩვეულებრივი ოჯახი და ადამიანი, რომელიც ცხოვრების ამ აჩქარებულ ტემპს ციხესიმაგრეში აფარებს თავს. ორგანიზატორებმა პლაჟზე 135 ტონა სპეციალურად დამზადებული მდინარის სუფთა ქვიშა მიიტანეს, რომელიც გაშრობის შემდეგ, დიდხანს ძლებს. ფიგურები პლაჟზე მაისის ბოლომდე უნდა დარჩეს. ფესტივალი, უკვე დიდი ხანია, ᰰᲐᲐᲒᲘᲡ ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იქცა. იქ მის სანახავად ყოველწლიურად 350000 ტურისტი ჩადის. ■

2 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲟᲛᲐ ᲓᲔᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᰰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲣᲜᲐᲡ – ᲙᲝᲜᲝᲠ ᲤᲠᲐᲜᲙᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲔᲞᲘᲚᲔᲤᲡᲘᲘᲡ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲣᲡᲕᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ. ᲑᲝᲚᲝ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘ, ᲛᲐᲜ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲝᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲔᲠᲪ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ, ᲨᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ – 999-Ს ᲐᲙᲠᲔᲑᲐ. ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲧᲕᲘᲠᲝᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ: „ᲓᲔᲓᲐ, ᲓᲔᲓᲐ!“ – ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ. ᲓᲔᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲡ. ᲙᲚᲔᲠ ᲢᲔᲘᲚᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲑᲘᲭᲣᲜᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐ. ■

ᲐᲡᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲗᲐᲕᲡ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲓ ᲐᲡᲐᲦᲔᲛᲓᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ 22 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ, ᲗᲐᲕᲡ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲓ ᲐᲡᲐᲦᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐ ᲡᲣᲠᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲢᲧᲣᲔᲑᲚᲐᲓ, ᲛᲐᲜ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ, ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲩᲐᲘᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲙᲘ ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲐ. ᲘᲓᲔᲐ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲐ. ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲐ ᲫᲛᲐᲛ ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲦᲬᲘᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲪ ᲐᲘᲦᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ „ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲛ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲔᲭᲕᲐ... ■

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲡ 5 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲐᲓ ᲧᲘᲓᲓᲐ

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ-ᲡᲐᲘᲢᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲔᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲚᲔᲥᲡ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲟᲨᲘ 5 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲡ (8 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ) ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲬᲧᲓᲐ ᲐᲬᲧᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲐᲛ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ. ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ. ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲛᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲡᲐᲘᲢᲖᲔ 2 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲐ – ᲪᲔᲚᲥᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲨᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲘᲧᲝ: „ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲡ ᲛᲢᲕᲔᲠᲡᲐᲡᲠᲣᲢᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲮᲔᲠᲮᲔᲑᲐ ᲭᲣᲠᲭᲚᲘᲡ ᲠᲔᲪᲮᲕᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲯᲔᲠ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲐ. ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ... ᲤᲐᲡᲘ – 5 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ“. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲘᲚᲡᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲡᲐᲘᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐ. ■

ra sjobs _ 3 milioni Tu demokratia?

პრესა გადასახადებისგან გათავისუფლებას მოითხოვს

მოახლოებული არჩევნების ფონზე განსაკუთრებით იზრდება მასმედიის საშუალებებზე ზეწოლის მცდელობა. მის განსახორციელებლად კი, ხელისუფლებას ისეთი ბერკეტი აქვს ხელთ, როგორიცაა საგადასახადო კანონი. სწორედ ის კანონი, რომლის საშუალებითაც დამოუკიდებელი მედიისთვის ყურში აქვს ხელი ჩავლებული. პოლიტიკოსები, რომელთაც დღეს ისე სჭირდებათ მედიის კეთილგანწყობა, როგორც არასდროს, ხმამაღლა და საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას.

ნანა ქიბიშაური

თავისუფალი პრესის უფლებების დასაცავად, დაცვის აუცილებლობის შესახებ და მისთვის საგადასახადო შელავათის დაწესების აუცილებლობაზეც ლაპარაკობენ, მაგრამ შელავათი თავისთავად, დათმობას ნიშნავს. ხელისუფლება კი მეწარმეს ისე არაფერს დაუთმობს, თუ სანაცვლოდ რაღაც არ მიიღო მისგან. იმისათვის, რომ თავი აარიდონ კორუფციულ მოლაპარაკებას და ისე დაიხსნან პრესა საგადასახადო კორუფციისგან, თავისუფალი პრესის ასოციაციაში გაერთიანებული გამომცემლები და ჟურნალისტები ასეთი მორატორიუმის გამოცხადებას მოითხოვენ: დროებით – მანამდე, სანამ სახელმწიფო საგადასახადო კანონს დავხვეწთ, – პრესა გათავისუფლდეს ყოველგვარი დაბეგვრისაგან. დღეს არსებული კაბალური საგადასახადო კანონის თანახმად, ჟურნალისტების სახელფასო ფონდის ნახევარზე მეტი (53%) გადასახადებში მიდის. ამიტომ, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები ხშირად იძულებულნი ხდებიან, დამალონ რეალური ტირაჟები და კანონში სხვადასხვა ხვრელი მოძებნონ, რათა ელემენტარულად, არსებობა შეძლონ.

ვის სჭირდება კორუფციაში გასვრილი მასმედია? ან არის თუ არა მორატორიუმი იმის გარანტია, რომ გადასახადებისგან თავისუფალი პრესა ობიექტურობის ხარისხს გაზრდის? – ამ საკითხებზე ვესაუბრებით ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ დირექტორს ***სოსო სიმონიშვილს***.

– საგადასახადო კორუფციისგან პრესის დასახსნელად დაწყებულ მოძრაობაში, საგამომცემლო ბიზნესში ჩართული ადამიანებისა და ჟურნალისტების გვერდით, ბევრი პარლამენტარი დადგა, მაგრამ პრესის მიმართ საგადასახადო სამსახურის დამოკიდებულება ან ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმები, სასამართლო დევნა თუ სხვა სახის ზეწოლა, ისე არავის აღელვებს, როგორც თავად პრესის მუშაკებს. ამიტომ 40-მდე გამომცემელმა ერთმანეთთან საერთო ენა გამონახა და ისეთი პრინციპული საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც ყოველი გამოცემისათვის ერთნაირად პრობლემურია, თანამშრომლობა გადაწყვიტა. ეს ძალიან დიდი ძალაა. საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ჯამური ტირაჟის 80-90%-ს სწორედ ასოციაციაში გაერთიანებული გამომცემლების ჟურნალ-გაზეთები შეადგენს (აქ არ იგულისხმება კროსვორდები, სერიალები, ეროტიკული თუ სხვა, ნაკლებად გავლენიანი გამოცემები). ყველას ახსოვს, თუ საბჭოთა ეპოქაში, ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკას როგორი რეზონანსი და შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე. მერე, „წერე და იკითხეს“ სინდრომი დამკვიდრდა და ერთ გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკა



სოსო სიმონიშვილი

გულზე არავის ხვდებოდა, მაგრამ როდესაც არის შესაძლებლობა, რომ რაიმე პრინციპული საკითხის განხილვისას მთელი პრესა გაერთიანდეს და ერთი პოზიცია დაიკავოს, ეს უკვე ხელისუფლებისთვისაც დამაფიქრებელია საერთო პრობლემების ირგვლივ.

— ასოციაციაში გაერთიანებული გამოცემებისათვის რა არის დღეს ყველაზე მტკივნეული პრობლემა?

– პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ გავაუმჯობესოთ საერთო საინვესტიციო გარემო და გამოვხატოთ სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ, როდესაც ადგილი აქვს პრესის თავისუფლების დარღვევას. მაგალითად, ახლა, უშიშროებაში მუშავდება კანონპროექტი, რომელიც ექსტრემისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული, მაგრამ იქ პრესასთან მიმართებაში ისეთი პუნქტებია ჩადებული, რომ თუ უშიშროების საბჭოს რაღაც პუბლიკაცია არ მოეწონა, ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში, შეუძლია შეაჩეროს ან მთლიანად დახუროს გაზეთი. აი, ასეთი კანონპროექტებისა და გამოვლინებების წინააღმდეგ ვერთიანდებით. ერთად ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ არ შეიზღუდოს სიტყვის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობა.

— თქვენ მოითხოვთ, რომ პრესა გათავისუფლდეს გადასახადებისაგან. თქვენი ოპონენტები ალბათ იტყვიან, რომ საგაზეთო ბიზნესი საკმაოდ შემოსავლიანია; თუ არ დაიბეგრება გაზეთები, მოიშლება აღრიცხვიანობის სისტემა... და ა.შ. უფრო რეალური ხომ არ იქნებოდა, მოგეთხოვათ მხოლოდ შეღა-

დავით
გამყრელიძე

ვათები და არა მორატორიუმი?

— არჩევნების წინ შეღავათის თხოვნა ინტერესთა შეთანხმებას ნიშნავს. თავს ვერ დავაღწევდით კორუფციულ გარიგება-მოლაპარაკებაზე შემოთავაზებულ წინადადებებს. ის, რასაც ჩვენ ვითხოვთ, სცილდება ბიზნესისა და ეკონომიკის ფარგლებს. ეს უკვე პოლიტიკაა. ხელისუფლება კარგავს მასმედიაზე გავლენას, სამაგიეროდ, საზოგადოება იღებს უფრო ობიექტურ პრესას. უნდა გაკეთდეს არჩევანი დემოკრატიასა და იმ 3 მილიონს შორის, რომელიც პრესიდან შედის ბიუჯეტში. რაც შეეხება არგუმენტს — თითქოს პრესას აუცილებლად რაღაც ზეწოლის მექანიზმებით რეგულირება ესაჭიროება, რათა ის არ იყოს უხეში, არაეთიკური და ინტრიგებით აღსავსე — გიპასუხებთ: პრესა მორატორიუმის პირობებში თვითრეგულირებას მიაღწევს, რადგან ტირაჟს განსაზღვრავს არა პრესაში ჩადებული ფული, არამედ მკითხველი, მისი გემოვნება და გაზეთისადმი ნდობის ხარისხი.

ეს მოთხოვნა გარკვეულწილად წამოვიდა იმ ჟურნალ-გაზეთებიდან, რომელსაც მკითხველი ინახავს და ასე ვთქვათ, ტირაჟით ცხოვრობს. არის ისეთი გაზეთებიც, რომელიც პოლიტიკოსებისთვის იქმნება და არა მასობრივი მკითხველისთვის, ასეთი გაზეთის დაბეჭდვა კი მწარმოებელს ბევრად ძვირი უჯდება, ვიდრე მისი სარეალიზაციო ფასია.

ყოველ ცივილიზეულ ქვეყანაში გაზეთს ბოლოში მითითებული აქვს ტირაჟი, მაგრამ საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, გამომცემელი იძულებულია, დამალოს რეალური ტირაჟი. თუ ბიზნესმენს ავალდებულებენ, ყოველი 100 ლარიდან გადაიხადოს 60-70 ლარი, რა თქმა უნდა, ის დამალავს შემოსავალს. ეს უგუნური მექანიზმი შექმნეს იმისათვის, რომ გამომცემელს ჩაუნერგონ დამნაშავის სინდრომი. ადამიანისათვის ქრთამის გამოძალვა მხოლოდ მისი გამოუვალ მდგომარეობაში დაყენებითაა შესაძლებელი... მორატორიუმის დაწესებით შემცირდება პრესის კორუფციაში მონაწილეობის მოტივაცია და რომ არ არსებობდეს ეს „მოტივაცია“, მეწარმეს არ უნდა გადაახდევინონ იმაზე მეტი, ვიდრე „ბიბლიაშია“ ნათქვამი: ეს არის შემოსავლის მესამედი. მეოცე საუკუნეში ფრანგული წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა ეკონომისტმა ლაფერმა გამოთვალა, რამდენი უნდა იყოს ოპტიმალური, გონივრული გადასახადი და იმავე დასკვნამდე მივიდა. თუ არც „ბიბლიას“ დავუჯერებთ და არც მეცნიერებას, მივალთ იმ აბსურდამდე, რომელშიც დღეს ვიმყოფებით.

— როგორ ვიცი, პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე უკვე შედგენილია წერილი, სადაც მოითხოვთ, ეს საკითხი კოლეგიაზე იქნას განხილული. ხომ არ აღიქმება ეს, როგორც წინასაარჩევნო ზეწოლა, პოლიტიკოსებზე? ხომ არ უპირებთ, პრესის ფურცლებიდან იმ პარლამენტარებს განდევნას, რომლებიც თქვენს მოთხოვნას მხარს არ დაუჭერენ?

— არჩევნების წინ პრესა უფრო განიცდის პოლიტიკოსებისგან ზეწოლას, ვიდრე პირიქით. ფიზიკის კანონია, რომ ყოველგვარი ქმედება უკუქმედებას იწვევს. პარლამენტართა უმრავლესობა გვეთანხმება იმაში, რომ ის საგადასახადო კანონი, რომელიც დღეს მასმედიაზე ვრცელდება, სრული უგუნურებაა. ტყუილის მორევში კი, პრესა დიდხანს ვერ დარჩება. ჩვენ არ მოვითხოვთ შეღავათს — ჩვენ მოვითხოვთ დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმს, რომელიც დემოკრატიის, ობიექტურობისა და საღი აზრის ჩამოყალიბებას სჭირდება და იმედი გვაქვს, ამას მივაღწევთ კიდეც.

რას ფიქრობენ პრესის ფინანსური დამოუკიდებლობის შესახებ პოლიტიკოსები? დაუჭერენ თუ არა ისინი მხარს გადასახადებისგან მასმედიის სრულ გათავისუფლებას? გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს.

დავით გამყრელიძე:

— პრესას გარკვეული შეღავათები აუცილებლად სჭირდება. პრესისა და ტელევიზიის შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამა წარმოადგენს. მასმედიას ამ მხრივ თუ ზღუდავენ, ისინი იძულებულნი ხდებიან, რომელიმე პოლიტიკურ ძალას „დაეკიდონ“. ამით ანგარიშვალდებულნი ხდებიან დამფინანსებლის წინაშე, რაც მათ ობიექტურობას გამორიცხავს. რაც შეეხება იმას, რომ ჟურნალისტების სახელფასო ფონდის ნახევარზე მეტი გადასახადებში მიდის — ვფიქრობ, გადასახადის შემცირება მხოლოდ ჟურნალისტებისათვის, სხვა პროფესიის ადამიანების უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგან სხვა, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი იმავე საზომით იბეგრება. რა დააშავა ექიმმა, მასწავლებელმა ან სხვამ?.. თუმცა, არის კიდევ ერთი გარემოება: მაღალი გადასახადებისაგან შვება ჟურნალისტმა ჯერ საკუთარ თავზე უნდა გამოცადოს, რომ სხვისთვისაც იმავე შეღავათის მოსაპოვებლად იბრძოლოს...

კობა ამირხანაშვილი:

— პრესის ფინანსური დამოუკიდებლობის მომხრე ვარ, მაგრამ ეს ყველა გაზეთსა და ტელევიზიას არ ეხება. განსაკუთრებით მაღელვებს ის გარემოება, რომ წინასარჩევნო პერიოდში, ბევრ გაზეთში მიზერულ თანხებად იბეჭდება ე.წ. შეკვეთილი სტატიები და ინფორმაციები. ეს იმის ბრალია, რომ ჟურნალისტების შრომის ანაზღაურება ძალიან დაბალია. მე ჟურნალისტის მიერ გარკვეული თანხის აღებას კორუფციას არ დავარქმევდი. კორუფციაში მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირი შეიძლება იყოს ჩაბმული. ჟურნალისტის შემთხვევაში, ეს ჩვეულებრივი ქრთამის აღებაა, რაც თავისი საქმის ღალატს ნიშნავს. საგადასახადო შეღავათები მათ შემოსავალს გაზრდის და ეს ალბათ ჟურნალისტების ფინანსური მდგომარეობასაც დაეტყობა. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას ერთი მიზნით დავუჭერ მხარს — თუ ეს მასმედიის ობიექტურ მუშაობას წაადგება.

■

კობა
ამირხანაშვილი

გიორგი (გიო) ბიბილაური ჯერ ხუთი წლის არ გამხდარა, მაგრამ ის უკვე ნამდვილი გოლიათია — 50 კგ-ს იწონის და სიმაღლით 120 სმ-ია. გიოს შინ მაშინ ვესტუმრეთ, როცა ვახშმობდა. პურის მოზრდილი ნაჭერი და ნახევარი ქათამი ედგა წინ. ისე სწრაფად შეჭამა, რომ გაოცებულები დავრჩით. შემდეგ მოითხოვა: ნაყინი მიყიდეთო და ეზოში სათამაშოდ გაიქცა. თურმე თამაში ძალიან უყვარს, მაგრამ სათამაშოებს თვალის დახამხამებაში ამტვრევს. მის ტორებში პაწაწინა სათამაშოები ძალიან იოლად იმსხვრევა... გიოს შესახებ მისმა მშობლებმა — ქალბატონმა მაიამ და ბატონმა გიორგიმ რამდენიმე საინტერესო ამბავი მოგვითხრეს.

ოთხი წლის გოლიათი

უზღვავი ენერგიით გამოირჩევა

რისთვის ამზადებენ მას

ლელა ჭანკოტაძე

მაია ბიბილაური:

— გიორგი ბუნებით ძალიან კეთილია. როცა ეზოში სათამაშოდ ჩადის, ყვავილებს ეძებს, რათა დამიკრიფოს და მომიტანოს. ემჩნევა, რომ მისგან კარგი მეოჯახე დადგება. ქუჩაში თუ სარეცხის „შპილკას“ იპოვის, აუცილებლად სახლში მოაქვს: გამოგვადგებაო. ჭამა, რა თქმა უნდა, უყვარს.

— დაბადებისთანავე თუ ეტყობოდა გიორგის, ასეთი დიდი და ღონიერი ბავშვი რომ იქნებოდა?

— არა. რომ დაიბადა, ჩვეულებრივი ჩვილი იყო: სიგრძით 50 სმ, წონით კი — 3 კგ და 800 გ. მისმა დამ ნათომ პირველად ხელში რომ აიყვანა, თქვა: ვაიმე, ეს რა უშნო ძმა მყავსო! სინამდვილეში კი, ლამაზი ახალშობილი იყო. საოცრად ვარდისფერი ლოყები ჰქონდა, უკვე მაშინ პატარა გოჭს ჰგავდა. არც მერე შემიმჩნევია სწრაფი ზრდა ან მატება. 1 წელი და 5 თვე ვაწოვებდი ძუძუს, შემდეგ სამსახურში დავბრუნდი, ხან ბებიას, ხან მამას გიორგი ჩემთან „კალიასკით“ მოჰყავდათ, რომ მეჭმია. სამი წლიდან დაიწყო გასუქება. ჩემი უფროსი გოგონაც სამ წლამდე ისეთი გამხდარი იყო, ნაშიმშილარს ჰგავდა, მაგრამ მერე ჭამას ისე მოუმატა, რომ ახლა, ცამეტი წლის არის, წონით და სიმაღლით კი ჩემზე მეტია. თავისით ვერ გახდება. ჩვენ ყველას ჭარბწონიანობისკენ გვაქვს მიდრეკილება, მე სულ ვაკონტროლებ ჩემს წონას. თვრამეტი წლის ვიყავი, პირველად რომ გადავწყვიტე დიეტის დაცვა. 30 კგ მოვიკელი. შემდეგ ქალიშვილი რომ შემეძინა, 27 კგ დავიკელი. გიორგი კი ორი კვირის იყო, ვარჯიში და სირბილი რომ დავიწყე.

— გიორგი სპორტით არ არის დაკავებული?

— ძალიან მოძრავია, წამითაც არ ჩერდება. ასეთი ცელქი რომ არ იყოს, ალბათ უფრო მეტი წონა ექნებოდა. სპორტზე არ დაგვყავს, რადგან ლაპარაკი გვიან დაიწყო — ორ წლამდე, საერთოდ არ ლაპარაკობდა. შემდეგ „დედა“, „მამა“ და ასეთი მარტივი სიტყვები ისწავლა. თავისუფლად საუბარი ოთხი წლიდან დაიწყო. ამიტომ ჯერჯერობით არსად დაგვყავს, თუმცა გვინდა, რომ აქტიურად დაკავდეს სპორტით. გირებს სწევს, თანაც — ძალიან იოლად. ეს მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ზოგჯერ მამამისსაც ეჭიდავება ხოლმე. მამაზე გიჟდება. ისე უყვარს, წარმოდგენაც არ შეიძლება.

— მართლა გადაწყვეტილია, რომ გიორგი და ჯამბულატი (ყაბარდო-ბალყარელი გოლიათი) ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ?

— ჯამბულატი წონით დიდია, ასაკით კი — უფრო პატარაა. თუ შეამჩნიეთ, მას წვრილი წვივები აქვს, გიორგი უფრო მსხვილია, დიდი ხელები აქვს — ნამდვილი ტორები... ნამდვილად არ არის სატრაბახო, მსუქანი და ძლიერი რომ ხარ... გიორგისა და ჯამბულატის შეჯიბრების მომხრე არ ვარ. ისინი ჯერ ძალიან პატარები არიან. მეშინია, არაფერი დაუზიანდეთ. ივლისში გიორგი ხუთი წლის ხდება. ბატონმა თენგიზ პაჭკორიამ შექმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ჯამბულატს თბილისში ჩამოიყვანს. გიომ მისი სურათები რომ ნახა, თქვა: ძალიან მგავსო. ასე რომ, მოუთმენლად ელოდება და ჯამბულატის სახელი, სულ პირზე აკერია... მგონია, რომ გიო გაიზრდება და წონაშიც დაიკლებს, თუმცა მისგან გამხდარი, ტანწერწეტა ბიჭი არასდროს დადგება. ერთად როცა მივდივართ, ხშირად ეძახიან სუმოს. ეს მაღიზიანებს, არ მინდა ჩემი შვილი სუმოისტი იყოს.

გიორგი ბიბილაური-უფროსი:

— 9 ივლისს ჩამოიყვანენ ყაბარდო-ბალყარეთიდან ჯამბულატს. 9 ივლისს გიოს უსრულდება ხუთი წელი, 24 სექტემბერს კი, ჯამბულატი ოთხი წლის ხდება. ალბათ მის დაბადების დღეზე ჩვენც წავალთ. ორი გოლიათის შეხვედრა, რა თქმა უნდა, ძალზედ საინტერესო იქნება.

— როგორ გაიგეთ ჯამბულატის შესახებ?

— რუსეთის ერთ-ერთმა ტელეარხმა აჩვენა ჯამბულატი. მე და ჩემმა ახლობლებმა შემთხვევით ვნახეთ ეს გადაცემა. ყველამ მითხრა: როგორ ჰგავს გიოს, გიოც გოლიათი ყოფილაო, ამის შემდეგ თენგიზ პაჭკორიამ მომცა ვიდეოკასეტა, რომელზეც ჯამბულატის შესახებ ჩაწერილი მასალა იყო. გიომ რომ ნახა, გაიხარა. სურვილი გამოთქვა: დავეჭიდებიო. ამის შემდეგ, თენგიზ პაჭკორია ჯამბულატის დედას დაუკავშირდა. ისინი ყაბარდო-ბალყარეთის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობენ. ჯამბულატი სამი წლის არის და უკვე 53 კგ-ს იწონის. დედამისმა მიიღო ჩვენი მოწვევა და ჩამოსვლაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. ერთადერთი, რის გამოც შეიძლება ისინი ვერ ჩამოვიდნენ, ის არის, რომ ჯამბულატს მიწვევა აქვს მიღებული კანადიდან. შესაძლებელია, რომ მთელი ზაფხული მათ კანადაში გაატარონ. ჯამბულატი აღიარებულია, როგორც ამ

დასთან, ნათიასთან ერთად

ასაკში ერთადერთი გოლიათი ბავშვებს შორის, მას მთელი მსოფლიო იცნობს. უკვე გინესის რეკორდების წიგნშია შესული. ფაქტია, რომ მსოფლიოს არც ერთი კუთხიდან არავისგან მისვლიათ გამოხმაურება: ჩვენც გვყავს გოლიათიო. პირველი ქვეყანა – საქართველოა. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ტელეარხიდან გვიკავშირდებიან და უნდათ, რომ გიოს შესახებ გადაცემა მოამზადონ.

— სპონსორი თუ გყავთ? ვინ დააფინანსებს ჯამბულატის ჩამოსვლას ან თქვენს გამგზავრებას?

– რა თქმა უნდა, ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული. ჯერჯერობით სპონსორი არ გამოჩენილა. გიოს ვარჯიში რომ დავაწყებინოთ, მას დასჭირდება საფუძვლიანი სამედიცინო გამოკვლევა და მეთვალყურეობა. მეშინია, არ გადაიტვირთოს. საქართველოში გიორგი ერთადერთი გოლიათია. ეს საამაყოც არის და სასიხარულოც. ყველა გაოცებულია მისი ფიზიკური მონაცემებით. ერთი წლიდან ეტყობოდა, ტანით დიდი რომ იქნებოდა, მაგრამ თუ ასეთი ღონიერებითაც დაჯილდოებდა განგება, არ მეგონა. მე ყოფილი სპორტსმენი ვარ, მოჭიდავე გახლდით. შემიძლია გიო ვავარჯიშო, მაგრამ ასაკით ძალიან პატარაა და ამიტომ მინდა, ვარჯიშები ექიმების სისტემატური მეთვალყურეობით მიმდინარეობდეს. მისთვის სწორი მიმართულების მიცემა აუცილებელია. დიდი ენერგია აქვს. წამითაც არ ჩერდება. აღარ იცის, ენერგია რაში დახარჯოს. თექვსმეტკილოგრამიან გირებს რომ დაავლო ხელი, ოთახებში დარბოდა, უკან დავდევდი: დაყარე, არაფერი იტკინომეთქი!..

— ხშირად ხომ არ ჩხუბობს თანატოლებთან?

მაია ბიბილაური:

– რამდენადაც ვატყობ, თავისი ძალით არ სარგებლობს. ცდილობს, არავის ეჩხუბოს. იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ შეიძლება, რომელიმე თანატოლი გალახოს. მე რომ დამევჯახება, ძალიან თუ არ მოვინდომე და თავი არ შევიკავე, წამაქცევს. საერთოდ, ჩვენი ნათესაობა დიდი წონით და სიძლიერით გამოირჩევა. მახსოვს, მამაჩემი როგორ იოლად ღუნავდა რკინის მილებს. ჩემმა ძმამ ჭიდაობაზე სიარული რომ დაიწყო, მისი მწვრთნელი ამბობდა: ვეფხვივით ძალა აქვსო. ძალიან ძლიერია ჩემი მამამთილი. ასეთივეა ჩემი მეუღლეც. მას თევზაობა უყვარს. უფრო ხშირად, კუმისის ტბაზე თევზაობს. ყოველ საღამოს გიოს ზღაპრებს ვუამბობ. ერთხელაც „მებადური და ოქროს თევზი“ მოვუყევი. ვუთხარი: მებადურმა გადააგდო ბადე და ამოიყვანა ოქროს თევზი-მეთქი. გიომ მაშინვე მკითხა: დედიკო, დედიკო, საიდან ამოიყვანა – კუმისიდანო? აი, ასეთი კარგი იუმორი აქვს გიოს.

— რა უყვარს გიორგის? ბავშვები, როგორც წესი, ბევრ ტკბილეულს ჭამენ, გიორგიც ტკბილეულის გამოა ასეთი მსუქანი?

– პირველად ხორცი რომ მივეცით, ხელი დასტაცა და დღემდე, ყველაზე მეტად ხორცი უყვარს. მინდა სალათებით შევავსო მისი მენიუ, მაგრამ ის ითხოვს, რომ ხორციანი საჭმელი მოვუმზადოთ. ყველანაირად ვუწყობ ხელს. დღეს ქათამი მოვუხარშე, ნახევარი დილით მიირთვა, ნახევარი – საღამოს. როგორც ყველა ბავშვს, ტკბილეული ძალიან უყვარს.

— გიორგი ბაღში დადის. საჭმელს ატანთ ხოლმე თუ აკმაყოფილებს ბაღის მენიუ?

– ბაღიდან დამშეული მოდის, მაშინვე საჭმელს ითხოვს. ერთი კვირის ნაშიმშილარი მგელი რომ გამოვარდება ტყიდან, ისეთი სახე აქვს ხოლმე... რა თქმა უნდა, ბაღის საჭმელი არ ჰყოფნის. სულ „დაბავკას“ ითხოვს. ყველანაირად ვცდილობ, პურეული ცოტა ჭამოს. ძალიან უყვარს ნაყინი.

— ასეთი მსუქანი რომ არის, ხშირად ხომ არ ავადმყოფობს?

– ჩვეულებრივი ბავშვებისგან მხოლოდ ჭარბი წონით გამოირჩევა. ვერ ვიტყვი – ავად არასდროს არ გამხდარა-მეთქი, – მაგრამ სერიოზული პრობლემა ნამდვილად არ გვქონია.

— გიოს ოდესმე თუ დაუჩივლია ჭარბი წონის გამო?

– მე მექმნება პრობლემა მისი წონის გამო: ძალიან დიდი ტანსაცმელი სჭირდება, ახლა ჩემი ბრიჯები აცვია. როცა მისთვის რაიმეს ვყიდულობ, გამყიდველს ვეუბნები: ბავშვის შორტი მინდა, მაგრამ ჩემი ზომა-მეთქი. რამდენჯერმე გიორგიმ დაიჩივლა: ბაღში მსუქანას მეძახიანო. როგორც დედა, მე ვგრძნობ, რომ ის თავისი ჭარბი წონის გამო განიცდის; ის ხომ იმ წონას, რაც მისი ასაკის ბავშვს უნდა ჰქონდეს, ორჯერ აჭარბებს... როცა სადმე მიმყავს, არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ვინმემ მას ყურადღება არ მიაქციოს. ყველა ჩქმეტს და ცდილობს, ხელით შეეხოს. გიოს ეს საშინლად აღიზიანებს, ხშირად დაგვყავს მუშტაიდის ბაღში. იქ უკვე ყველა იცნობს. გიო, მოხვედი? – ეკითხებიან ხოლმე აქეთ-იქიდან.

— ალბათ, როგორც მისი ასაკის ყველა ბავშვი, გიოც ბევრ კითხვას გისვამთ ხოლმე?

– რა თქმა უნდა. ერთხელ მკითხა: „დედიკო, დედიკო, ღმერთი სად არის?“ – ცაში-მეთქი, – ვუპასუხე. „მერე, საჭმელს ვინ უმზადებს?“ – მკითხა საოცრად გაოცებული სახით.

— შეყვარებული თუ ჰყავს?

– ქერა და ნაზი გოგონები მოსწონს. სულ ახლახან დაბადების დღეზე ვიყავით. იქ უამრავი ბავშვი იყო, გიომ მათ შორის ერთი ქერა გოგონა ამოარჩია, ჩემთან მოიყვანა და მითხრა: ნახე, რა ლამაზიაო! მერე სხვა გოგოს, შოკოლადი გამოჰგლიჯა ხელიდან და ქერას მიაწოდა. ასე რომ, გემოვნებაც უკვე ჩამოყალიბებული აქვს...

P.S. ჩვენს რედაქტორს, გოჩა ტყეშელაშვილს სულმა წასძლია, დაეჭიდა (იხ. „გზის“ გარეკანი) და... ხელები ასწია: გიოს ძალა საკუთარ თავზე გამოვცადეო!.. ■



გურგენიძე პროკურორის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს

„სასამართლოზე ზეწოლა ზემოდან მოდის“, — აცხადებს მსჯავრდებულის ადვოკატი

თბილისის ყოფილი პროკურორის — მიხეილ ქურდაძის მკვლელობისთვის მსჯავრდებული, 33 წლის რუსთაველი კობა გურგენიძე გასულ კვირას უზენაესი სასამართლოს წინაშე კვლავ წარდგა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, პროკურატურის ბრალდება დაადასტურა და გურგენიძე 104-ე მუხლით (ძველი რედაქციის მიხედვით) — დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. სასამართლომ სასჯელის ზომად მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით.

განაჩენი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ძალაში დატოვა.

მცირეწლოვანი შვილის მამა, დაკავების დღიდან მოყოლებული, დუმილის უფლებას იყენებდა. ჩვენება მას არც სასამართლო კოლეგიისთვის მიუცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მომხდარ მკვლელობაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა. დუმილის დარღვევას გურგენიძე პალატის მოსამართლეთა წინაშე შეეცადა, თუმცა აღელვებულმა მხოლოდ იმის თქმა მოახერა, რომ თავს ძალზედ უსიამოვნოდ გრძნობს და რაც მის გარშემო ხდება, რეალურად ვერ აღიქვამს.

მსჯავრდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — ალექსი გოჩიაშვილმა განაჩენის გაუქმება მოითხოვეს. გოჩიაშვილი ირწმუნება, რომ გურგენიძე პროკურატურის მსხვერპლია, რომელიც წლების მანძილზე გაუხსნელ საქმეს შესწირეს. პროკურატურის ამ პოზიციას კი, მისივე თქმით, სასამართლომაც აუბა მხარი და საქმის მასალებში არსებულ ბევრ უკანონობაზე თვალი დახუჭა.

სახელმწიფო ბრალმდებელი საპირისპიროს ირწმუნება. მისი განცხადებით, კობა გურგენიძე სწორედ ის კაცია, ვისაც გამოძიებით დაუდგენელმა პირმა, ე.წ. შავ სამყაროსთან დაპირისპირებული ქალაქის პროკურორის მკვლელობა შეუკვეთა, საფასურად კი 10.000 დოლარი შესთავაზა.

125 ეჭვმიტანილის დაკითხვის შემდეგ, მკვლელობიდან მეშვიდე წელს, სამართალდამცავებმა კობა გურგენიძე დააკავეს, მოგვიანებით კი, ის მკვლელადაც გამოაცხადეს. ფაქტია, რომ გამოძიება ამაზე შორს არ წასულა: არც დამკვეთის ვინაობა დაუდგენია და არც ის, მართლა აიღო თუ არა მკვლელობის შესრულების შემდეგ გურგენიძემ დაპირებული თანხა.

ალექსი გოჩიაშვილი:

„მთელი ბრალდება და განაჩენი ვინმე კანდელაკის — ვითომდა თვითმხილველის ჩვენებებზეა აგებული. არადა, ეს ჩვენებები, როგორც დღე და ღამე, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. სასამართლომ კი, ასეთი მოწმის სიტყვები ბრალის დამადასტურებელ, ძირითად მტკიცებულებად მიიჩნია. უფრო მეტიც, სწორედ კანდელაკის ჩვენების საფუძველზეა შედგენილი მკვლელის ფოტორობოტიც, რომელიც აშკარად განსხვავდება კობა გურგენიძის გარეგნობისგან. მტკიცებულებად სასამართლომ შიზოფრენიით დაავადებული ქალის — ლალი გოდერძიშვილის ჩვენებებიც მიიჩნია. ამ ქალის დაავადება კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებული ოფიციალური საბუთებით დასტურდება“.

სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, აწ გარდაცვლილი გოდერძიშვილის ფსიქიკურად დაავადების ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება. *„მართალია, ფსიქიატრთან მისი ვიზიტები ოფიციალურად მართლაც დასტურდება, თუმცა ის ექიმთან სამკურნალოდ კი არა, ბოდიშის მოსახდელად დადიოდა,“* — განაცხადა პროკურორმა და თავისი სიტყვები შემდეგნაირად ახსნა: *„გოდერძიშვილი ბრალდებულის მხარის, კერძოდ, ადვოკატის ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. ის, ფაქტობრივად, იძულებული გახადეს, ფსიქიატრთან მისულიყო და მისთვის თავი მართლაც ფსიქიკაშერყეულად წარმოედგინა. ამის გამო, ბოლოს, გოდერძიშვილმა ექიმს მოუბოდიშა კიდეც და უთხრა, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს“.*

რაც შეეხება მოკლული მიხეილ ქურდაძის ოჯახის წევრებსა და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატს, ისინი სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციას იზიარებენ, განაჩენი კანონიერად მიაჩნიათ და აღნიშნავენ, რომ ადვოკატ გოჩიაშვილის მიერ შიზოფრენიით დაავადებულად ლალი გოდერძიშვილის გამოცხადება, გარდაცვლილის პატივისა და ღირსების შელახვაა.

მსჯავრდებულის მხარეს მიაჩნია, რომ განაჩენი შეკვეთილია და დაზარალებულის ოჯახიც შეცდომაში შეიყვანეს. — *„გოდერძიშვილის სახელზე ფსიქიატრიულ კლინიკაში გახსნილი ამბულატორიული ბარათები რეალობად რჩება, მაგრამ მათზე სამართალდამცავები აშკარად ხუჭავენ თვალს. საზოგადოებამ განსაჯოს, ჩვენ კი დარწმუნებულები ვართ, რომ ზეწოლა ზემოდან მოდის“*, — აცხადებენ გურგენიძის ოჯახის წევრები და ადვოკატი. თუ ვინ მოიაზრებიან „ზემოთ მყოფ“ პირებში — სამწუხაროდ, ისინი ვერ ან არ აკონკრეტებენ. განაჩენის მიუხედავად, ბევრს მაინც ნაკლებად სჯერა, რომ დანაშაული გურგენიძემ ჩაიდინა, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ორივე მხარის არგუმენტების მოსმენისას რჩება. ფაქტი კი ერთია — საქმის ძიება საბოლოოდ დასრულდა, ბურუსით მოცულ ამ მკვლელობას ვერც სასამართლო განხილვამ მოჰფინა ნათელი. ■

„მაესტროს“ თანამშრომლები ყოფილ პოლიციელს დანაშაულში ამხელენ

2002 წლის 29 მაისს, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში, განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმავე დღეს, ეჭვმიტანილი დააკავეს, თუმცა გაირკვა, რომ ის თავადაც პოლიციელი — შს სამმართველოს სიხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ინსპექტორი, ირაკლი მჭედლიშვილი გახლდათ.

თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მომხდარი დანაშაულის თვითმხილველთა თქმით, ირაკლი მჭედლიშვილს ხელიდან ახალგაზრდა გოგონა დაუსხლტა. ეს უკანასკნელი, საჩქაროდ, იქვე მდგარ მიკროავტობუსში შევარდა, შეშინებული, ავტომანქანის უკანა სავარძლებს ამოეფარა და მძღოლს შეევედრა: ჩქარა, დაძარით მანქანა, მიშველეთო! გოგონას თქმით, მას ვიღაც უცნობი მამაკაცი მოსდევდა. პროკურატურის ინფორმაციით, ეს ირაკლი მჭედლიშვილი იყო. თავად მჭედლიშვილი, რომელიც ამ კვირაში სასამართლოს წინაშე წარდგა, ყველაფერს კატეგორიულად უარყოფს. მაგრამ საბრალდებო დასკვნის თანახმად, მან დანაშაული ასე ჩაიდინა:

2002 წლის 27 მაისს ღამით, დაახლოებით ორის ნახევრისთვის, მჭედლიშვილი მეგობრის ავტომანქანით დავით აღმაშენებლის გამზირზე მოძრაობდა. ტროტუართან მან ახალგაზრდა გოგონა შენიშნა, მანქანა მასთან ახლოს შეაჩერა და გოგონას შიგ ჩაჯდომა შესთავაზა. უარის მიუხედავად, მჭედლიშვილი ძალით შეეცადა ავტომანქანაში მის ჩასმას, სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით. რაღაც მომენტში, გოგონამ, მჭედლიშვილისგან გათავისუფლება მოახერხა და იქვე, გამზირზე მოძრავი, პირველივე მიკროავტობუსი შეაჩერა. ავტობუსში იმ დროს, საქართველოს ტელევიზიისა და შპს „მაესტროს“ თანამშრომლები ისხდნენ. გოგონა სწრაფად შევიდა მანქანაში და იქ მსხდომთ დახმარება სთხოვა.

მჭედლიშვილი მას დაედევნა, მიკროავტობუსის სალონშიც შეიხედა, ნახევარი ტანით შესულმა, ტელევიზიის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი თავისი „ბაიკალის“ ტიპის პისტოლეტი მოიმარჯვა და რამდენიმე მათგანის მიმართულებით გაისროლა კიდეც. „მაესტროს“ თანამშრომელთა თქმით, მან რამდენჯერმე ისროლა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა. მაშინვე გაირკვა, რომ დაზარალებულები, ტელევიზიის თანამშრომლები იყვნენ. პოლიციელებმა ირაკლი მჭედლიშვილი მანქანაში ჩასვეს და განყოფილებაში წაიყვანეს. *„პოლიციელები ჩემი ნაცნობები აღმოჩნდნენ. მათ ყველაფერი ვუთხარი, რაც მოხდა. მითხრეს, დაზარალებულები ტელევიზიიდან არიანო, — და წამიყვანეს“*, — დასძინა ჩვენებისას ბრალდებულმა. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, მჭედლიშვილი იმ დღეს, ნასვამი იყო, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, ნარკოლოგიურ დისპანსერში ის მოგვიანებით გამოიკვლიეს, იმ დილით კი, ორი ჭიქა არაყი ჰქონდა დალეული. *„27 მაისს ფხიზელი ვიყავი“*, — ირწმუნება განსასჯელი. რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს — დადგინდა, რომ ის მჭედლიშვილს კანონიერად ჰქონდა გაფორმებული. 1998-99 წლებში, ირაკლი მჭედლიშვილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი გახლდათ, მოგვიანებით, შს სამინისტროში გადაიყვანეს, 2001 წლის ივლისიდან კი, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოში ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდა, ამიტომაც, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, თავის კუთვნილ „ბაიკალის“ ტიპის პისტოლეტს ატარებდა.

ირაკლი მჭედლიშვილი პატიმრობიდან თავდებითაა გათავისუფლებული. სასამართლოსთვის ჩვენება მას ჯერჯერობით არ მიუცია, თუმცა, წინასწარი გამოძიების დროს დაკითხვისას, წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო.

ირაკლი მჭედლიშვილი:

„იმ დღეს, ჩვეულებრივად, სამსახურში ვიყავი. შინ დაახლოებით საღამოს 6 საათისთვის წავედი. იქ ყოფნისას, გვიან, ჩემი უბის წიგნაკი დამჭირდა, სადაც მნიშვნელოვანი ჩანაწერები მქონდა. უბის წიგნაკი სამსახურში დამრჩა და ამიტომაც, იქ წასვლა გადავწყვიტე. მეგობარს მანქანა გამოვართვი და ისევ სამსახურში დავბრუნდი. უკვე ღამის 12 საათს გადაცილებული იქნებოდა. დავით აღმაშენებლის გამზირზე, ავიასალაროებს რომ მივუახლოვდი, ვიღაც გოგომ სირბილით გზა გადამიჭრა. დამუხრუჭება მოვასწარი, მანქანიდან გადავედი და დავუყვირე: უბედურებაში რატომ მაგდებმეთქი?! ამ დროს, ჩემ უკან „ფორდის“ მარკის თეთრი ავტომანქანა იდგა. მიკროავტობუსი გაჩერებული იყო. იქვე იყვნენ მთვრალი ბიჭებიც — დაახლოებით ექვსი-შვიდი იქნებოდა. ჩემკენ გამოიწიეს, შემომეხვივნენ და უმიზეზოდ დამიწყეს ცემა, შემდეგ, ჰერანგის ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამომაცალეს, იარაღის წართმევასაც ცდილობდნენ. იძულებული გავხდი, თავი დამეცვა და დამეშინებინა ისინი. ამ მიზნით, პისტოლეტიდან ჰაერში ორჯერ თუ სამჯერ გავისროლე. იარაღი მაინც წამართვეს. ამასობაში, მორიგე ჯგუფის პოლიციის თანამშრომლებიც მოვიდნენ და წამიყვანეს...“

საქმეში დაზარალებულად ცნობილმა, „მაესტროს“ თანამშრომლებმა წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებები, სადაც ისინი მჭედლიშვილს დანაშაულში ამხელენ, სასამართლო პროცესზეც დაადასტურეს. პროცესზე, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა, მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. ■

„თბილისობის“ აღსანიშნავად მიწვეული სტუმარი მასპინძელმა დანით უმოწყალოდ აჩეხა

მსჯავრდებულის ერთ-ერთი ჩვენებით, მკვლელობა ქალმა ჩაიდინა

2000 წლის 29 ოქტომბერს, „თბილისობის“ დღესასწაულზე, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მისული ალექსანდრე ავაკიანი სადისტურად მოკლეს. სასამართლოს განაჩენის მიხედვით, მასპინძელმა — 1964 წელს დაბადებულმა, თბილისელმა გიორგი ოჩიგავამ სამზარეულო დანით მას 28 ჭრილობა მიაყენა, აქედან 4 — სასიკვდილო. ავაკიანი ადგილზევე გარდაიცვალა. ოჩიგავა და მასთან ერთად მყოფი ქალი — ნინო კაპანაძე მაშინვე გაეცალნენ იქაურობას. საქმის მასალების მიხედვით, ამ სადისტური მკვლელობის დროს, ბინაში მცირეწლოვანი ბავშვიც იმყოფებოდა.

დანაშაული მკვლელობიდან დაახლოებით ერთ თვეში გაიხსნა. როგორც ამბობენ, ოჩიგავამ თავად მისწერა პოლიციას წერილი, სადაც მკვლელობა აღიარა და დანაშაულის დეტალებიც აღწერა. თუმცა, დაკავებისას მან ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ ალექსანდრე ავაკიანი მისმა მეგობარმა ქალმა – ნინო კაპანაძემ მოკლა.

მოგვიანებით, გიორგი ოჩიგავამ ესეც გადათქვა. საკუთარი ხელით დაწერილი აღიარების წერილი სამართალდამცავების წინაშე მან ასე ახსნა: *„ნინო შემეცოდა. მკვლელობის დროს, ბინაში იმყოფებოდა და არ მინდოდა, ამის გამო რაიმე პრობლემა გასჩენოდა და საქმეში ცუდად გარეულიყო. იმიტომაც გადავწყვიტე წერილის დაწერა, რომ თავიდანვე საკუთარ თავზე ამეღო ყველაფერი“*. რამდენიმე თვის შემდეგ, დანაშაულში იმავე ქალის მხილების ფაქტი კი, იმას დააბრალა, რომ კაპანაძემ პროკურატურას მისი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, ის ძალიან გაბრაზდა და შურისძიება გადაწყვიტა.

მკვლელობის მოტივად ოჩიგავა, მასა და ავაკიანს შორის ვალის გამო მომხდარ ურთიერთშელაპარაკებას ასახელებს. მისი თქმით, აწ გარდაცვლილს მან ადრე, 150 დოლარი ასესხა, ხოლო როცა კუთვნილი თანხა მოითხოვა, უარი მიიღო, უფრო მეტიც – ავაკიანმა მას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა. შეურაცხყოფა, ოჩიგავას თქმით, გინებაში გამოიხატებოდა, რაც მან ვერ მოითმინა და აწ გარდაცვლილს ხელი გაარტყა. მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბი სწორედ ოჩიგავამ წამოიწყო, როგორც თავად აღნიშნავს, ავაკიანისგან მას თავის დაცვა და საამისოდ, იარაღის გამოყენებაც კი მოუხდა.



გიორგი ოჩიგავას ჩვენებიდან:

„თბილისობის“ დღე იყო. მე, ნინო და მისი შვილი სტუმრად კაკო წიქარაშვილთან და მარიკა ამბარელიანთან წავედით. იქ ვისადილეთ, შემდეგ კი, წიქარაშვილთან ერთად რიყეზე გავედით. „თბილისობა“ უკვე დამთავრებული იყო. დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის, „მარშრუტკით“ სახლში წავედით. ვარკეთილის მეტროსთან ჩავედით და იქ შემთხვევით შევხვდით ალექსანდრე ავაკიანს. მან მითხრა: დღეს „თბილისობაა“ და აღვნიშნოთო. ავაკიანი თავად დავპატიჟე და ყველანი ერთად ჩემს ბინაში წავედით.

ნინომ ბავშვი დასაძინებლად მეორე ოთახში გაიყვანა, ცოტა ხანში გამოვიდა და ლოჯიაში სუფრა გაგვიშალა. ისიც ჩვენთან ერთად მოუჯდა მაგიდას. საუბრისას, ავაკიანს ვალი მოვთხოვე, მან კი ძველბიჭური ლაპარაკი დამიწყო, შემდეგ გინებაზეც გადავიდა. ორივენი ნასვამები ვიყავით და ჩხუბი დავიწყეთ. ამბობდა, რომ მას ჩემი ფული არ ემართა. მაშინ ვუთხარი: ჩემი ძმა ავჭალის კოლონიაში ზის, წავიდეთ და იმას ვკითხოთ, გეკუთვნის თუ არა ვალის გადახდა-მეთქი. ამის პასუხად ავაკიანმა ჩემი ძმის მისამართითაც შეიგინა. ეს ვეღარ მოვითმინე და გავარტყი. მან ცემა დამიწყო, შემდეგ მაგიდაზე გადამაწვინა და ყელში ხელები წამიჭირა. ნინო იმ მომენტში ოთახიდან გასული იყო. ვგრძნობდი, რომ ვიხრჩობოდი, ამიტომაც მისი მოგერიება გადავწყვიტე. პირველი, რაც ხელში მომხვდა, ღვინით სავსე ბოთლი იყო, ავიღე და ავაკიანს თავში რამდენჯერმე ჩავარტყი. ბოთლი რომ გატყდა, გადავაგდე. ავაკიანი ხელს მაინც არ მიშვებდა. იძულებული გავხდი, კიდევ ჩამერტყა მისთვის რამე. მაგიდას ისევ გადავუსვი ხელი. ამჯერად დანა მომხვდა, ავიღე და ჩავარტყი სხეულში. ზუსტად არ მახსოვს, დანა რამდენჯერ მოვიქნიე. გონება დამებინდა. გონზე ნინოს ყვირილმა მომიყვანა. დავინახე, რომ ავაკიანი სისხლის გუბეში იწვა, უკვე მკვდარი იყო. მოვასუფთავე ოთახი, გარდაცვლილი „ადეალაში“ გავახვიე და ნინოსთან და ბავშვთან ერთად, იქიდან წავედით. ქარხნის დასახლებაში, ჩემს მშობლებთან მივედით. მათთვის არაფერი გვითქვამს. იქ ორი დღე გავჩერდით და შემდეგ, ისევ წასვლა გადავწყვიტეთ. მე პოლიციისთვის წერილი დავწერე და მამაჩემს ვთხოვე, ის განყოფილებაში მიეტანა, თავად კი, ნინოსთან და ბავშვთან ერთად, ქალაქ

ჭიათურაში წავედი. იქ დაახლოებით ერთი თვე ვიყავით. თბილისში რომ ჩამოვედით, ნინოს დავშორდი. როცა წიქარაშვილებთან მივედი ნინოსთან შესახვედრად, პოლიციამ დამაკავა...“

მაშინ ოჩიგავა ამბობდა, რომ იმ დღეს, ის პოლიციაში სწორედ ნინო კაპანაძემ გასცა. ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის.

ოჩიგავამ განაჩენი გაასაჩივრა, მაგრამ მისი ჩვენება არც საოლქო და არც უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა. ამის მთავარი მიზეზი, თავად ოჩიგავას მიერ მიცემული, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები გახდა. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — დიმიტრი ხაჩიძემ განაცხადა, რომ ოჩიგავამ მკვლელობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩაიდინა და მუხლიც შესაბამისად უნდა გადაკვალიფიცირდეს.

დიმიტრი ხაჩიძე:

„ავაკიანი ოჩიგავაზე გაცილებით ძლიერი იყო ფიზიკურად, გარდა ამისა, აგრესიულიც. ამიტომაც, თავისთავად ცხადია, მას ოჩიგავა ვერ მოერეოდა და ჩხუბისას თავის დაცვა დასჭირდებოდა. ის იძულებული გახდა, დანით მოეგერიებინა იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ავაკიანი მას თავად მოკლავდა, ყოველ შემთხვევაში, ამის რეალური საფრთხე იყო. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ დანაშაული, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით მოხდა“.

ადვოკატის თქმით, ოჩიგავა მოგერიების ფარგლებს იმით გადასცდა, რომ აწ გარდაცვლილს სხეულში 28-ჯერ ჩაარტყა დანა. პალატის მოსამართლეებმა ადვოკატის ასეთი არგუმენტები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს და საოლქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვეს. აღნიშნული განაჩენით, ოჩიგავას სასჯელი ერთი წლით შეუმცირდა, რის საფუძვლადაც მოსამართლეებმა, აფხაზეთის ომში მისი მონაწილეობა მიიჩნიეს. ამას გარდა, ისიც, რომ მას არასრულწლოვანი შვილი და პენსიონერი მშობლები ჰყავს. გიორგი ოჩიგავა ნასამართლევი ადრეც გახლდათ. მან ყაჩაღობისთვის მოიხადა სასჯელი.

■

უზენაეს სასამართლოში შავგულიძის მკვლელობის განხილვა გრძელდება

მოკლულის დედა საქმის ძიებაში დაბრუნებას მოითხოვს

განსასჯელები გიორგი გუდაძე და დავით კიკნაძე

25 წლის გიორგი შავგულიძის მკვლელობის საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში გრძელდება. პროკურატურის ინფორმაცია მომხდარი დანაშაულის შესახებ, „გზის“ წინა ნომერში მოგაწოდეთ. წინა სასამართლო სხდომაზე, მოკლულის დედამ — მარინა შაქარაშვილმა განსასჯელების — გიორგი გუდაძისა და დავით კიკნაძის საქმეების, დამატებით ძიებაში დაბრუნება მოითხოვა. დაზარალებულის თქმით, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული იმ პირთა (მოლაშხია, თაყაიშვილი, შუბლაძე და სხვები) საქმეებთან ერთად უნდა იქნას განხილული, რომელიც პროკურატურის მიერ ასევე ბრალდებულებად არიან გამოცხადებულნი. განსასჯელთა მხარემ ამ შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირა. აღსანიშნავია, რომ არც გუდაძე და არც კიკნაძე წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავეებად არ ცნობენ.

დავით კიკნაძე წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ იმ დღეს, ბარში იმყოფებოდა, მაგრამ ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია. *„ვცეკვავდი, როცა ჩხუბის ხმა მომესმა, შემდეგ კი — გასროლის. თვალები ამეწვა, რადგან კვამლი გაჩნდა და ვერაფერი დავინახე“,* — წერს იგი. რაც შეეხება **გიორგი გუდაძეს**, იგი აღნიშნავს, რომ პისტოლეტის სასხლეტს ხელი შემთხვევით გამოჰკრა: *„ხმაური შემომესმა. ამ დროს, ძირს დაგდებული, „მაკაროვის“ იარაღი დავინახე. ავიღე. მინდოდა, პისტოლეტი გარეთ გამეტანა და გადამეგდო, რომ იარაღი ვინმეს არ გამოეყენებინა და უბედურება არ მომხდარიყო. სწორედ ამ მომენტში, გასროლის ხმა გაისმა. მე ჯიბეში პისტოლეტის ჩადებას ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს, უკნიდან ვიღაც დამეჯახა. მაშინ შემთხვევით, სასხლეტზე ხელი გამომეკრა და ტყვიაც გავარდა. თუმცა მახსოვს, რომ იარაღის ლულა ქვემოთ იყო მიმართული. ბარში მძაფრი სუნი დადგა და თვალები ამეწვა. ამიტომაც გარეთ გავედი, პისტოლეტი კი თოვლში გადავაგდე“.*

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გიორგი შავგულიძეს ორი ტყვია მოხვდა, მათგან კი, ერთ-ერთი, სწორედ გუდაძის მიერ იყო გასროლილი.

■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.

საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.

დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).

დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:

33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

სოფლის შენებას რა უნდა?..

ავთო მარგველაშვილი

ქართველი და სიმღერა ორი განუყოფელი ცნებაა. არც ჩვენ მიერ განვლილი გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. პირიქით — სულ შუშის ნამსხვრევები და ლურსმნები ეყარა, მაგრამ სიმღერისთვის მაინც ვიცლიდით. ანუ, გული ხან იცინოდა, ხანაც ტიროდა, პირი კი მუდამ მღეროდა. მოკლედ, „არაფერი არ გვებადა სიმღერის და ლექსის გარდა“ და დღესაც „სიმღერაა მთელი ჩვენი ქონება“ (დანარჩენი დოვლათი სულ ფანდურზე დავამღერეთ). ამიტომ ის ერთადერთია, რაც არც სეკვესტრში მოხვდება ოდესმე და ვერც საგარეო ვალებში ჩამოგვაწერს ვინმე. ჰოდა, ჩვენც ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდზე დავაღოთ პირი და ვიმღეროთ მთელ ხმაზე, ვიბღავლოთ, ვიხავლოთ — სიმღერას ხომ სოფლის აშენებაც შეუძლია?!.

შეუძლია, როგორ არ შეუძლია და ვერც სიმღერების მარაგს დაგვიწუნებს ვინმე, მაგრამ ეს დალოცვილი სოფელი არა და არ შენდება. არც კი ვიცით, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ სიმღერა ვერ შევარჩიეთ სათანადო ან „ზაპევალა“ არ გვივარგა? იქნებ სულაც, ხმების არასწორი გადანაწილების გამო, რაც უდავოდ, ლოტბარის ბრალია? ან კიდევ, გვერდით მდგომი არ გვიყვარს და სწორედ იმიტომ ვერ იჭერს ცემენტი აგურს?

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ცალ-ცალკე ყველანი კარგად ვმღერით და ყველას სიმღერაშია ტექსტისა და მელოდიის ორიგინალური ხიბლი, მაგრამ ერთად დგომა და შეხმატკბილება, მაინც არ გამოგვდის.

გადავწყვიტეთ, მიზეზი თავად სოფლის მაშენებლებისათვის გვეკითხა, რომლებიც სხვადასხვა გუნდში იღერებენ ყელს მომავალ საშემოდგომო რეპერტუარზე მუშაობით.

ვიტალი ხაზარაძე *(„წამყვანი პარტიის დრამატული ტენორი“):*

— *(იცინის)* მე მესმის, თქვენი შეკითხვა ალეგორიული ფორმისაა. ამიტომ, მეც შევეცდები ალეგორიულადვე გიპასუხოთ. სიმღერა არ იმღერება ხმათა თანწყობის გარეშე. ასევე, სოფელიც არ შენდება მშენებელთა თანმხვედრი მიზნის გარეშე. თუ ასაშენებელ სოფლად ჩათვლით არჩევნებს, მიჩნდება ეჭვი, რომ ზოგიერთ ოპოზიციურ ძალას სურს, შეინარჩუნოს ძველი საარჩევნო კომისია, ან საერთოდ არ ჩატარდეს არჩევნები. ბევრ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს, არც თვითმმართველობის და არც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. ისინი შეიქმნა წინა არჩევნების შემდეგ. სურვილის შემთხვევაშიც კი ძნელია, გამოძებნო ფორმა, უფლება მიეცეთ მათ კომისიის დაკომპლექტებაში.

— მოდით, არჩევნებს „შესარჩევი კონკურსი“ დავარქვათ, საარჩევნო კომისიას კი — „ჟიური“.

— კარგი, ბატონო *(იცინის)*. ვცდილობთ, ვფიქრობთ, შევიმუშაოთ ისეთი მექანიზმი, რომ ყველა კმაყოფილი იყოს, მაგრამ მათი მხრიდან ჩანს სურვილი: ოპოზიციას ექნეს... ოპოზიციას რა დავარქვათ?

— „ალტერნატიული მუსიკა“.

— ჰოდა, მაგ თქვენს „ალტერნატიულ მუსიკას“ სურს, ექნეს უმრავლესობა „ჟიურიში“, რაც არ მოხდება და დარჩება მხოლოდ მათ სურვილად და მიზნად. ან კი როგორ შეიძლება, როცა არჩევნების... „კონკურსის“ ობიექტურად ჩატარებაში პასუხისმგებლობა ეკისრება თვით ხელისუფლებას. ისინი ჩვენ გვაბრალებენ, თითქოს ვუბიძგებთ დესტაბილიზაციისაკენ. არადა ხელისუფლება პირიქით ეუბნება, რომ შევიმუშაოთ კანონი, სადაც ორივე მიიღებს მონაწილეობას. წავედით კიდეც ამ კომპრომისზე: ნაწილი კანდიდატურებისა წარმოადგინოს პარლამენტმა.

— ბატონო ვიტალი, „კარგი სიმღერისთვის ან სმენაა საჭირო, ან სინდისი“, ამბობენ. რამდენად იგრძნობა ეს ფაქტორი, ანუ ხომ არ ვცდილობთ, რაც შეიძლება ხმამაღლა ვიყვიროთ, ცალ-ცალკე, რომ ჩვენი ხმა გამოჩნდეს ყველაზე მეტად?

— საქმეც მაგაშია. სამწუხაროდ, არაობიექტური გაშუქების გამო, საზოგადოება არ არქმევს ყველაფერს თავის სახელს.

— არაობიექტურ გაშუქებაში რას გულისხმობთ?

— თუნდაც მასმედიის საშუალებებს. საინფორმაციო საშუალებები ხომ ძირითადად, მათ ხელშია. მხოლოდ ერთი ტელეარხი და ერთი გაზეთი ცდილობს, გააშუქოს ხელისუფლების სწორი პოზიცია. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ „მათი ბამბაც ჩხრიალებს“. ამიტომ ოპოზიცია ცდილობს, რაც შეიძლება, ხმამაღლა იყვიროს. თუ გამოუვა, ხომ კარგი. თუ არადა, დაჩაგრულის მანტიას მაინც მოიხურავს.

მსოფლიო პრაქტიკაში ასეა: უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, უმცირესობა კი, აფიქსირებს თავის პოზიციას. ჩვენ ვხედავთ სამართლიანობის პერსპექტივას, თუ იქნება ერთობლივი მონდომება. ხელისუფლების მხრიდან ამის კეთილი ნება ცალსახად ჩანს და დასაშვების ფარგლებში ყველა დათმობაზე წავალთ, რომ „სოფელი აშენდეს“.

კოგა დავითაშვილი *(„ალტერნატიული გუნდის სოლისტი“):*

– ეს იგავი ზუსტად შეესაბამება დღევანდელ რეალობას: მამლის ყივილითა და ძაღლის ყეფით შენდება სოფელი. უარესიც – უძაღლო ქვეყანასავით, კატებს აყეფებენ. მჩხავანა კატა კი, თაგვს ვერ იჭერს...

— გვერდით მდგომის სიყვარულზე რას იტყვით?

– ესეც ანალოგიურია იმ მულტფილმისა, ანუ მელიის ხელში ვართ, რომელსაც მამალი შესაჭმელად უნდა და არა ხმებში სამღერად. ასეთი სოფლის მაშენებლების ბატონობა წავა ამ შემოდგომაზე. უბრალოდ, მათი ასარჩევია წასვლის ფორმა, ანუ – წავლენ სახალხო გამოსვლების გზით, თუ მშვიდობიანი არჩევნების გზით იმ 16-ლარიან პენსიაზე, რომლის ამარადაც ჰყავთ ხალხი.

— როგორც ჩანს, იმედიანად შეჰყურებთ მომავალს, რომ სოფლის მაშენებლებად ნამდვილი ტალანტები შეირჩევა?

– იცით, მე მგონი, ეს არჩევნები ტალანტების ასარჩევად იმდენად არა, უფრო ხელისუფლების შესაცვლელად უნდა ჩატარდეს. ტალანტებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში შევარჩევთ.

— და თქვენ გჯერათ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სრული ჰარმონია დაისადგურებს და ტკბილხმოვანებასაც მივაღწევთ?

– კონკურენცია იქნება და არა ქიშპობა. მთავარია, ფუნდამენტალურ საკითხებზე აზრთა თანხვედრა და ერთი აზრი: საქართველო უნდა იყოს სახელმწიფო, რომელშიც კანონი ყველასათვის კანონია და პირველ რიგში, ხელისუფლებისათვის.

— წამყვანი პარტიების შესრულებასაც იკისრებთ?

– *(იცინის)* ჯერ არ გამოგვითქვამს დიდი სიმღერების პრეტენზია. ალბათ, უფრო იმ თახვობას ვარჩევთ, რომლებიც მუშაობენ, სანამ სხვები მღერიან.

ჯონდი გალათურია *(„მძიმე ბათუმური როკი“):*

– დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა, დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ პრინციპით მუშაობს: მეტი ილაპარაკე, მეტი იმღერე და იცეკვე. არა მგონია, სიმღერითა და „ჰარი-ჰარალეთი“ აშენდეს სოფელი. ამას უფრო შრომა და მადლი სჭირდება. რაც შეეხება სიმღერასა და მოლხენას, ასეთ და სხვა ბიოლოგიურ სიამოვნებებს, მათზე უარი უნდა თქვას იმ ხალხმა, ვინც ერის წინამძღოლობაზე აცხადებს პრეტენზიებს. ხომ ხედავთ, რომ გვღუპავს ეს მტრობა, შური, გაუტანლობა. ყველაფერს მადლი უნდა ახლდეს. თუ საქმეს წესიერი ხალხი არ აკეთებს, საიდან მადლი და ღვთის წყალობა?

— როგორც „პოზიციის“, ისე ოპოზიციის მხრიდან შეინიშნება კომპრომისების მცდელობა, რომ რაღაც კონსენსუსამდე მივიდნენ.

– *(იცინის)* არ მახსოვს მაგალითი მსოფლიო ისტორიაში, რომელიმე ხელისუფლებას თავისი დაეთმო. რომის პირველი დიქტატორი – ლუციუს კორნელიუს სულა, რომელიც ყველანაირ (სასამართლო, საკანონმდებლო, სამხედრო) ძალაუფლებას ფლობდა, მოულოდნელად გადადგა. ამან ყველა ინსტიტუტი გააოგნა, რაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო. ვერავინ დაიჯერა ეს ფაქტი. როცა სულა კიბეზე ჩამოდიოდა, ერთმა პატარა ბიჭმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. თუ არ ვცდები, შეაფურთხა კიდეც ყოფილ დიქტატორს. იმპერატორი მოუბრუნდა და უთხრა – შენ ახლა გააკეთე ის, რის გამოც არც ერთი დიქტატორი ძალაუფლებას აღარ დათმობსო... და ეს დღემდე ასეა. არავინ არაფერს დათმობს, მით უმეტეს, ხელისუფლებას, თუ არ დაათმობინე.

— რას გულისხმობთ?

– მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღ ოპოზიციას...

შალვა ნათელაშვილი *(„დასარტყამი ინსტრუმენტი, აქტიური ვოკალი“):*

– ქართველები, საერთოდ, გადასარევად ვმღერით, მაგრამ საშინლად ბღავის და ყველაფერს გვირევს ხელისუფლება. მაგათი აშენებული სოფელი ვიცით, რაც არის, ამ ათი წლის მანძილზე – სოფელსაც აღარ ვგავართ. დავემსგავსეთ პატრიარქალურ წყობას, ცივილიზაციისაგან მოწყვეტილს, სიბნელეს, სიცივეს და ა.შ.

— რა რეპერტუარს გვთავაზობთ უკეთესი სოფლის ასაშენებლად?

– *(იცინის)* ლეიბორისტების მოსვლას უმრავლესობით. ახლანდელები არაერთხელ იყვნენ სათავეში და ხალხმა მათი მინგრევ-მონგრევის ხელწერა კარგად იცის. ჩვენი საზოგადოება სადომაზოხისტი არაა, რომ საკუთარ თავს სასჯელი გაუხანგრძლივოს.

— თქვენ არ ბრძანდებოდით იმ შეხვედრაზე, სადაც „პოზიციისა“ და ოპოზიციის ძალთა ხელმძღვანელები ხმების შესაწყობად შეიკრიბნენ. რატომ?

– აზრი არ ჰქონდა და იმიტომ. მათთვის დემოკრატიის დარღვევად ითვლება, თუ მხოლოდ ერთ ძალას უნდა, ყველა გამყალბებელი მისი იყოს. ხოლო თუ თითო გამყალბებელი ყველას ეყოლება, ე.ი. კონსტრუქციული მოლაპარაკება შედგა.

— თუ მართლა ასე მიგაჩნიათ, მაშინ რა გაძლევთ გამარჯვების მყარ იმედს?

– მოსახლეობის გონიერების წყალობით, გამყალბებლებს იმ გაყალბებულ ურნებში ჩავაყუდებთ თავით.

... გულწრფელად შევეცადეთ, ღმერთია მოწამე, ერთად და ტკბილად სიმღერის, პოლიფონიის სურვილი დაგვენახა, მაგრამ მგონი, ამაოდ. ვნახოთ, რას მოიტანს ჩვენი ქრონიკული კაკაფონია, რომლის არსებობა, უკვე მეორე ათწლეულის ათვლას შეუდგა... ■

ბასა ფოცხიშვილის კრიმინალური კლიპის დებიუტანტი მსახიობი

ბოლო წლებში მომრავლებულ, მუსიკალურ თუ სარეკლამო კლიპებში მაყურებლისთვის ბევრი ახალი სახე ჩნდება ხოლმე და, ბუნებრივია, ინტერესს აღძრავს — მსახიობია თუ არა, რას საქმიანობს, როგორ მოხვდა კლიპში. მათ შორისაა თაპო ფიცხაია, რომელიც მერაბ სეფაშვილის კლიპში — „ნისლისფერი განშორება" — სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. თუ როგორ — ამაზე ცოტა მოგვიანებით. მანამდე კი გეტყვით, რომ 27 წლის თაკოს ორი შვილი — 11 წლის რეზი და 4 წლის ნატაშკა ჰყავს. პროფესიით პლასტიკური ქირურგია, თუმცა ამჟამად სასტუმრო „პრიმავერას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად მუშაობს.

ნათია თენიეშვილი

— გიო ხუციშვილი მამაჩემის უახლოესი მეგობარია. მას უნდოდა, რომ მისსა და ზუკას კლიპში მიმეღო მონაწილეობა და მიმიყვანა ბასა ფოცხიშვილთან. ბასა ამ დროს მერაბ სეფაშვილის კლიპისთვის ეძებდა გოგოს. როცა მნახა, მითხრა — შენ მერაბის კლიპში გადაგიღებო. მეც დავთანხმდი.

— გიოს როგორი რეაქცია ჰქონდა? არ ეწყინა, მის კლიპში რომ არ მიიღე მონაწილეობა?

— არა, არ ეწყინა. გიოს და ზუკას კლიპისთვის უფრო მაღალი და „კრუპნი" ქალი იყო საჭირო.

— გადაღებების პროცესს როგორ გაიხსენებდი?

— თავიდან ცოტა დაბნეული ვიყავი, მაგრამ მერე, ძალიან გავერთე და ძალიან მომეწონა. მიუხედავად იმისა, რომ კლიპს ორი ღამე და ერთი დღე ვიღებდით, საერთოდ არ დავღლილვარ.

— სიუჟეტი წინასწარ იცოდი?

— აზრზე არ ვიყავი. ორი სიტყვით მითხრა ბასამ, რომ ფეხმძიმე ქალი უნდა მეთამაშა. ყველაფერი გადაღებების დროს შევიტყვე.

— მერაბს მანამდე იცნობდი?

— მხოლოდ შორიდან, როგორც მომღერალს. პირადად კი მაშინ, გადაღებების დროს გავიცანი და მინდა ვთქვა, რომ ძალიან კარგი, თბილი და თავმდაბალი ადამიანია. ასეთია ბასაც.

— ბასა არ იყო მკაცრი, გადასაღებ მოედანზე?

— არა, საერთოდ არ არის მკაცრი. თვითონ უნიჭიერესი ადამიანია და უნიჭოებს ვერ იტანს. როცა მის დავალებას ვერ ასრულებენ და რაღაცას ვერ აკეთებენ ისე, როგორც საჭიროა, ამ დროს ცოტა ფიცხი ხდება ხოლმე.

— ვიცი, რომ „ჩოლკაც" შეგჭრეს ამ კლიპისთვის. წინააღმდეგობა ხომ არ გაგიწევია?

— არა, ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც ბასას უნდოდა. არ მომწონდა ის კაბა და ჩექმა, რომელიც მაცვია კლიპში. ჩემი აზრით, არ უხდებოდა ერთმანეთს. შევეცადე, ბასასთვის წინააღმდეგობა გამეწია, მაგრამ ამიხსნა — ეკრანზე ასე უფრო კარგად გამოჩნდებოდა და გავჩუმდი.

— კლიპში შენი ფეხმძიმობა ვისი „დამსახურებაა"?

— *(იცინის)* ბაკურ ბაკურაძემ დამიმაგრა ბალიში. გადაღებები ღამის 12 საათზე იწყებოდა და დილის ექვს საათამდე გრძელდებოდა. ძალიან მოუხერხებელი იყო ასე სიარული. ერთადერთი ეგ გამიჭირდა, მეტი არაფერი. ერთხელ, ორი საათით უნდა დაგვესვენა. დამეზარა ბალიშის მოხსნა და მერე თავიდან გაკეთება და სახლში ასე მივედი. დედაჩემი კინაღამ გაგიჟდა. იმ ადგილის გადაღებისას, წყალს რომ ვსვამ და მეცინება, ბევრი ვიწვალეთ. ბასა მეუბნებოდა: გაიცინე, ვითომ წყალი გადმოგექცაო. არ გამომდიოდა, ვერაფრით ვიცინოდი. ბოლოს, ვიღაც დადგა კამერის უკან, რაღაც სისულელეებს აკეთებდა და ცდილობდა, გავეცინებინე. როგორც იქნა, გამეცინა და გადავიღეთ ეს ეპიზოდი.

ბაკურ ბაკურაძემ დამიმაგრა ბალიში. ძალიან მოუხერხებელი იყო ასე სიარული

— კლიპის ფინალში, როცა საავადმყოფოს დერეფანში შენი დაჭრილი შეყვარებული საკაციდან დგება, ხელს აიქნევ და ტრიალდები; ეს სცენარით იყო გათვალისწინებული თუ უბრალოდ მოხდა ასე და ბასამ შეიტანა კლიპში, როგორც ეს მას სჩვევია?

— არა, ეს სცენარით იყო გათვალისწინებული. ისე, მე მგონი უფრო კარგი იქნებოდა, ბოლოს ბალიში რომ გამომეღო.

— როგორც ვიცი, სამედიცინო ინსტიტუტი გაქვს დამთავრებული. შენი პროფესიით არ გიმუშავია?

— სამედიცინოს დამთავრება ჩემი სურვილი არ იყო. დედაჩემს უნდოდა ძალიან, ექიმი რომ გამოვსულიყავი, მაგრამ ოპერაციის ყურებისას გული მიწუხდებოდა და ამიტომ ვერანაირად ვერ შევძლებდი ქირურგობას.

— სხვა კლიპში გადაღებაზე შემოთავაზება არ გქონია?

— არა, მაგრამ თუ შემომთავაზებენ, დავთანხმდები, ოღონდ გააჩნია, რომელი მომღერლის სიმღერა იქნება და ვინ იქნება კლიპის რეჟისორი. ■

www.shopge.com
რუსულად მოლაპარაკე მხიარული გოშა

წლის ყველაზე ჭკვიანი სათამაშო – მხიარული გოშა გახდება თქვენი შვილის მეგობარი და დაეხმარება მას ნოტების, ანბანის, ანგარიშის ათვისებაში, ციფრების, ფერებისა და გეომეტრიული ფიგურების გარჩევაში.

მხიარული გოშა ლაპარაკობს მხოლოდ რუსულ ენაზე, აქვს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა და რაც მთავარია, შესანიშნავად მოამზადებს თქვენს შვილს სასკოლოდ.

გოშა ფლობს ისეთ თამაშებს, როგორიცაა:
– „შემეხე“
– „გაიმეორე ჩემთან ერთად“
– „ანგარიში“
– „ანბანი“
– „დამირეკე“
– „შეკითხვებით თამაში“.

თამაშის მსვლელობის დროს გოშა ურთიერთობს ბავშვთან. სწორი პასუხის შემთხვევაში, იგი მაშინვე აქებს ბავშვს და ზოგჯერ სიყვარულსაც უხსნის. თუ პასუხი არ არის სწორი, გოშა უსწორებს მას შეცდომას, ან სთხოვს, სცადოს კიდევ ერთხელ. თამაშის დროს ბავშვი ეცნობა ანბანს, ციფრებსა და ნოტებს; სწავლობს „მარჯვენა“ - „მარცხენის“ ერთმანეთისაგან გარჩევას. თუ ბავშვი დაიღალა, მხიარული გოშა სთავაზობს მას ერთად სიმღერას. გოშამ იცის 18 პოპულარული სიმღერის მელოდია.

გოშასთან ურთიერთობის დროს საჭიროა მოეფეროთ თათებზე, ან გამოიყენოთ დისტანციური მართვის პულტი. პულტის კლავიშებს გეომეტრიული ფიგურების, ციფრებისა და ასოების ფორმა აქვს. პულტს გააჩნია მუშაობის ორი რეჟიმი: პირველ რეჟიმში ბავშვებს შეუძლია უბრალოდ დააჭიროს ხელი ნებისმიერ კლავიშს და გოშა აუხსნის: „ეს არის ასო – ო“, „ეს არის ციფრი – 5“, „ეს არის წითელი კვადრატი“ და ა.შ. მეორე რეჟიმში გოშა იძლევა დავალებებს, მაგალითად: „მაჩვენე ასო – ბ“, „მაჩვენე ციფრები 1-5“. თუ ბავშვი შეცდომით უპასუხებს, გოშა აუცილებლად შეუსწორებს: „არა, ეს არის ასო – ვ. მაჩვენე ასო – ვ. მაჩვენე ასო – ბ“. სწორი პასუხის შემთხვევაში, იგი შეაქებს მას შემდეგი ფრაზებით: „ყოჩაღ, სწორია!“ „ვაშა, შენ მოიგე!“ „მე შენ მიყვარხარ“ და ა.შ. თუ ბავშვი ვერ გაიგებს შეკითხვას ან ფრაზას, შეიძლება გამოიყენოთ კლავიშა „ფრაზის ან შეკითხვის გამეორება“.

გოშას არ უყვარს მარტოობა. ამიტომ, როდესაც ყურადღება მოაკლდება, იწყებს სტვენას, ცემინებას, ხვრინვას, ოხვრას და ა.შ.

გოშასთან ურთიერთობის დროს, ბავშვს უვითარდება მეხსიერება, ლოგიკა, იუმორის გრძნობა, სმენა, მეტყველება, ყურადღება.

სათამაშოს ზომებია: 40X30სმ. რეკომენდებულია ბავშვებისთვის 2-დან 6 წლამდე.

ფასი: 169 ლარი
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

„დაემუქრა მეუღლეს – ისეთ შვილებს გაგიზრდი, თავგედს გაწყვლინებო...“

(„გზა“, №20, „ჩემი შვილი საუნაში მუშაობს“)

თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, რუბრიკით „ფსკერი“, გამოქვეყნდა დალი სეხნიაშვილი-მიქავას ინტერვიუ, რომელშიც ის თავისი გულისტკივილის შესახებ გვიამბობდა. „მინდა, ყველა დედა დააფიქროს ამ წერილმა,“ — გვითხრა მაშინ მრავალშვილიანი ოჯახის დედამ და დაუფარავად მოგვიყვა, თუ როგორ გახდა უფროსი შვილი — გულია (ქეთი) მიქავა მეძავი.

პუბლიკაციამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მკითხველები გვირეკავდნენ, აზრს გვიზიარებდნენ; ზოგი კიცხავდა, ზოგიც საქციელს უწონებდა ქალბატონ დალის, რომელსაც გამბედაობა ეყო და მკითხველთა სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ოჯახის ტრაგედიის ამბავი, მაგრამ სულ ახლახან, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, მიქავების ოჯახის ახლობელი და გულშემატკივარი — ბატონი ზურაბ სოფრომაძე დაგვიკავშირდა, რომელმაც გულისტკივილით ეს ამბავი სხვაგვარად წარმოგვიდგინა...

ზურაბ სოფრომაძე

— ბატონო ზურაბ, მიქავების ოჯახთან დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებთ?

— ამ ოჯახს 1990 წლიდან ვიცნობ. ამ ოჯახის უფროსთან ერთად ვმუშაობდი თბილისის საავიაციო საწარმოში. პირველად გავიცანი ემზარი, შემდეგ მისი მეუღლე — დალი. მაშინ მათ მხოლოდ 6 შვილი ჰყავდათ. ტყუპი მოგვიანებით შეეძინათ. ემზარი ალალი, პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობდა. ის ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი იყო. მინდა გითხრათ, რომ ზვიად გამსახურდიასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მისი პირადი დაცვის უფროსი მხოლოდ იმიტომ ვერ გახდა, რომ ზედიზედ ორი ოპერაცია გაიკეთა და ჯანმრთელობა არ აძლევდა ამის საშუალებას. შემდეგ, ემზარს სდევნიდნენ და ავიწროებდნენ. ის გახლდათ ჩხოროწყუს კომენდანტის მოადგილე და სწორედ იმ დროს დააკავეს ზუგდიდში. ერთი კვირა პოლიციის განყოფილებაში ხან ფეხებით, ხან ხელებით კიდებდნენ. ამ დროს, დაპატიმრებულთა სიაში აღრიცხულიც არ ყოფილა. ემზარი მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც ქობალიას გვარდიამ დაიჭირა გია ყარყარაშვილი და ბესო ქუთათელაძე და ტყვეთა გაცვლა მოხდა.

— სტატიის გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი წელი გავიდა. რამ მოგიყვანათ რედაქციაში ამდენი ხნის შემდეგ?

— ამ სტატიას მე მხოლოდ ახლა, რამდენიმე დღის წინ გავეცანი. ნათლად ჩანს, რომ დალის, ქეთის გამოსწორება სურს და ინტერვიუც ამიტომ მოგცათ, მაგრამ ერთი რამ მიკვირს: ის ამ სიბინძურეში ქეთის ჩაფლობის მიზეზს სწორად არ ასახელებს. დალი ამბობს: „როცა მან ასეთი ცხოვრება დაიწყო, ჩვენ მატერიალურად არ გვიჭირდა, პირიქით — საკმაოდ წელგამართულებიც ვიყავით. მას ასეთი ცხოვრება მოსწონს“.

— სინამდვილეში როგორ იყო?

— ეს ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა 6 შვილი ჰყავდათ, საავიაციო საწარმომ მათ ერთ სართულზე 2 ბინა — 2 და 3-ოთახიანი მისცა. ერთ-ერთი, 10 ათას დოლარად გაყიდეს მაშინ, როდესაც ემზარი დაჭერილი იყო. მეორე, ჩხოროწყუში, ეზოიან სახლში გადაცვალეს. საკმაოდ მინგრეული ეზო-კარი იყო. მე თვითონ, პირადად ვეხმარებოდი ოჯახს, რომ ყველაფერი აღგვედგინა და სახლი საცხოვრებლად ვარგისი გაგვეხადა. ბავშვებიც გვეხმარებოდნენ. ქეთი და დანარჩენი ბავშვებიც, თავს არ ზოგავდნენ, თოხნიდნენ და ბარავდნენ კიდეც. შემდეგ, ისევ თბილისში წამოვიდნენ. აქ კი საცხოვრებელი ბინა უკვე აღარ ჰქონდათ. გოგონებს დალიც გამოჰყვა. ნეტავ, გენახათ, როგორ პირობებში უწევდათ ცხოვრება. თბილისში მათი დაბრუნების შესახებ რომ გავიგე, ბევრი ვეძებე, სულ ფეხით მოვიარე ის ადგილები, სადაც შეიძლებოდა, რომ მეპოვა. ბოლოს „აფრიკაში“, ერთ-ერთ ბუნაგში მივაგენი...

— როგორ თუ ბუნაგში?

— სხვას ვერაფერს უწოდებდით იმას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. რაღაც, ერთი ბეწო, კერძო სახლისმაგვარი გახლდათ. მინგრეულ-მონგრეული, ჭუჭყით სავსე სადგომი იყო, ცეცხლს პირდაპირ მიწის იატაკზე ანთებდნენ. მაგრამ ყველა ამ „სიკეთესთან“ ერთად, გარყვნილების კერად იყო გადაქცეული: მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ. ვერ გაიგებდი, ვინ იყვნენ; ზოგი ამბობდა — ძველი ბიჭი ვარო, — ზოგი ქურდობას იბრალებდა, ერთმა „გრუპამ“ კი მითხრა: საბურთალოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლები ვართ და ქეთი ჩვენთან მუშაობსო. იქ ხშირად შეხვდებოდით თურქებსა და გაურკვეველი ეროვნების ადამიანებსაც...

— ვინ და ვინ ცხოვრობდნენ იმ ბუნაგში?

— დალი, 5 შვილთან ერთად. იქვე, ახლოს პურის საცხობი იყო და 2 უფროსი გოგონა მთელ ღამეებს იქ ათევდა იმ საბაბით — ვმუშაობთ, პურის ფული რომ ვიშოვოთო... გადავწყვიტე, ამ სიბინძურიდან დამეხსნა ისინი და მივაღწიე იმას, რომ ჩხოროწყუში დავაბრუნე... ეს ამბავი 3 წლის წინ მოხდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, ჩავაკითხე რაიონში და აღმოჩნდა, რომ უფროსი გოგონები ისევ თბილისში გამოქცეულან. ცოტა ხანში, დედაც თან გამოჰყვათ. დავიღალე მათი დევნით, მაინც არაფერი გამომივიდა... ამ ორი წლის წინ, საბურთალოზე, შემთხვევით დავინახე ქეთი, რომელიც საუნაში ჩადიოდა. არ დავუძახე, თვითონაც თვალი ამარიდა. ცოტა ხანში, კიბეზე ვიღაც გოგონა ამოვიდა და შემამოწმა — ისევ იქ ვიდექი თუ არა; შემდეგ, ერთმა მსუქანმა დედაკაცმა გამოიხედა, როგორც მერე გავიგე, „მამაშა“ ყოფილა... ალბათ ქეთიმ იფიქრა, რომ მას ველოდებოდი და ვიდრე არ გამოვიდოდა, არ წავიდოდი, ადგა და თვითონ მოვიდა ჩემთან. — „აქ რა გინდა?“ — ვეკითხები. — ვმუშაობო. ვთხოვე:

ხვალ ამა და ამ ადგილზე დაგელოდები, დედაშენი მოიყვანე და მოდი-მეთქი. შემპირდა, მაგრამ არ მოვიდნენ. ლოდინით რომ დავიღალე, ისევ იმ საუნასთან მივედი. ქეთის რომ ვკითხე – რატომ არ მოიყვანე დედაშენი-მეთქი? – მიპასუხა: არც ისეა საქმე, ზურა ბიძია, როგორც შენ გგონიაო, – და საუნაში გაუჩინარდა. იქვე „სტაიანშიკი“ იდგა. რომ გაიგო, ქეთის ოჯახის ახლობელი და გულშემატკივარი ვიყავი, ასეთი რამ მიამბო: ეს გოგო საუნაში მუშაობს, მეძავია; უამრავი კაცი აკითხავს; ხშირად მოდის ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად, რომელსაც ქმრად ასაღებს, სინამდვილეში კი ის ბიჭი ქეთის კმაყოფაზე ცხოვრობს; ის ბიჭი ხშირად ფიზიკურადაც უსწორდებაო... მერე გავიგე – ის კაცი შეჰპირებია, ცოლად მოგიყვანო, ქეთი დაორსულებულა, მაგრამ როცა მიმხვდარა, რომ ის ატყუებდა, მუცელი მოუშლია და ძალიან ცუდად ყოფილა. ოპერაცია დასჭირვებია, „საუნის დაქალებს“ მისთვის 400 ლარი შეუგროვებიათ და საავადმყოფოდან ახალგამოსული, თითქმის მთელ ნაშოვნ თანხას დაქალების ვალის გასტუმრებას ახმარდა...

— ბოლოს როდის ნახეთ ქეთი?

– შარშან, შემოდგომაზე, ელბაქიძის დაღმართზე, თავის უმცროს დასთან ერთად. ლია ჩემკენ გამოიქცა, გადამკოცნა. ქეთის შევატყვე – ანერვიულდა, რომ დამინახა. ვთხოვე, დალისთან მივეყვანე, მაგრამ არ მითხრა, სად ცხოვრობდნენ. არადა, დალისთან რამდენიმე საკითხი მქონდა გასარკვევი...

— მაინც რა?

– ერთხელ, მე თვითონ შევესწარი, ქეთიმ რომ უთხრა დედამისს: ჩამოვა მამაჩემი და ვეტყვი, როგორი დედაც ხარო...

— რატომ მაშინვე არ დაინტერესდით, რას გულისხმობდა?

– ჩავთვალე, რომ ეს ოჯახის საქმე იყო და არ ჩავერიე, ემზარს ხომ არ გადავაბიჯებდი?! ისედაც საკმარისი ინფორმაცია მქონდა იმისთვის, რომ ემზარისთვის მეთქვა. დალის მაშინვე თავს წააძრობდა...

— თქვენ ფიქრობთ, რომ ემზარმა არ იცის, რით სუნთქავს მისი ოჯახი?

– იცის, ძალიან კარგად იცის, მაგრამ ვატყობ, ვერ მოერია... ნათქვამია: ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო. ჩემი ყურით გაგონილს გეტყვით. დალი დაემუქრა თავის მეუღლეს: თუ ყურადღებას არ მომაქცევ, ისეთ შვილებს გაგიზრდი, თავბედს გაწყევლინებო...

— ვიცი, რომ დალი მერიიდან დახმარებას ელოდა, მერის მხარდამჭერ აქციებშიც აქტიურად მონაწილეობდა. ხომ არ იცით, როგორ გადაწყდა მათი საქმე?

– არა, არაფერი ვიცი, მაგრამ ვეჭვობ, რაიმისთვის მიეღწიათ. მათ ყველა გზა მოიჭრეს იმისთვის, რომ რაიმე დახმარება მიეღოთ. ამ ოჯახის გადასარჩენად, მათი სიბინძურიდან ამოსაყვანად ძალიან ბევრი ვიბრძოლე. მხოლოდ ემზარის პატივსაცემად ვაკეთებდი ამას. ეს კაცი მშვიდი, პატიოსანი ოჯახის ღირსია და არ გაუმართლა... ჩემი აქ მოსვლის მიზანი ის არის, რომ ხმა მივაწვდინო დალის. ვიცი, რომ ბოლოს, უმცროს შვილებთან ერთად, ქუჩა-ქუჩა დადიოდა, ღამეს გარეთ ათევდა და მშიერ-მწყურვალი იყო... ახლა სად არის და როგორ ცხოვრობს, არ ვიცი. კიდევ ერთხელ ვეცდები, დახმარების ხელი გავუწოდო და გადავარჩინო. იქნებ, წაიკითხოს ჩემი ინტერვიუ და გამომეხმაუროს.

მარი ჯაფარიძე

გამოხმაურებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჟურნალისტს ტელ: 8(77) 45-68-61

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ჰქვია ძართველ გაიკერთა კლუბს?

ა) „სწრაფი ბორბლები“;
ბ) „კამელოტი“;
გ) „ექსტრიმი“.

2. ოფიციალური წყაროების მიხედვით, როდის დაედო დასაბამი საქართველოში მოსახლეობის აღწერას?

ა) XIII ს-ში;
ბ) XVIII ს-ში;
გ) XX ს-ში.

3. რომელი ხილის ხეს აძვს შავი მერქანი?

ა) ვაშლის;
ბ) ბანანის;
გ) ხურმის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ბულუბრუკვილო ბუმბერაზი, მოტყუებული ცოლი და შევარდნაძის მიერ „ჩაწყობილი“ ავტომობილი

მსახიობი ბორის წიფურია სიამოვნებით დაგვთანხმდა გაეხსენებინა არაერთი სახალისო, კურიოზული შემთხვევა თავისი ცხოვრებიდან. ბატონ ბორისს ხომ ყველასთვის საყვარელ, უდიდეს მსახიობებთან ერთად მოუწია სცენაზე თამაში... შეიტყობთ, რა ოინს უწყობდა მას სპექტაკლის დროს კოტე მახარაძე, როგორ გადაარჩინა რამაზ ჩხიკვაძემ გოგი ქავთარაძე დასიდან გარიცხვას და როგორ ჩაუწყო თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ საქმე, რომ მსახიობს ახალთახალი მანქანა მიეღო...

ნანუკა არაბული

გოგი ქავთარაძე, სერგო ზაქარიაძე და დაუმარხავი მკვდარი...

რუსთაველის თეატრში გოგი ქავთარაძემ დადგა სპექტაკლი „ედინბურგის ზარები“. მოქმედება ხდებოდა კუნძულ ტექსელზე, დიდი სამამულო ომის პერიოდში. ერთ-ერთ სცენაში, მეტი შთამბეჭდაობისთვის გოგიმ საიდანღაც მოიყვანა გაწვრთნილი გერმანული ნაგაზი, რომელსაც ვალიკო ელოშვილი „მიამაგრეს“. ვალიკოს ისედაც შემზარავი გრიმი ჰქონდა და ამ ნაგაზმა სულ კაციჭამიას დაამსგავსა. მორიგ ეპიზოდში სცენაზე ტყვეები შეგვყარეს, მიწაზე ვართ გართხმულები. დადის ჩვენ შორის ვალიკო ძაღლით, ზოგს წიხლს ჩასცხებს, ზოგს ჭვინტს წაჰკრავს და თან გაიძახის: „შვაინ!..“ წინა წარმოდგენაზე მაინცდამაინც მე ამომიჩემა და იმისთანა მომცხო, კინაღამ ფეხი მომტეხა. ახლაც მოდის ჩემკენ, ვიცი, წიხლს ამომარტყამს. მომიახლოვდა, მომიქნია ფეხი და მე, ვითომ შიშისგან, მოვიკუნტე, წიხლი ავიცდინე. ჰოდა, ამცდა ეს აქნეული ფეხი, მაგრამ ვალიკომ თავი ველარ შეიკავა და ინერციით სცენაზე დაენარცხა, თან უკანალით. მაყურებელმა ხომ იცინა, მაგრამ სცენაზე ისეთი ხარხარი ატყდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ვალიკო ძლივს წამოდგა და გაცეცხლებულმა დამცხო და დამცხო წიხლები: ეს რა მიქნია! მეც იქამდე ვიცდენდი, ვიდრე კულისებში არ აღმოვჩნდი. მოკლედ, ეს ტრაგიკული სპექტაკლი კომედიად გადაიქცა. ერთ-ერთი სცენა ასეთია – ტუსაღები ვთათბირობთ ავჯანყების შესახებ. ამ დროს შემოდის ელოშვილი თავის ძაღლთან და მეთაურთან ერთად. გვეკითხებიან: აქ რატომ შეკრებილხართო? კოტე მახარაძე პასუხობს: დღეს ჩემი დაბადების დღეა, ჰერ! გთხოვთ, ჩემი სადღეგრძელო დალიეთო, და წყლით სავსე კონსერვის ქილას აწვდის, ვითომ ღვინოა. ოფიცერმა კი ზიზღით ეს ღვინო სახეში უნდა შეასხას კოტეს. ამ დროს იხურება ფარდა და მთავრდება სურათიც.



გოგიმ სიტყვის გაგრძელება არც აცალა, ხელები გაშალა და შეტევაზე იქით გადავიდა

ჩვენს რეაქციაზე სერგო შეტრიალდა უკან და გოგი რომ დაინახა, უყვირა: აქამდე სად ხარო?

დაიწყო ეს სცენა. კოტემ მიზანსცენა შეცვალა და მე დამიდგა წინ სასმისი, რომელიც ზომაზე მეტად იყო სავსე „ღვინით“. ტანმა რაღაც ცუდი მიგრძნო. გავიხედ-გამოვიხედე და ავთო მახარაძე დგას ჩემ გვერდით; ზიზღით შესცქერის გერმანელ ოფიცერს. თვითონაც რომ არ უგრძნია ისე, ჩემს ადგილზე გადმოვიყვანე. დადგა ის მომენტი, როცა ოფიცერმა ქართველ ტყვეს სახეში უნდა შეასხას ღვინო. კოტემ უცებ თავი დაღუნა და ეს წყალი თხლიშინით ეძგერა პირღია ავთოს სახეში. კოტემ გამარჯვებულის სახით მოიხედა უკან და თავისი მოგვარე კი შერჩა ხელთ. თურმე ყველა გაუფრთხილებია, ნახეთ, ბორიას რა გავუკეთოო! ამ არშემდგარი ფანდის გამო კვლავ სიცილი ატყდა. გერმანელებმა და ქართველებმა ხომ სიცილით სულ ერთმანეთს ურტყეს თავები... ჯერ სადა ხარ... ჩვენი მოკარნახე სონია ზის პირველ კულისებში. სიცივისგან თავის დასაფარად თეატრის ცენტრალური ფარდა ტანზე შემოუხვევია და სძინავს... როგორც კი წამოვიდა ფარდა გრიალით, ეს ჩვენი სონია ბურთივით შემოაგდო სცენაზე. ორ-სამჯერ გადაკოტრიალდა, კაბა თავზე წამოეცვა და მწვანე ფერის პერანგის ამხანაგის დანახვაზე კინაღამ გონება დავკარგეთ. ეს კიდევ არაფერი! ფარდა დაიხურა და სონია ფარდის მიღმა დარჩა, მაყურებელთა დარბაზის პირისპირ, ოთხად მოკეცილი. თეატრი მაყურებელთა ისტერიული ხარხარისგან ზანზარებდა. დაბნეული სონია ძლივს შემოხოხდა ფარდის ქვეშიდან სცენაზე. ვერც კი გაეგო, რა ხდებოდა. ისწორებს კაბას და გვეკითხება: „რა მოხდა, ბიჭებო?“ ეს დღე თეატრის კურიოზების ისტორიაში ჩაიწერა...

ერთი ამბავი გამახსენდა გოგი ქავთარაძეზე და ბარემ იმასაც მოგიყვებით. გოგი თან თეატრში მუშაობდა და თან ლექციებს კითხულობდა თეატრალურ ინსტიტუტში. თეატრის დირექტორი სერგო ზაქარიაძე იყო. გოგის ჯგუფში ერთ-ერთ სტუდენტს მამა გარდაეცვალა, თუ არ ვცდები, ხევსურეთში. გოგი მისულა სერგოსთან და უთხოვია: ორი დღით გამიშვით, ჩემი სტუდენტია და რომ არ წავიდე, უხერხულიაო... როდისთვის გინდა წასვლაო? – უკითხავს სერგოს. ორშაბათს გარდაიცვალა და ალბათ, კვირას დაკრძალავენ, მე შაბათს წავალ, კვირას იქ ვიქნები, ორშაბათს წამოვალ და სამშაბათს აქ ვიქნებიო. გაუშვეს. გოგი წავიდა, მაგრამ მოვიდა სამშაბათი და არ ჩანს. ოთხშაბათსაც არ ჩამოვიდა. რეპეტიციები ცდებოდა და სერგო ცოფებს ყრიდა. შაბათსაც რომ არ გამოჩნდა გოგი, თეატრიდან მის გათავისუფლებაზე მიდგა საქმე. როგორც შეგვეძლო, ვამშვიდებდით ბატონ სერგოს: ალბათ, რამე შეემთხვა და ამიტომაც არ ჩანს-თქო... მეორე კვირაა უკვე, ორშაბათი დღე. ფოიეში ვართ ყველანი. ამ დროს გოგი შემოდის, ყველანი გავშეშდით. ჩვენს რეაქციაზე სერგო შეტრიალდა უკან და გოგი რომ დაინახა, უყვირა: აქამდე სად ხარო? გოგიმ სიტყვის გაგრძელება არც აცალა, ხელები გაშალა და შეტევაზე იქით გადავიდა: „ამისთანა რამე

თუ გინახავთ, ბატონო სერგო, ან გაგიგონიათ? ლამის გავგიჟდი, ისეთ დღეში ჩავვარდი კაცი. შაბათს ჩავედი და რომ მეგონა, კვირას დაასაფლავებდნენ და დავბრუნდებოდი მეორე დღეს, არ დამარხეს! რა უნდა მექნა?! დავიცადე, არც სამშაბათს დამარხეს. მეგონა, ხუთშაბათს მაინც დამარხავდნენ და არც ეს ქნეს. რა უნდა მექნა, ხომ არ წამოვიდოდი და მეორედ ხომ არ ჩავიდოდი?! სად იყო ამდენი დრო და საშუალება? შაბათსაც რომ არ დამარხეს, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე! გინახავთ ასეთი რამე, ამდენ ხანს რომ არ დაემარხოთ მიცვალებული?" სერგო სიბრაზისგან გაწითლდა, გალურჯდა და რომ გვგონია, გოგის შუაზე გაგლეჯს, ამ დროს რამაზი (ჩხიკვაძე) მშვიდად ამბობს: რამ შეგშალა ჭკუიდან, რა, დაუმარხავი მკვდარი არ გინახავსო? მაშინ კი სერგომ იღრიალა: სად გინახავს დაუმარხავი მკვდარი, ერთი მითხარიო!.. სად და მოსკოვში, ლენინი, ბატონო, როდის არის დამარხულიო? ამის თქმა იყო და სერგოს ისეთი სიცილი წასკდა, ძლივს მოვასულიერეთ. რამაზმა გოგი კი გადაარჩინა, მაგრამ ჩვენ სიცილით დავიხოცეთ...

იპოლიტე ხვიჩია და დეიდა ჟენია...

ერთ-ერთ ახალ წელს, ჩემი ახალგაზრდობის მეგობრების – პავლე და ვოვა დავითაიების ოჯახში შევხვდით. პავლე და ვოვა იმხანად უკვე გარდაცვლილი პროფესორ ილია დავითაიას შვილები არიან. დეიდა ჟენიამ შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია. დილამდე ვიქეიფეთ. პირველ იანვარს დილით გამოვედით ქუჩაში, ერთმანეთს ვემშვიდობებით. ქუჩაში დიდი ჟრიამულია. ამ დროს ქუჩაზე მოგრიალებს მილიციელის „კალიასკიანი" მოტოციკლეტი და ისმის ყიჟინი და შეძახილები: „გილოცავთ ახალ წელს, იყავით ბედნიერი" და ა.შ. გამვლელებიც ყიჟინითა და სიხარულით ეგებებიან. მოგვიახლოვდნენ. მოედანზე წრე დაარტყეს და რას ვხედავ: „კალიასკაში" იპოლიტე ხვიჩია ზის გაბადრული სახით, შამპანურითა და შამფურით ხელში. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? გადავეღებეთ და მოტოციკლეტიდან ჩამოვსვით. ვთხოვე: ბატონო იპოლიტე, ოჯახში შეგბრუნდეთ, დავითაიების მეკვლე იქნებით-მეთქი. აბა, იპოლიტე რისი იპოლიტე იქნებოდა, ჩვენი თხოვნა არ შეესრულებინა? ავედით, კარში იპოლიტე დავაყენეთ. ზარი მივეცით. დეიდა ჟენიამ გააღო თუ არა კარი, შეკივლა: ამას ვის ვხედავო?! იპოლიტემ გაშალა ხელები და გულში ჩაიხუტა დეიდა ჟენია. მეზობლებიც იქ გაჩნდნენ და დაიწყო ქეიფი – სიმღერა, სიცილი... სუფრის გაშლისას დეიდა ჟენიამ მოულოდნელად თქვა: ჩემი ქმარი ცოცხალი რომ იყოს, უკეთესად დაგხვდებოდითო... ამის გაგონებაზე იპოლიტე წამოვარდა, ხელები გაშალა და შეყვირა: ქვრივი ხარ, ჩემო ანგელოზო ქალბატონო?! მოგიკვდეს ჩემი თავიო, – და ისე ჩაიხუტა დეიდა ჟენია, ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან... ყველამ სიცილი დაიწყო, კარგად მოვილხინეთ. ის ახალი წელი არასდროს დაგვავიწყდება...

აკაკი ხორავა და უშველებელი აჭარული ხაჭაპური

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელ ჯგუფს სოხუმის თეატრში მოგვიწია მუშაობა. აკაკი ხორავას თაოსნობით შეიქმნა აფხაზური ჯგუფიც. ბატონმა აკაკიმ უზარმაზარი ღვაწლი დასდო აფხაზურ თეატრს და იქაურებს ძალიან უყვარდათ.

ერთხელ ბატონი აკაკი, ბატონი ილია თავაძე (ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი) და პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე სოხუმში ჩამოვიდნენ სპექტაკლების სანახავად. დილით სტუმრებს სასტუმროს ფოიეში ჩავუსაფრდი და შევთავაზე საუზმე, ზღვისპირა, ღია ცისქვეშა კაფეში, სადაც ძალიან გემრიელ აჭარულ ხაჭაპურს აცხობდნენ. ბერძენი მზარეულები იყვნენ იმ კაფეში. კაფეში რომ შევედით, თითქმის ყველა წამოდგა და მოგვესალმა. საუზმე მოიტანეს, მაგრამ ხაჭაპური იგვიანებს. მაგიდიდან ვანიშნე ოფიციანტს, – რას მიშვრებით-მეთქი?! ხელითვე მანიშნეს – ცოტა მოიცადეო. ვნერვიულობ, არ მინდა, რომ შევრცხვე. აკაკიც დროდადრო მახსენებს: აბა, სად არის შენი ნაქები ხაჭაპური? ამ დროს ვხედავ, ორივე მზარეული, „პოდნოსებით" მოდის ჩვენკენ. ჩვენ ჩვეულებრივ ხაჭაპურები დაგვილაგეს, ბატონ აკაკის კი – იმავე ფორმის, ოღონდ უზარმაზარი სიდიდის. გოჭი რომ შემოაქვთ სუფრაზე, ისეთ დიდ ლანგარზე დადებული დაბრაწული ხაჭაპური მიართვეს. „ეტო ჩტო ტაკოე?" – დაიგრგვინა ხორავამ. ეს, ბატონო, თქვენს პატივსაცემად გამოვაცხეთ პირველად, ამ ზომისა არასდროს გამოგვიცხვია. თქვენ გეგონათ, ვერ გიცანით?! თქვენ ხომ გიორგი საakაძე ბრძანდებით! უფრო დიდი ხაჭაპურიც გეკუთვნით, მაგრამ ღუმელი არ გვიწყობს ხელსო...

ბორის წიფურიას და შოთა გაბელაიას საშემოდგომო ვოიაჟი...

ერთხელ მე და ჩემმა უსაყვარლესმა მეგობარმა შოთა გაბელაიამ გადავწყვიტეთ დასასვენებლად წასვლა შავი ზღვის სანაპიროზე. – კი, მაგრამ ამას (ცოლზე) რა ვუთხრაო? – მკითხა შოთამ. შენს ცოლს

ქოლგეით-პალმოლივის მორიგი საქველმოქმედო აქცია

ამ დღეებში ქართული მედიცინის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვნესი ღონისძიება ჩატარდა. 2-6 მაისს პირველად გაიმართა ასეთი ფართომასშტაბიანი საქართველოს ექიმთა კონგრესი. მასში 5 ათასამდე ექიმმა მიიღო მონაწილობა. ღონისძიების ძირითადი სპონსორი კომპანია ქოლგეით-პოლმოლივის წარმომადგენლობა იყო.

სპონსორის დახმარებით შესაძლებელი გახდა კონგრესისათვის სპეციალური პროგრამა-ბუკლეტის ჯანმრთელობის დაცვა საუკუნეთა მიჯნაზე რეალობა და პერსპექტივები გამოცემა.

გარდა ამისა, კონგრესის მსვლელობისას ქოლგეით-პოლმოლივმა მოაწყო სპეციალური სტენდი, სადაც ყველა მონაწილეს დაურიგდა კბილის პასტა ქოლგეითი და საინფორმაციო ბუკლეტი მის შესახებ.

კომპანიის ძირითადი მიზანია მჭიდრო თანამშრომლობა ექიმებთან. ამიტომაც მსგავს ღონისძიებებში აქტიურ მონაოილეობას ვიღებთ, - განაცხადა ქოლგეით-პოლმოლივის წარმომადგენლობის მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტმა ინგა მეურმიშვილმა.

ღსანიშნავია, რომ ამ დღეებში კომპანიამ თბილისის 25 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლებს უფასოდ გადასცა ქოლგეით-პალმოლივის წარწერიანი სამედიცინო ხალათები.

ხვალ იმისთანა დეპეშას გავუშანშალებ, თვითონ შეგეხვეწება წასვლას-მეთქი — დავამშვიდე. მეორე დღეს აზამ — შოთას მეუღლემ მიიღო ასეთი დეპეშა: В Одесскую киностудию приглашаетесь на главную роль в кинокартине „Хождение по морям". Директор картины Триперков. ტრიპერი, მოგეხსენებათ რაც არის... აზამ დეპეშა რომ წაიკითხა, გადაირია: რას აპირებ, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო. შოთამ თავი მოისაწყლა: რა ვქნა, როგორ წავიდე, ფული არა მაქვსო... აზა დატრიალდა და ფული უშოვა მეუღლეს. მოკლედ, წავედით ოდესაში. მოგზაურობის დროს ქოლერის ეპიდემია გაჩნდა. აზას შეშინებია და ოდესის კინოსტუდიაში დეპეშა უფრენია — მსახიობ შოთა გაბილაიას, რომელიც ამა და ამ ფილმში თამაშობს, ჯანმრთელობის ამბავი მაცნობეთო. ოდესიდან, რა თქმა უნდა, პასუხი მიიღო: Такой фильм у нас не снимается и такого директора мы не знаем... მოკლედ, დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა და დავბრუნდით უკან. ხელცარიელი როგორ მივიდე სახლშიო და შოთამ ცოლს ე.წ. „ნე ბიუშჩი" ჩაიდანი უყიდა თავისი ჯიქებით. მისულა შოთა სახლში და დაუწყია წუწუნი: ნახევარი კი გადავიღეთ, მაგრამ ამინდი შეიცვალა და მომავალი წლის ამ დროისთვის გადაიდო გადაღებებიო... საშემოდგომო ვოიაჟი უკვე წინასწარ გვქონდა დაგეგმილი... სად უნდა წახვიდეო? — ჰკითხა შოთას ცოლმა.

— როგორ თუ სად, ოდესის კინოსტუდიაში...

— რა კინო, რის კინო, — იყვირა აზამ და ოდესიდან მიღებული დეპეშა ააფარა სახეზე. შოთა მიხვდა, რომ საქმე ცუდად ჰქონდა და ტაქტიკა შეცვალა — ვიცი, ჩემზე რომ ნერვიულობდი და საჩუქარი ჩამოგიტანეო — „ნე ბიუშჩი" ჩაიდანი, არასოდეს არ გატყდებაო, — უთხრა და ამის დასამტკიცებლად ორ მეტრზე ასწია ჩაიდანი, ხელი გაუშვა და წამში ეს საჩუქარიც ნამსხვრევებად იქცა... ამის საპასუხოდ აზამ მართლა „ნე ბიუშჩი" ჩაიდანს სტაცა ხელი და სდრუზა და სდრუზა თავში თავის მეორე ნახევარს... მოგვიანებით, რა თქმა უნდა, ცოლ-ქმარი შერიგდა, მაგრამ მე და შოთას კი საშემოდგომო გეგმები ჩაგვეშალა.

მე და შოთა სოხუმის თეატრში „მამელუქებში" ვთამაშობდით ძმებს — ხუტას და ბიტას. სპექტაკლში იყო ერთი ასეთი სცენა: სტამბოლის ბაზარზე სხვა ტყვეებთან ერთად, მე და ბიტაც უნდა გავეყიდეთ. ვაჭარი ერთმანეთს აჭიდებდა ბიჭებს. ვინც ძლიერი აღმოჩნდებოდა, სწორედ იმას ყიდულობდა. ამ სცენაში მე და ბიტაც უნდა დავჭიდებოდით ერთმანეთს. მე წავაქცევდი ჩემს ძმას. ე.ი. ძლიერი ვიყავი და ვაჭარსაც მე უნდა წავეყვანე.

სწორედ ეს სიუჟეტი იყო სათამაშო. გამწარებული ვდგავარ კულისებში და ვეძახი ბიტას, ის კი არ ჩანს.

— ჯიმა, ბიტა, სად ხარ? — ვყვირი საწყალობლად. „თათრებმა" შეგვათრიეს „ტყვეები" სცენაზე და დაგვყარეს. ჩემი და ბიტას დაჭიდების დროც მოვიდა, მაგრამ ბიტა ისევ არ ჩანს. თურმე, ნუ იტყვით და, შოთა საპირფარეშოში წასულა, სადაც გაჭედილი ყოფილა ტრაპი. მისასვლელი გზა კი აგურებით ყოფილა გაკეთებული. შოთას დასცურებია ფეხი და წუმპეში ჩავარდნილა.

გავიხედე, ერთ-ერთმა „თათარმა" სცენაზე შემოათრია ამოძუნგლული შოთა და ჩემ გვერდით დააგდო. შოთას შემოსვლა და დარბაზში ხალხის აჩოჩქოლება ერთი იყო. რა სუნია, რა საშინელებაა, — შეწუხდა მაყურებელი. წარმოიდგინეთ, მაყურებელი რომ შეწუხდა, მე რაღა მომივიდოდა? — ეს „აქოთებული ძმა" ჩემ გვერდით რომ იწვა?! არ გინდა, ამ სუნიან კაცს დაეჭიდო? — ვფიქრობ ჩემთვის. სხვა რომ ვერაფერი მოვიგონე, შოთას შორიდან გამოვუქნიე ფეხი და ძირს დავაგდე. სცენარის მიხედვით, ვაჭარი მე რომ წამიყვანდა, ძმები უნდა გადავფსკვნილიყავით და ავტირებულიყავით. ჩახუტებით ნამდვილად ვერ ჩავეხუტებოდი შოთას. ამიტომაც ძმაკაცივით ხელი ავუწიე, კარგად იყავი, ძმაო-მეთქი, — გამოვემშვიდობე სასწრაფოდ და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით დავედევნე ვაჭარს. ერთი სიტყვით, ნახევარსაათიანი სცენა ხუთ წუთში დავამთავრე. მეტხანს ვერც მაყურებელი და ვერც მე ვეღარ

მაშინვე ჩემკენ მოტრიალდა და შემეკითხა: „ბორის, საით მიდიხარ?"

გავუძლებდით იმ „დამათრობელ" სუნს, რაც შოთას ასდიოდა. მაყურებელმა კი ტაშის მაგივრად სულ „ფუი-ფუის" ძახილით გაგვაცილა კულისებში...

ედუარდ შევარდნაძე: „იცი, მე შემიძლია, მოგცე... კანფეტი..."

„მოსფილმის" მიწვევით მოსკოვში გავემგზავრე სასინჯ გადაღებებზე. იღებდნენ ფილმს „Центровой из поднебесья", მოკლედ, იქიდან მოვფრინავ. გაირკვა, რომ ცკ-ს პირველი მდივანი — ბატონი ედუარდ შევარდნაძე მეუღლესთან ერთად სწორედ იმ თვითმფრინავით ბრუნდება თბილისში. როგორღაც მოვახერხე და იმ სალონში აღმოვჩნდი. მივესალმეთ ერთმანეთს და როგორც კი დაჯდა, მაშინვე ჩემკენ მოტრიალდა და შემეკითხა: „ბორის, საით მიდიხარ?" უცებ ვუპასუხე: „თბილისამდე არსად ჩერდება თვითმფრინავი"... ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ. მოსკოვში რა გინდოდაო? — მკითხა და რადგან კინოზე ჩამოვარდა საუბარი, ჩემი ანაზღაურებით დაინტერესდა. ყველა როლზე გაზრდილი ჰონორარი ვუთხარი: ამ როლში 3.700 მანეთი გადამიხადეს, იმ როლში — 4.000-მეთქი და ა.შ. ლოგიკური კითხვა გაუჩნდა: კი, მაგრამ ამდენ ფულს რას უშვრებიო? მანქანისთვის ვაგროვებ, „ვოლგაზე" ვოცნებობ-მეთქი... ჰო, მაგრამ ამ თანხით ხომ ორი ვოლგა მოგივაო? რანაირად მომივა, მაღაზიაში თავის ფასში არ მაძლევენ, ხელზე კი ძვირი ღირს-მეთქი, — დავიწუწუნე. ქალბატონმა ნანულიმ სიტყვა შემაწია — ბორისს ნამდვილად ეკუთვნის მანქანაო. მე სიხარულისგან სახე გამებადრა და თავი ჩავლუნე. ამ დროს ბატონი ედუარდის ხმა გავიგე:

— იცი, მე შენ შემიძლია მოგცე...

პაუზა...

— რა, ბატონო ედუარდ?

— შემიძლია მოგცე... აი, ეს კანფეტი, — აიღო კანფეტი და მომაწოდა.

რა უნდა მექნა? არ დავიბენი და გამოვართვი — თქვენს სამახსოვროდ შევინახავ-მეთქი. გავიდა დრო. „ნატვრის ხის" გადასაღებად წნორში ვიყავით და იქიდან რომ დავბრუნდით, მითხრეს: მამია მეგრელიშვილი — მაშინდელი რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი გამწარებული გეძებსო... მივედი ბატონ მამიასთან. რომ დამინახა, ძალიან გაუხარდა: სად ხარ ამდენ ხანს? რა ხანია, მანქანები მივიღეთ, შენი მანქანა აქ დგას და დღესვე წაიყვანეო... 45 კაცის სია შევუტანე და პირველს შენ გაგიკეთა „პლუსი", მერე ნონა გაფრინდაშვილს, სოფიკო ჭიაურელს და დოდო აბაშიძესო... სიხარულისგან ლამის გავგიჟდი... ■

ვიმუშაოთ კომპიუტერთან „კომპიუტერის თვალებით“

კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა, გადაღლილი თვალები, ცრემლდენა, მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილები.... ხომ ნაცნობი სიმპტომებია. და არა მარტო მათ, ვინც კომპიუტერთან მუშაობს, არამედ ყველა ჩვენგანის თვალებს სჭირდება დაცვა – ტელევიზორი ხომ ჩვენი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

■ რა დაიცავს ჩვენს თვალებს ეკრანის გამოსხივებისაგან?

ბუნება გვთავაზობს ნატურალურ კომპონენტებს, ისინი თავმოყრილია პრეპარატში **Computer Eyes.**

■ რას შეიცავს ეს პრეპარატი?

მის შემადგენლობაშია მხედველობის გასაუმჯობესებელი ბალახეული და ანტიოქსიდანტები, მიკროელემენტები და ვიტამინები.

■ რა დანიშნულება აქვთ ანტიოქსიდანტებს?

ამ პრეპარატში შემავალი ანტიოქსიდანტებია ვიტამინი **E** და **C**. ისინი აფერხებენ ორგანიზმში ისეთ რეაქციებს, რომლებიც ხელს უწყობენ თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას. თავისუფალი რადიკალები დიდ ზიანს აყენებენ უჯრედულ მემბრანებსა და ქსოვილებს, რითაც ზრდიან სიმსივნური წარმონაქმნის რისკს. ეს ვიტამინები იცავენ პრეპარატში შემავალ შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს დაჟანგვისაგან. ცხიმოვანი მჟავების ჟანგვის პროცესშიც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით თავისუფალი რადიკალები.

■ აქვს თუ არა პრეპარატს გვერდითი მოქმედებები და როგორ მივიღოთ ის?

კლინიკურად აპრობირებული მაღალეფექტური პრეპარატი **Computer Eyes** არანაირ გვერდით არასასურველ მოქმედებებს არ მოიცავს. ის დაიცავს თქვენს თვალებს გადაღლისაგან და ცრემლდენისგან, დაგეხმარებათ, ადვილად გაუმკლავდეთ კომპიუტერთან მუშაობით მიღებულ სტრესს.

მიიღეთ 2-3 კაფსულა დღეში.

გრეიპფრუტი - სილამაზე და ჯანმრთელობა



ზაფხული. მზე. ზღვა. სიყვარული და უცბად აღმოვაჩენთ, რომ ამ იდილიის დამრღვევი მიზეზი ჭარბი წონაა.

ჭარბი წონა მრავალი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს და საბოლოოდ მთლიანად არყევს ორგანიზმს. ხშირად შიმშილს, არასწორად დანიშნულ დიეტას სავალალო შედეგებამდე მივყავართ. სწრაფად წონის კლებასთან ერთად ვკარგავთ ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებსაც, რომელთა აღდგენაც შემდეგ დიდ პრობლემებს გვიქმნის.

პირველად საქართველოში ვიტამინებისა და ბიოლოგიურად სუფთა სამკურნალო კვების დანამატების ამერიკული კომპანია **„nutriment house"** გთავაზობთ ამერიკაში და ევროპის ბევრ ქვეყანაში ბესტსელერად ქცეულ გრეიპფრუტის დიეტას.

გრეიპფრუტის დიეტა ვაშლის ძმართან ერთად გახლავთ XXI საუკუნის მიღწევა. ეს არის ერთადერთი პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს მზარდი მადის შემცირებას, ცხიმების დაშლასა და ორგანიზმიდან მომწამლავი ნივთიერებების გამოდევნას ყოველგვარი უკუჩვენებების გარეშე.

გრეიპფრუტს, როგორც ცნობილია, გააჩნია საუკეთესო დიეტური და სამკურნალო თვისებები. იგი საჭმლის მონელების საუკეთესო საშუალებაა.

გრეიპფრუტის დიეტა აღადგენს ენერგიას და რაც ყველაზე მთავარია, გახდომის დროს არ წარმოქმნის ცელულიტს, კანს კი ბრწყინვალებასა და სინორჩეს უბრუნებს. დახვეწეთ სხეული გრეიპფრუტის დიეტით და გაიხალისეთ ცხოვრება, ის ხომ ძალიან მშვენიერია.
პრეპარატის სწორად დანიშვნაში დაგეხმარებიან ჩვენი ექიმი-კონსულტანტები.

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი–კონსულტანტები.
„ნუტრიმენტ ჰაუსი“
მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე 10.30 – 18.00
კვირას 10.30 – 14.00
www.shopge.com

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:



1. ნაგანი ბელგიელი მეიარაღე იყო.
2. ბავკაღლო ოქროს ოდნავ მოწითალო ფერი გადაჰკრავს.
3. ანკელინა ჯოლის კამბოჯელი ბავშვი ჰყავს ნაშვილები.
4. ძველ საბერძნეთში ბაზარში მხოლოდ მამაკაცები დადიოდნენ.
5. ევროპის ჩემპიონი ფეხბურთში, პირველად საბჭოთა კავშირი გახდა.
6. „ვიდრე ბრიყვი სიტყვას ისმენს, აქვს იერი ჭკვიანისა“ — ღაღადებს ადიღეური აფორიზმი.
7. „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება კაპულეტების და მონტეგების მსახურთა ჩხუბით იწყება.
8. პლაჟზე გამოფენილი ლურჯი დროშა იმის აღმნიშვნელია, რომ წყალი, ჰაერი და ნაპირი ძალზე სუფთაა.
9. სიტყვები „ნაყროვანება“ და „გემოთმოყვარეობა“ რუსულად ასე ითარგმნება: — „ჩრევაუგოდიე“ ი „გარტანობესიე“.
10. სამეფო ოჯახის უსაფუძვლო შეურაცხყოფა ჰოლანდიაში 5 წლის პატიმრობით ისჯება ან 12.000 ევროთი ჯარიმდება.
11. „გაუმარჯოს პურმარილის კაცსა“ — ეს სიტყვები ამშვენებს ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთ ნატურმორტს.
12. ეგვიპტის მმართველმა მუჰამედ ალიმ, რომელმაც გაანადგურა მამელუქები, წერაკითხვა 45 წლის ასაკში ისწავლა.
13. ნადირი — ასე ერქვა ნადირ-შაჰის მიერ შემოღებულ ირანულ ვერცხლის მონეტას. ამ ფულს თბილისშიც ჭრიდნენ.
14. მუხაესტატე სოფელია ქობულეთის რაიონში, მწარა — სოფელი გუდაუთის რაიონში, ნაბოსლევი — ტყიბულის რაიონში.
15. მუხა ძალიან ნელა იზრდება, 80-100 წლისა კიდევ იმატებს სიმაღლესა და სისქეში. ცოცხლობს 800 წელიწადზე მეტს.
16. „ხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება ღმერთის პატიება — თუკი ის არ არსებობს“. — ამბობდა სტენდალი.
17. XIX საუკუნეში ჩოხა-ახალუხი და ნაბადი, როგორც სამხედრო ამუნიციის ნაწილი, ფართოდ გავრცელდა ყუბანისა და თერგის კაზაკობაში.
18. „ფუნთუშა“ მოპასანის პირველი ნოველაა. ფრანგ მწერალს სახელად ანრი რენე ალბერ გი ერქვა. იგი სულით ავადმყოფთა სახლში გარდაიცვალა.
19. მეფის ბეჭდის მცველს XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში მორდალი ერქვა. მორდალი მეფის „მისანდო და ხვაშია-

მოგეხსენებათ, ქართველები გურმანები ვართ. მწვადის, ხინკლისა და საცივის გახსენებაზეც კი, ლუარსაბისა არ იყოს, პირზე ნერწყვი გვადგება და ჩვენი კუჭ-ნაწლავის მდგომარეობა მანამდე არ გვახსენდება, სანამ ის სერიოზულ პრობლემას არ შეგვიქმნის. სანამ უზომო და ურეჟიმო კვების გამო, ისეთი ვერაგი სნეულება არ შეგვაწუხებს, როგორიცაა ესა თუ ის ჰემოროიდული დაავადება.

როგორ ვუმკურნალოთ ბუასილს და სხვა ჰემოროიდულ დაავადებებს

ნანა ქიბიშაური

როგორც ექიმები ამბობენ, საქართველოში ჰემოროიდულ დაავადებებს შორის ყველაზე გავრცელებული, ბუასილია. სამწუხაროდ, პაციენტების 95% ექიმს გვიან აკითხავს — მაშინ, როდესაც დაავადება უკვე შორს წასული ფორმით ვლინდება და მკურნალობაც გართულებულია. არადა, ქართული მედიცინა ოდითგანვე იცნობდა ამ სნეულებას, რამაც ძველ ლიტერატურაში პოვა შესაბამისი ასახვა. ამიტომაც, თანამედროვე პროქტოლოგების რჩევების გაცნობამდე, „სიმრთელის კიდობანში“ ჩავიხედოთ და ხალხური მედიცინის რეცეპტებს გავეცნოთ. „ბუასილი არის საჯდომის კარის ტკივილი. ნიშნები ამ სენისა არიან: საჯდომის კარში ტკივილი და წვა. ავადმყოფს უჭირს ფეხის ადგილზე გასვლა, რადგან ამ დროს მოუთმენელი ტკივილები გაუჩნდება. აქცევს სისხლს, როცა დაიცლება დაჭინტული სისხლით ძარღვები, მაშინ ავადმყოფი გრძნობს სიმსუბუქეს.

ბუასილიანმა ავადმყოფმა უნდა იხმაროს საჭმელად ბოსტნეული, უნდა მოერიდოს მშრალად მოხარშულ ხორცსა და შაშხი სრულებით არ უნდა ჭამოს. მაგრად შემწვარი ან მოხარშული კვერცხი ძლიერ მავნებელია მისთვის. ნახალმი ყველი, არაყი და შავი ღვინო არ უნდა იხმაროს.

ბუასილიანებისათვის სასარგებლო საჭმელია: მჟავე ჩამწნილებული ბოსტნეული, კიტრი და ყოველგვარი ხილი. ავადმყოფს მოუხდება მჟავე კიტრის წვენი და რძის შრატი. კარგი იქნება, თუ ის დილა-საღამოს თითო სტაქანს დალევს. პილპილი, ხმელი თევზი და მშრალი საჭმელი აწყენს. მოუხდება მსუბუქი მოძრაობა; ამასთან უნდა ეცადოს, რომ მუცელში არ იქმნეს შეკრული“.

„სიმრთელის კიდობანში“ ასევე საუბარია საჯდომის სოკოზე და მისი განკურნების საშუალებაზე; იმაზეც, რომ ჰემოროიდული დაავადებებისადმი უყურადღებობას ადამიანი ხშირად მიჰყავს მსხვილი და სწორი ნაწლავის სიმსივნემდე, რომელიც მხოლოდ ქირურგიული გზით შეიძლება განიკურნოს.

გელა მუხაშავრია: *„ადამიანის ორგანოებიდან ჯანმრთელი უკანალი ყველაზე ლამაზია!“*

— საქართველოში სწორი და მსხვილი ნაწლავის დაავადებები ფართოდაა გავრცელებული და აქედან ბევრი სამხარეო პათოლოგიადაც შეიძლება ჩაითვალოს. მოსახლეობის და ზოგჯერ სამედიცინო პერსონალის ცოდნაც კი, აღნიშნულთან

დაკავშირებით, არ არის სასურველ დონეზე, არადა, ეს აუცილებელია, რადგან კოლოპროქტოლოგიურ პათოლოგიათა პროგრესირება და გვიანი დიაგნოსტიკა იწვევს დაავადების გადასვლას ისეთ სტადიაში, რომლის დროსაც ადამიანის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება. კაცობრიობას ამ დაავადებასთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი. ბუასილის მკურნალობის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე, ჰიპოკრატე ჰემოროიდულ დაავადებას, კვანძების მოკვეთის და მოწვის გზით მკურნალობდა. ძველი წყაროების მიხედვით, ის ჯერ ორთქლზე „დასვამდა“ პაციენტს, შემდეგ „გარეთ გამოათრევდა“ ჰემოროიდებს, მათ წვერს მოჭკვეთდა და წარმოქმნილი ჭრილობის ზედაპირს მცირე ხნით, გავარვარებულ სპილენძს დაადებდა... მას შემდეგ, ცხადია, ოპერაციის ტექნოლოგია მრავალჯერ შეიცვალა. მეთოდი, რომლითაც დღეს ვაკეთებთ ოპერაციებს, საკმაოდ რადიკალურია და მაშინაც კი, თუ პაციენტი შემდგომში არ დაიცავს დიეტას, მას დაავადების განმეორების საფრთხე აღარ ემუქრება. მისი ანალური არხი ოპერაციის შემდგომ ისეთივეა, როგორიც ახალშობილისა და ადამიანის ორგანოებიდან ჯანმრთელ უკანალზე ლამაზი არაფერია. მე ეს არ მესწავლება, იმიტომ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება „იქ“ ვიხედები. ამის გამო, ბევრი სახუმარო ლექსი და შარჟიც მომიძღვნეს მეგობრებმა. სჯობს, ახლა სიტყვა ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს დავუთმო. მე კი, ერთ მხიარულ ამბავს მოგიყვებით: მე და ჩემი მეგობრები კარგ გუნებაზე ვართ. გავიხედეთ და რას ვხედავთ? — ქალი მოდის, მაგრამ რა ქალი! — უკეთესს ვერ ნახავს კაცის თვალი!.. გვერდით ჩაგვიარა და დაგვტოვა მოხიბლულები... კლინიკაში რომ მივედი, ის ქალი მე არ მელოდება?! მომესალმა და მითხრა: რამდენიმე წლის წინ მაქვს ოპერაცია გაკეთებული და გასინჯვა მინდაო. შევხედე თუ არა ჩემს ნაოპერაციებ ადგილს, მაშინვე ვიცანი: ა-ა, ნანული შენ ხარ-მეთქი?.. აი, ასეა ჩვენი საქმე...



გელა მუსაშავრია

ბეჟა კევლიშვილი: *„არსად არ არის იმდენი კურიოზი, რამდენიც პროქტოლოგიაში!“*

— პროქტოლოგებს ხშირად „ბუასილის ექიმებს“ გვიწოდებენ. არადა, პროქტოლოგია სწორი და მსხვილი ნაწლავის დაავადების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. პაციენტების უმრავლესობა ჩვენთან მოსვლისთანავე, საუბარს ასე იწყებს: „ექიმო, ბუასილი მაწუხებს“ — და არცთუ ისე იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე, რომ მას ჰემოროიდული დაავადების სულ სხვა სახეობა აქვს. მაგალითად, სწორი ნაწლავის ნაპრალი, პოლიპი, ფისტულა, კვანძები, სიმსივნე და სხვა. ძალიან ბევრი მიმართავს თვითმკურნალობას; სარგებლობს ტელევიზიაში რეკლამირებული წამლებით ისე, რომ არ იცის სწორი დიაგნოზი. ბევრი პაციენტი მოდის, ჩივილების ზეპირად გადმოცემით ცდილობს მიგვახვედროს, რა აწუხებს მას და გვთხოვს, დიაგნოზი გასინჯვის გარეშე დავუსვათ. ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ სხვადასხვა ჰემოროიდულ დაავადებას სხვადასხვაგვარი მკურნალობა სჭირდება. ჩივილები ყველა ჰემოროიდულ დაავადებას თითქმის ერთნაირი აქვს. ამიტომ სარეკლამო ტექსტში აუცილებლად უნდა იყოს ხაზგასმული, თუ რა დიაგნოზის დროს არის სასურველი ამა თუ იმ წამლის მიღება.

— **როგორც ვიცი, დიაგნოზის დადგენის დროს, თქვენ პრაქტიკიდან ამოიღეთ სპეციალური გასასინჯი ხელსაწყო — ეი. სარკე, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ სამედიცინო ხელსაწყოდ იყო მიჩნეული.**

— დღეს სარკით გასინჯვა ხდება მხოლოდ ოპერაციის წინ და იმის შემდეგ, რაც პაციენტი საძილე საშუალებას მიიღებს. ოპერაციას კი, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მივმართავთ. საზღვარგარეთ, სპეციალიზებულ კლინიკებში, მაშინაც კი, როცა პაციენტი დროულად მიმართავს ქირურგიულ მკურნალობას, რეციდივის გამეორების 10-12% მაინც არის. საქართველოში, გელა მუხაშავრიას მიერ შემუშავებული მეთოდით ნაოპერაციებ ადამიანს, ბუასილი აღარასოდეს შეაწუხებს. სანამ ეს მეთოდი დაინერგებოდა, პაციენტები ბუასილისგან კი თავისუფლდებოდნენ, მაგრამ ოპერაციის შემდეგ, სხვა პრობლემები უჩნდებოდათ. დღეს ამისგან დაზღვეულები ვართ. საქართველო-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

დის შემნახავი“ იყო. მას ევალებოდა მეფის მიერ გაცემულ საბუთზე ბეჭდის დასმა და პატრონისათვის ჩაბარება. ამისთვის მორდალი საბუთის პატრონისაგან გასამრჯელოს იღებდა.

20. „ზოგიერთის კრიტიციზმი კრეტინიზმში გადადის. ეს ფრიად დამახასიათებელია გონებრივად შეზღუდული ადამიანებისთვის, რომელთაც ქმნილებაში ხინჯის ძიება უფრო აინტერესებთ, ვიდრე ჭეშმარიტებისა“. — ამბობდა შალვა ნუცუბიძე.

21. ცნობილი დიზაინერი კოკო შანელი ქალის მუხლს სხეულის უშნო ნაწილად მიიჩნევდა და თავის მოდელებში ყოველთვის ცდილობდა მის დამალვას.

22. სადამ ჰუსეინის უფროსი ვაჟი ჰუსაი არა მარტო მთელ ერაყს, არამედ საკუთარი ოჯახის წევრებსაც სძულდათ. „დესპოტი და არაკაცი“ — ასე ახასიათებს მას პირადი მცველი. ერთხელ მამამისმა ცეხეშიც კი ჩასვა. ამის საპასუხოდ ჰუსაიმ მამამისის ერთ-ერთი პირადი მცველი მოკლა.

23. „ყურადღებით შეხედეთ სხვადასხვა ქვეყნის დროშებს და თითქმის ყოველთვის მათზე ნახავთ გარეულ მხეცებსა თუ ფრინველებს. საბჭოთა კავშირის დროშაზე კი ნამგალი და ურა გამოსახული. ათასი წლების განმავლობაში ოცნებობდნენ ხალხები მშვიდობასა და მშვიდობიან შრომაზე, მათ დროშებზე კი მხოლოდ ლომებსა და მგლებს ხედავდნენ“ — წერდა სომეხი პოეტი და პროზაიკოსი ოვანეს თუმანიანი. P.S. იგი 1923 წელს, ლენინზე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

24. ირანის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე მუშთაიდი მირ-ფეთე-ალა სეიდ თავრიზელი წარმოშობით აზერბაიჯანელი იყო. 1845 წელს, თბილისში დასახლების შემდეგ, სწორედ მან გააშენა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ულამაზესი ბაღი.

25. ამ ახლო წარსულში საქართველოს ერთ-ერთ ტელეარხზე ტელედებატებში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შალვა ნათელაშვილი და იგნასიო ირიბარენი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერის განცხადებაზე, — ვოცნებობ იმ დღეზე, როცა თელასი საქართველოდან წავალ, თელასის გენერალურმა მენეჯერმა ასე უპასუხა: „ადამიანი ფრთხილად უნდა იყოს საკუთარ ოცნებებში, რადგან შესაძლოა, ეს ოცნება ერთხელაც აუხდეს.“

■


ბექა კევლიშვილი

ში ბუასილის ყველაზე გავრცელებული და მწვავე შემთხვევაა სწორი ნაწლავის გარე და შიდაკვანძების თრომბოზი. თვითონ კვანძი, თავისთავად საშიში არ არის. ის პატარა ბავშვსაც კი, მუცლად ყოფნის პერიოდში უვითარდება და მას გარკვეული ფუნქცია აკისრია. შეიძლება, ეს კვანძები გლანდებს შევადაროთ, რომელიც მხოლოდ გაღიზიანებისა და გადაგვარების შემთხვევაში ქმნის საშიშროებას. სხვადასხვა ფაქტორით გაღიზიანების შემთხვევაში, კვანძში შეიძლება წარმოიქმნას თრომბი, რომელიც წესით, 7 დღის შემდეგ, ორგანიზმის მიერ გაიწოვება, მაგრამ პატარა გაღიზიანების შემთხვევაში, ხელახლა ჩნდება.

— კვანძების შედეგად შექმნილი პრობლემის გამო, ბევრი სვამს ზეთს ან იღებს საფაღარათო წამალს...

— ფაღარათის გამომწვევი საშუალებები შეიძლება, დეფეკაციის მოსაწესრიგებლად გამოიყენოთ რამდენჯერმე, მაგრამ მათი ხშირი მიღება ნაწლავებს ლორწოვან გარსს აცილებს და ასეთი წამლების მიღებას, კვების რეჟიმისა და რაციონის მოწესრიგება სჯობს. ამ დროს სასურველია უმი ჭარხლისა და ხილ-ბოსტნეულის მიღება.

— ბუასილს მძღოლების და რაიკომის მდივნების დაავადებასაც უწოდებენ ხოლმე. ეი. მას უმოძრაობაც უწყობს ხელს?

— დიახ. რისკ-ფაქტორის ჯგუფში იმყოფებიან ის ადამიანები, რომელთაც ხშირად უწევთ ჯდომა. აღსანიშნავია, რომ ეს დაავადება მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, რადგან ის ორ ფეხზე მოსიარულე ერთადერთი არსებაა. მათ ორგანიზმში, ვისაც მთელი დღის განმავლობაში ჯდომა უწევს, სისხლის მიმოქცევა დარღვეულია. თუ პარალელურად დარღვეულია კვების რეჟიმიც, ვითარდება ყაბზობა. ნაწლავებში ფეკალური მასის დაგროვება კი, მუცლის შიდაწნევის მომატებას იწვევს, რაც ბუასილის ერთ-ერთი წინაპირობაა. ქალებში მუცლის შიდაწნევის მომატება ხდება ორსულობის დროს. ამიტომ არის, რომ ქალებში ბუასილის შემთხვევა ხშირად ორსულობისას ან მშობიარობის შემდეგ ვლინდება.

— გადადის თუ არა ჰემორროიდული დაავადებები მემკვიდრეობით?

— ეს დაავადებები გადამდები არ არის, მაგრამ გენეტიკური ფაქტორი ნამდვილად მოქმედებს. ბევრი ფიქრობს, რომ ოჯახის წევრები ერთი და იგივე საკვებით იკვებებიან და ამიტომ სნეულდებიან ერთი და იგივე დაავადებით. ეს ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზია. ჰემოროიდული დაავადებების 42% გენებით გადადის.

— ამბობენ, ექიმბაშების უმრავლესობა ბუასილის წამალს მამალი ბაყაყის ქონისგან ამზადებსო.

— ერთი ექიმბაში იმასაც წერდა: ვარჩენ ბუასილს დაჟინებული მზერითო... პირადად მე, არაფერი მსმენია ბაყაყის ქონისგან დამზადებულ წამლებზე. ჰემოროიდული დაავადებებისათვის, ჩემთვის ცნობილი წამლების უმეტესობა, მცენარეებისგან და ზვიგენის ღვიძლის ქონისგან მზადდება. აქტიურად იყენებენ ცხენის წაბლის ექსტრაქტს.

— ხშირად, ექიმბაშთან მისვლას ადამიანები იმიტომ ამჯობინებენ, რომ ისინი გაუსინჯავად აძლევენ ავადმყოფს წამალს. ბევრს კი ურჩევნია, ბუასილი აწუხებდეს, ვიდრე ექიმთან ვიზიტისას უხერხულ პოზაში აღმოჩნდეს...

— ექიმთან გასინჯვით გამოწვეული სირცხვილის კომპლექსი ადამიანის დაბალ ინტელექტზე მეტყველებს. თუ არ გავსინჯეთ პაციენტი, როგორ ვუშველოთ? პროქტოლოგებს არ გვაინტერესებს პიროვნებები და მათი კომპლექსები — ჩვენ მხოლოდ დაავადების ზონა გვაინტერესებს, რათა ერთხელ და საბოლოოდ გავათავისუფლოთ ადამიანი მტანჯველი ტკივილებისაგან.

— ბუასილით დაავადებულები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას და მკურნალობის მიზნით იყენებენ თეთრ მაზუთს, ქრისტესისხლას, საავიაციო ნავთს, ბოლოკის ნაყენს, დათვის ქონს და ხალხურ მედიცინაში გავრცელებულ სხვა საშუალებებს. რამდენად ეფექტურია ისინი?

— სწორედ თეთრი მაზუთი გამოიყენა ერთმა პაციენტმა და ისეთი დამწვრობით მოვიდა ჩემთან, რომ ჯერ დამწვრობას ვუმკურნალე და მერე დაავადებას. ქრისტესისხლას ოყნა ერთდროულად, სასარგებლოც არის და სახიფათოც, რადგან შესაძლოა, მან ძლიერი სისხლდენა გამოიწვიოს. დაუშვებელია, ექიმის კონსულტაციის გარეშე მისი გამოყენება... ბევრი ფიქრობს, რომ ეს დაავადება ნაკლებადაა გავრცელებული მუსლიმანურ სამყაროში, რადგან დეფეკაციის შემდეგ, იქ ტრადიციულ, ცივი წყლის პროცედურას იტარებენ. სისუფთავისა და ჰიგიენის დაცვა აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისათვის, მაგრამ ცივი წყლის პროცედურებმა შესაძლოა, სხვა ორგანული დაავადებები გამოიწვიოს, მაგალითად, მამაკაცებში — პროსტატიტი, ქალებში — საკვერცხეების ანთება. თბილი წყლით ჰიგიენის დაცვა კი, პროფილაქტიკის აუცილებელი პირობაა.

— ალბათ მედიცინის არც ერთ დარგში არ იქნება იმდენი კურიოზი, რამდენიც თქვენთან ხდება...

— კურიოზები? — რამდენიც გნებავთ! ჰუმანიტარული დახმარებით მივიღეთ სანთლები „პრეპარატი H", რომელიც ფოლგის ქაღალდშია სათითაოდ გახვეული და შემდეგ, კოლოფში მოთავსებული. ერთ კაცს დავუნიშნე ეს წამალი და ეფექტის შესამოწმებლად, ერთი კვირის შემდეგ დავიბარე. მოვიდა და შემომჩივლა: ამან რა უნდა მიშველოს, ექიმო? — როგორც შედის, ისევე გამოდისო. გამიკვირდა — სანთელი 37 გრადუსზე დნება. ვადაგასული წამალი ხომ არ არის-მეთქი? — დავინტერესდი. ამოვიღე კოლოფიდან, გავხსენი ფოლგა და უცებ პაციენტი მეკითხება: ვაჰ, ექიმო, მეც ეგრე ხომ არ უნდა „გამეფქცვნაო"? თურმე ფოლგიანად იკეთებდა... იყო კიდევ ერთი ერთი შემთხვევა: მოვიდა მოხუცი კაცი და მეუბნება: ექიმო, რამე მიშველე, კუჭში ვერ გავდივარ, მითხრეს — სანთელი გაიკეთე, გავიკეთე და უფრო ვერ გავდივარო. — რა სანთელი გაიკეთეთ-მეთქი? — ვკითხე. — რა ვი, ექიმო, ასე მითხრეს, ნებისმიერი გაიკეთეო და... თურმე ჩვეულებრივი, პარაფინის სანთელი გაუკეთებია. დიდი წვალებით მოვაგვარეთ მისი პრობლემა და შინ გავუშვით. ამას წინათ, მქონდა კიდევ ასეთი შემთხვევა. ჩემს პაციენტთან შევედი და მის საწოლთან ჩამომჯდარი მნახველი ძალიან მეცნო, თუმცა, ვერ გავიხსენე, საიდან ვიცნობდი. ვიფიქრე — ალბათ ესეც ჩემი ყოფილი პაციენტია-მეთქი. პალატაში რომ შევედი, ისიც ფეხზე ადგა, მივედი, ხელი ხელზე დავურტყი, ავადმყოფის მდგომარეობა იკითხა, მხარზე ხელი მოვუტყაპუნე და ვანუგეშე: მშვიდად იყავი, ძმაო, ყველაფერი რიგზეა-მეთქი. მერე, საღამოს, ტელევიზორი ჩავრთე და აღმოჩნდა, რომ ის კაცი, მე რომ ძმაკაცურად მხარზე ხელს ვუტყაპუნებდი, ჩვენი ერთ-ერთი მინისტრი ყოფილა... ■

www.shopge.com

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი – ABTRONIC PRO – „აბტრონიკ პრო"

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **ABTRONIC PRO** ამაგრებს მუცლის, გულმკერდის, ფეხებისა და ბეჭების კუნთებს. გარდა ამისა, იძლევა მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურად გახდომის საშუალებას. გასახდომი ქამარი დამზადებულია კოსმონავტებისაგან გადმოღებული ტექნოლოგიით, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი ფრენის დროს ტონუსის შესანარჩუნებლად და კუნთების გასამაგრებლად. ასევე, ეს ტექნოლოგია იძლევა ცხიმების დაწვისა და ცელულიტის დაშლის საშუალებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე!

ელექტრომიოსტიმულაციის უპირატესობანი.

მიოსტიმულაცია:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხოველქმედების პროდუქტების განდევნას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

შედეგი:

გაძლიერებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გაუმჯობესებული სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა, შლაკების ინტენსიური გამოდევნა ორგანიზმიდან, ძლიერი და ამტანი კუნთები, მკვრივი და ელასტიკური კანი.

მუშაობის პრინციპი:

სუსტი ელექტროიმპულსების ზემოქმედებით კუნთები იკუმშება. ამგვარად, ძლიერდება მუსკულატურა, იწვება ცხიმი და იშლება ცელულიტის უჯრედები. ელექტროდები დამზადებულია ახალი დაპატენტებული ქსოვილისაგან, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროგამტარობა და მუშაობის ხანგრძლივი ვადა. შესაძლებელია იმპულსების სიხშირისა და ინტენსივობის რეგულირება, რაც იძლევა მოწყობილობის ინდივიდუალურად გამოყენების საშუალებას. ცხიმების დაწვისა და ფიგურის კორექციისათვის რეკომენდებულია სუსტი იმპულსების მაღალი სიხშირით გამოყენება, ხოლო კუნთების გასაძლიერებლად უმჯობესია გამოიყენოთ ძლიერი იმპულსები ნაკლები სიხშირით. მაღალი სიხშირის იმპულსები იწვევენ კუნთების შეკუმშვას და ქმნიან მასაჟის ეფექტს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების, შლაკების, ზედმეტი სითხისა და ცხიმის სწრაფ გამოდევნას. გარდა ამისა, ქამარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული ტრავმების რეაბილიტაციის მიზნით.

ქამარი მიოსტიმულატორი ABTRONIC PRO – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი: 154 ლარი
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

R

თენგიზ მირზაშვილი – ბუჩისათვის მისიუ მოსაბის გემოსაკით ოცნაური

თენგიზ მირზაშვილი ის ხელოვანია, რომელმაც დაღლა არ იცის. სულ რაღაცას აკეთებს: ან ხატავს, ან მასალას აგროვებს ცნობილი მხატვრისა თუ პოეტის შესახებ. ეზოებში, ოჯახებში ეძებს ცნობებს, რომელიც წლების შემდეგ, გაცილებით მეტ ღირებულებას შეიძენს... იქნებ, ვინმე იცნობდა კაცს, რომელიც ფიროსმანმა დახატა... რა ბედი ეწია კოზბალაშვილს, რომელსაც ფიროსმანაშვილის სურათებით ჰქონდა სავსე დუქანი... რა ახსოვთ გალაკტიონის სიყრმის მეგობრის — ჩუდეცკის ოჯახის წევრებს დიდ მგოსანზე. ამას ყველაფერს თუ დროზე არ მიუსწარი, კიდევ ცოტაც და მთქმელს ვეღარ იპოვი...

ლელა ჯიყაშვილი

და ისიც დადის, დიდ ჩანთას დაატარებს, რომელშიც უამრავი საინტერესო ამბავია შეფარებული. ბევრი უცნაური გადმოცემა იცის, ბევრი წარმოუდგენელი სიმართლე. ვიღაცისათვის უბრალოდ ჩუბრიკაა, ვიღაცისათვის – ბატონი თენგიზი, ყველასათვის კი ადამიანი, რომელსაც ბოლომდე ვერც შეიცნობ და რაც მთავარია, ვერასოდეს ამოწურავ.

მის სახელოსნოში რაღას არ ნახავ საინტერესოს. პირველ რიგში, სურათებს, რომელსაც დაუფარავს კედლები და იატაკზეც უანგარიშოდ ყრია. ძველ თუნგებსა და თიხის ჭურჭელს, ხევსურისა თუ თუშის მოქსოვილ, ჭრელ ფარდაგებს.

პირველი კითხვა, რომელიც გიჩნდება: როგორ ასწრებს?! ხატავს და გესაუბრება, ათას ფოტოსა და ნეგატივს გიჩვენებს, ტელეფონის ზარებს პასუხობს და რეკავს: ზოგს ხელოვნების მუზეუმში აგზავნის, ზოგს – ხელნაწერთა ინსტიტუტში, ვიღაცას გალაკტიონის ტექსტზე ელაპარაკება, ვიღაცა რუსული სიტყვის ზუსტ თარგმანს სთხოვს. ისიც ყველას დაუზარებლად პასუხობს, ერთ სტუმარს იღებს, მეორეს აცილებს, მესამე ათვალიერებს სურათებს, მეოთხე რაღაცას წერს. ის კი ხატავს... მერე ისევ ვიღაც მოდის, ვიღაც მიდის, რეკავენ, რეკავს. და ამ ფორიაქში ხომ ხატავს და ხატავს, კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებასაც ახერხებს. ბევრ უცნაურ საკითხზე დაფიქრებას ასწრებს. როგორ? რაღა დაგიმალოთ და, მეც ძალიან მიკვირს. მარტო მე კი არა, ალბათ ყველას, ვისაც კი უნახავს და თვალი უდევნებია მისთვის.

ტელეფონი და...

თენგიზ მირზაშვილის სახელოსნოში წითელი აპარატი დგას. ვინ იცის, რამდენი საქმე გაკეთებულა ამ ტელეფონით. ერთხელ თვითონვე მითხრა: ტელეფონის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლიაო. ტელეფონით აკავშირებს ერთმანეთთან, ცნობის წადილით, ინტერესით ანთებულ ადამიანებს და მერე ისინი მასთან ერთად აკეთებენ საქმეს, რომლის შედეგი (საკმაოდ მნიშვნელოვანი) ხშირად უნახავს ხალხს. „რაღაცნაირი ინტუიცია მაქვს, ოღონდ კი შევამჩნიო ადამიანს, რომ აინტერესებს რამე და ობობას ქსელივით ვაბამ კავშირებს“, – მითხრა თენგიზ მირზაშვილმა. მართლა ასეა.

ორი თუ სამი წლის წინ, ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრმა ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილის რედაქტორობით გამოსცა წიგნი – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, დეიშალენით!“, რომელშიც ეთერ თათარაიძის ყურმოკრული ჩანაწერები ნახატებით შეამკო თენგიზ მირზაშვილმა. მაშინ შედგა თენგიზ მირზაშვილის პროლეტარული წარსულის ამსახველი თემატური ნახატების გამოფენა. დარბაზში ჩართული იყო მგნიტოფონი, ვიღაც ძალიან კარგად კითხულობდა ამ წიგნში გამოქვეყნებულ ჩანაწერებს, აკეთებდა ლენინის, სტალინის ხმის იმიტაციას:

„სემინარიაში სწავლისას ერთხელ რაცხა ხარჩოს ჭამდა სოსელო. ეზოდან დოუძახეს, ჩამოი ერთ წამასო. ბოდიში და ჩაფურთხა ხარჩოში სხვის დასანახათ და ისტე ჩევიდა. ამევიდა უკან და თვითონ მოული ბოლო ხარჩოს. ამფერი გენიოსი კაცი ქე წოუძღვებოდა მომავალში მსოფლიო პოლიტიკას!“

„პაწა ოქტომბრელმა კითხა დანამდულრევათ იოსებ სტალინს, რეიზა დამიხვრიტე მამაო? თვალდოუხამხამებლათ უპასუხა ბელადმა: – განა მე არ ვარ მამაშენიო?

არაა გენიის საკადრისი პასუხი? ხოა?“

„ხომ გახსოვს, თავიდან რო დეიძახა მარქსმა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მერე რო შეიყარა ყველა და ამით არაფერი გამევიდა, ხო დაშალა ყველა პატიოსნად – პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, დეიშალეთო. ხო მეიბოდიშა, რას ერჩი ახლა მაგ მეცნიერ კაცს?!“

წარმოიდგინეთ, როგორ გავოცდი, როცა

ხელოვნების მუზეუმის ფონდში დაცული, ფიროსმანის „ნადიმის“ ნეგატივიდან დაბეჭდილი სურათი

შევიტყვე: ეს არტისტული კითხვა თენგიზ მირზაშვილის ჩაწერილი იყო... კიდევ უფრო გამაოცა ამირან არაბულმა:

„თვითონ მეკვირს, ეს ყველაფერი როგორ მოასწრო თენგიზმა. გუშინწინ საღამოს დაგვირეკა, ეთერს უთხრა, შენი ჩანაწერები უნდა გამოვცეთო. გვაჩქარებდა, ჩქარა, ჩქარაო! გუშინ საღამოს ტექსტი წამოიღო და დღეს წიგნი მზად იყო... საიდან აქვს ამდენი ენერგია, არ ვიცი... ან როგორ ასწრებს ასე მოკლე დროში ყველაფერს?..“

ამის ახსნა შეუძლებელია.

ფიროსმანი – ძიება გრძელდება

ნიკო ფიროსმანის ალბომებს, ცნობილი და უცნობი სურათების ფოტოებს, თავად ფიროსმანის ფოტოს, უტყუარ ცნობებს ამ ფოტოს შესახებ, თენგიზ მირზაშვილთან გაიცნობ და ნახავ. მე მის სახელოსნოში ვნახე პირველად მარგარიტა დე სევრის ფოტო. როცა ლუვრში ფიროსმანის სურათების გამოფენა მოწყო, იქ იცნო თავისი თავი მარგარიტა დე სევრმა და ელენ ადანთან ერთად გადაიღო ფოტო ფიროსმანის „მარგარიტას“ ფონზე.

თენგიზ მირზაშვილი დაუღალავად ეძებს ყველაფერს, რაც ფიროსმანს ეხება. ხელოვნების მუზეუმის ფოტოარქივის გამგემ – ეთერ ბაიბუსაშვილმა მიამბო: *„რამდენიმე წლის წინ, მოვიდა ჩვენთან თენგიზ მირზაშვილი და მოხოვა: კარტოთეკა მინდა ვნახო, ფიროსმანის რამდენი სურათია დაკარგულიო. ჩვენთან იყო ნეგატივები, რომელიც მეტეხის მუზეუმიდან გადმოიტანეს... საერთოდ დაკარგული სურათების ძიება ძალიან საინტერესო საქმეა. წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი ფიროსმანის სურათი დაკარგული რომ ეგონათ – „არსენალი“ – ლუი არაგონის კოლექციაში აღმოჩნდა. ჩვენთან ინახება სამი დაკარგული სურათის ნეგატივი. მირზაშვილმა მოიფიქრა და მათგან ორიგინალის ზომის სურათები დაბეჭდვინა... სხვას რატომ არ მოუვიდა აზრად ამის გაკეთება, არ ვიცი... თენგიზ მირზაშვილი კი ჩუმად აკეთებს დიდ ეროვნულ საქმეს“.*

ნეგატივებიდან დამზადებული ორიგინალური ზომის დაკარგული სურათები გამოფენილი იყო და თბილისელებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ: „ძაღლი ბათურა“, „ჩხეიძე და კეკვაძე“, „ნადიმი“ – ეს სურათები 1926 წლის კატალოგში შეტანილი იყო: პირველი ორი მხოლოდ დასახელებით, მესამესი კი ფოტოც იყო დაბეჭდილი. „ნადიმი“, როგორც ჩანს, შემდეგ გაქრა და სამწუხაროდ, უკვალოდ.

– ეს სურათი იცი, რით არის საინტერესო? – მითხრა თენგიზ მირზაშვილმა. – სხვა სურათებში ფიროსმანს განზოგადებული ჰყავს ადამიანი, აქ კი, თითოეული პიროვნება თავისი ინდივიდუალური ნასიათით არის წარმოდგენილი. სურათზე გვყავია: კუპრეიშვილი, ი. კუპრეიშვილი, ი. კეკვაძე, ვ. გეგეჭკორი, ხრაპოვიცკი, კეკვაძე. შუაში რომ ზის, ის კეკვაძე ფიროსმანის მეგობარი იყო. სადაც კი ხელი მიმიწვდება, ვკითხულობ, ხომ არავის ეცნობა ვ. გეგეჭკორი... ხრაპოვიცკის ვინაობა პოლონელებშიც ვიკითხე, ვერაფერს მივაკვლიე... ჩვენამდე ბევრი რამ შეცდომით არის მოღწეული. მაგალითად, ძაღლის სურათის სათაურად კატალოგში „ძაღლი ბათუმ“ იყო შესული. ალოხიშვილის თქმით, ამ დროს, აღმოჩნდა, რომ ეს მზარეულ ივანე კაციას ძე მეტრეველის ძაღლია სახელად – ბათურა. ბევრ რამეს შეიძლება მიაკვლიო. ერთგან გავიგე, შეიძლებოდა, მელვინე მესხიშვილის ის ფოტო მეპოვა, საიდანაც ფიროსმანმა სურათი დახატა... მივედი და ვიპოვე... ასევე იპოვეს სხვებმა, მაგალითად, ქეთევან ბაგრატიშვილმა. ძიება გრძელდება...

უკომპრომისო და ამოუცნობი

თენგიზ მირზაშვილის გაცნობა ყველას უჭირს. ბევრი, მისი სახელის ხსენებაზეც კი ღიზიანდება: მავანი და მავანი მეცნიერის შრომებისაგან ქვა ქვაზე არ დატოვაო. ან რა ესაქმება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან, რომელი ენათმეცნიერი ეგ არისო?.. ის კი ჯიუტად განაგრძობს. მე მჯერა, ასეც უნდა იყოს: განა ვინმეს ეკრძალება „ვეფხისტყაოსანზე“ ფიქრი? და თუკი ვინმე მცდარ არგუმენტებს ეპოტინება, მისი დაშოშმინება ხომ სულ იოლია რამდენიმე ძლიერი არგუმენტით, მით უმეტეს, თუ მოკამათე მხატვარია და არა ენათმეცნიერი! გაზეთის ფურცლებიდან კი უკიჟინებენ, სხვის საქმეში ნუ ერევიო (ვითომ რომელიმე მეცნიერების ან წიგნის პრივატიზაცია მომხდარიყოს და შეხება ეკრძალებოდეს ყველას), მაგრამ ფაქტები... ფაქტები ვერ მოჰყავთ.

ყველაზე მართალი, რაც კი თენგიზ მირზაშვილზე წამიკითხავს, მისი შვილის, მხატვარ გია მირზაშვილის სიტყვებია: *„არსებობს ადამიანი, რომელიც არასოდეს წასულა კომპრომისზე, არ უღალატია არც ერთი საკუთარი პრინციპისათვის, რომლისთვისაც არ არსებობს ცუდი და კარგი ამინდი, არ სჩვევია წუწუნი, აღიზიანებს ყველაფერი ყალბი და ხელოვნური, ნებისმიერ სიტუაციაში შინაგანი ულევი ენერგიის რეალიზაციის პროცესშია, რომლისთვისაც მიუღებელია მოდა, კონიუნქტურა, პატივმოყვარეობა... გრძნობს ფერს, ხაზს, ფორმას, სიტყვას, ბგერას... რომელიც სწვდება არსს...“* რაიმის დამატება უაზრობად მიმაჩნია.

მურაბები

ზოგჯერ, შეხვედრაზეც კი, უბრალოდ ჩამოარიგებს თავის მოხარშულ მურაბას, როგორც ერთხელ „თეატრალურ სარდაფში“... მიირთვით მურაბიანი ჩაი და უსმინეთ დაუშაქრავ სიმართლეს...

შინ ან სახელოსნოში თუ ეწვიე, ხომ აუცილებლად გაგიმასპინძლდება მურაბითაც, ნუგბრითაც... მგონია, რომ სავსე სუფრა, რომელიც არასოდეს მინახავს ცარიელი, ელოდება სტუმარს, ისე, რომ ყველას შეუძლია დანაყრდეს კიდეც, ზედმეტი უხერხული განცდის გარეშე.

ერთი ამბავი მინდა მოგითხროთ: მის კარზე, სახელოსნოში ქალმა დააკაკუნა. თაფლი, თაფლიო, – იძახდა და აქებდა – ბუნებრივი, საუკეთესო თაფლიაო. ბატონმა თენგიზმა კარი გაუღო. თაფლი გასინჯა. ძალიან ცოტა იყო იმ ნარევში ბუნებრივი თაფლი, ან სულ არ იყო. ჩვენ ყველანი, არაუცნაური და საზრიანი თბილისელები უბრალოდ მივუხურავდით კარს... მან კი იყიდა ორი თუ სამი ქილაც კი... თვალებგაფართოებულმა ვკითხე:

– კი, მაგრამ რატომ?

იცით რა მიპასუხა? – მეათე სართულზე ამოვიდა და ძალიან დაღლილი იყოო.

დიახ, თენგიზ მირზაშვილზე ამბობენ, უცნაურიაო. ამ შემთხვევაში მისი მურაბები მახსენდება: ვერასოდეს ვხვდებოდი, რომელი ხილის ნარევისგან ჰქონდა მოხარშული, უცნაურ, სასიამოვნო გემოს კი ვგრძნობდი... როცა თენგიზ მირზაშვილი უცნაურად მიაჩნიათ, მე მგონი, მხოლოდ იმიტომ, რომ, იმ მურაბების გემოსი არ იყოს, ვერ ხვდებიან, რას ატარებს თავის არსებაში... რატომ იქცევა მათთვის აუხსნელად. ■

ზოგჯერ, შეხვედრაზეც კი, უბრალოდ ჩამოარიგებს თავის მოხარშულ მურაბას, როგორც ერთხელ „თეატრალურ სარდაფში“...

თქვენ მოგწონთ ეს ვაჟი, მაგრამ მისი მოხიბვლა ჯერ ვერ მოახერხეთ. თითქოს გამოუვალი სიტუაციაა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ცოტაოდენი ჭკუა, ცოტაოდენი სიეშმაკე, მცირედი გულმოდგინება და მის გულს დაიპყრობთ. ახლო მეგობრის ოჯახში ან, თუნდაც, სამსახურში თქვენ სისტემატურად გხვდებათ ვაჟი, რომელიც გარეგნულადაც გიზიდავთ, გონებამახვილიცაა და საკმაოდ შეძლებულიც. უფრო მეტიც, თქვენი გემოვნება და მიდრეკილებები ერთმანეთისას ემთხვევა. მართლაც რომ მშვენიერი სასიძოა, მაგრამ მხოლოდ ერთი პრობლემაა: ზღაპრული უფლისწული ყურადღებას არ გაქცევთ. რას იზამთ, მხოლოდ ერთი გზალა რჩება: ინიციატივის საკუთარ თავზე აღება.

რა ტაქტიკა მიიყვანს ადამიანამდე

გათავისუფლდით ეჭვებისგან

თქვენ მოსვენებას არ გაძლევთ ეჭვი: ღირს კი საერთოდ, მისი გულის მოსანადირებლად ბრძოლა? რა თქმა უნდა, ღირს. თქვენ ხომ ამით არაფერს კარგავთ?! ყოველთვის მოასწრებთ უკან დახევას — თუ ასეთი საჭიროება დადგება. ძნელად თუ მოიძებნება მამაკაცი, რომელიც გულგრილად მოისმენს ამგვარ განცხადებას: „მე და ჩემი დაქალი დავნაძლევდით. ის მიმტკიცებდა, რომ შენ გოგონები, საერთოდ არ გაინტერესებს. მგონი, მე ნაძლევი წავაგე...“ არ არის გამორიცხული, რომ ამ განცხადების შემდეგ, თქვენი უშედეგო მცდელობა — მიიქციოთ როგორმე მისი ყურადღება — წარმატებით დასრულდეს.

დასაწყისისთვის უბრალოდ, დაუმეგობრდით მას

ეს მრავალნაცადი ხერხია — გახდეთ თქვენი რჩეულის საუკეთესო და შეუცვლელი მეგობარი. სისტემატურად გაუსვით ხაზი მის ღირსებებს (მამაკაცები საერთოდ ჭკუას კარგავენ ქებაზე), ყურადღებით გაეცანით მის გასაჭირს, მიეცით ჭკვიანური რჩევები, დაეხმარეთ ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში, პერიოდულად გაუმასპინძლდით გემრიელი კერძით, რომელიც სასურველია, თქვენი მომზადებული იყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, დაარწმუნეთ იმაში, რომ თქვენ ყოველთვის მის გვერდით იმყოფებით და მზად ხართ, დაეხმაროთ ნებისმიერ სიტუაციაში. შეგიძლიათ გაიზიაროთ მისი ჰობი, მაშინ სალაპარაკო თემაც გექნებათ. რა თქმა უნდა, ყველაფერში ზომიერების დაცვაა საჭირო. მთლად ფეხქვეშ ნუ გაეგებით. გახსოვდეთ, რომ მისი მეგობარი ხართ და არა ფანატი, ან მოახლე გოგო. არასდროს დაკარგოთ ღირსების გრძნობა. თუკი საყვარელი მამაკაცი თქვენი მისამართით თუნდაც ერთი შეურაცხმყოფელი ფრაზის, ან საქციელის უფლებას მისცემს თავს, გირჩევთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ მასთან ურთიერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამცირებასა და ტანჯვას ვერ ასცდებით. ხოლო თუ თქვენი მეგობრობა შედგა — ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი თქვენი გეგმის მიხედვით მიდის და დროა, დაიწყოთ მზადება მისი მეორე ნაწილის განსახორციელებლად: გაუჩინარდით. არ არის აუცილებელი,

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ... და შვილთა ბრძოლა	ახალი ცხოვრება კარგად ...	მდინარე ინდოეთში	ოსური ხალხური ცეკვა	ა. ჩეხოვი „ძია ...“	ბუჩქი, ისხამს წვრილ ყვითელ ნაყოფს	100 თეთრი	ამბროლ რაიის ესაამღერ რაიი
ერთ-ერთი მშობელი	მინდვრის მავნებელი მღრღნელი	ნამუსი	პირი, რომელიც კრების ოქმს წერს	„... კარგი კაცი იყავ, ეჭ ნათელი დაგადგესა“	მდიდრული აგარაკი	მდინარე დასავლეთ საქართველო	

ეს გაუჩინარება იდუმალებით იყოს მოცული — საკმარისია, უბრალოდ, დასასვენებლად გაემგზავროთ, სადაც კარგად დაისვენებთ, საყვარელი მამაკაცის გულის მოსანადირებლად გადამწყვეტი ბრძოლის წინ. თუ დაბრუნებულს ის გახარებული შეგხვდებათ და შემოგებებებათ სიტყვებით: „როგორ გალამაზებულხარ, ძალიან მომენატრე!“ — ჩათვალეთ, რომ თქვენს მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

გამოიყენეთ ჯონტრასტის მეთოდი

თუმცა, სხვაგვარადაც შეგიძლიათ მოიქცეთ. მოუწყვეთ თქვენს რჩეულს „კონტრასტული შხაპი“ — ცეცხლოვანი ვნებისა და ყინულოვანი სიმკაცრის მონაცვლეობით. თავდაპირველად, გამოეცხადეთ მას თამამად ჩაცმული — სამოსში, რომელიც ხაზს უსვამს თქვენს ყველა ღირსებას; გაეკეკლუცეთ, მრავლისმეტყველი მზერა ესროლეთ და გულის სიღრმიდან ამოსული ტონით უთხარით: „საყვარელო, საკმარისია, მოინდომო და უმალ შენი გავხდები“. რაღაც დროის შემდეგ, რადიკალურად შეცვალეთ ქცევის სტილი (ოღონდ, — მომენტი სწორად უნდა შეარჩიოთ): ახლა თქვენი კაბის ყველა ღილი შეკრულია და მთელი არსებით, სიცივეს აფრქვევთ... აი აქ კი, საყვარელ მამაკაცს, სულ ცოტა, დაინტერესებს მაინც, თუ რამ გამოიწვია თქვენში ამგვარი მეტამორფოზა და იმისდა მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა თქვენ მიმართ აქამდე, გული დასწყდება, რომ აღარ არის თქვენი თაყვანისცემის ობიექტი. ეს კი ნიშნავს, რომ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღა გრჩებათ. მრავლისმეტყველი პაუზის შემდეგ, მოინახულეთ საბრალო, დაბნეული ბიჭი, ალერსიანად გაულიმეთ, გაუბით საუბარი და თუ ყოველივე ამის შემდეგ, თქვენი ურთიერთობა უფრო მჭიდრო არ გახდება, იმ აზრთან შეგუება მოგიწევთ, რომ მის გემოვნებას ვერ აკმაყოფილებთ. რაც უფრო ადრე მიხვდებით ამას, მით უკეთესი იქნება თქვენთვის: ნამდვილად საცოდავი სანახავია ქალი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე, უშედეგოდ ცდილობს მამაკაცის მოხიბვლას.



საინტერესო ფაქტები

ბიჭი თუ გოგო?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მომავალი მამების უმეტესი ნაწილი ვაჟიშვილის დაბადებაზე ოცნებობს. ახალგაზრდა მამების თითქმის 70% დაახლოებით ამგვარად აზროვნებს: „მე ვიცი, როგორ აღვზარდო ბიჭი, რა ვეთამაშო მას, რისთვის წავახალისო და რისთვის დავსაჯო, მაგრამ წარმოდგენაც კი არა მაქვს იმაზე, თუ როგორ უნდა მოვექცე გოგოს, თოჯინებით ხომ არ ვეთამაშები?“ პოტენციური მამა საკუთარ თავს მომავალი შვილის მეგობრად და თამაშში პარტნიორად ხედავს და ვერ ხვდება, რომ დიდი დრო გაივლის მანამ, სანამ ბავშვს მამაკაცური აღზრდა დასჭირდება. სოციოლოგთა მონაცემებით, ამგვარი მამების 30%-მა აღიარა, რომ გარკვეული იმედგაცრუება განიცადა, როცა აღმოაჩინა, რომ ახალდაბადებულს მხოლოდ ყურადღებიანი და ნაზი მოპყრობა სჭირდება.

ეჭვიანი მამა

არსებობს მამაკაცების კატეგორია, რომელიც შიშით ელოდება ბავშვის ამქვეყნად მოვლინებას, ვინაიდან მას, მეულლის სიყვარულსა და ყურადღებაში მოცილე, პოტენციურ მეტოქედ მიიჩნევს და ხშირად, არც ცდება: თითქმის ყოველთვის, დედა დიდ დროს უთმობს ახალშობილს — განსაკუთრებით, თუ ის პირველი შვილია და მამაკაცი ოჯახში ფავორიტის ადგილს კარგავს.

მამები და ქალიშვილები

ფსიქოლოგებმა დიდი ხანია აღიარეს, რომ მამები უკეთ მეგობრობენ ქალიშვილებთან, დედები კი — ვაჟებთან. ამას თავად ბუნების კანონი განსაზღვრავს, ვინაიდან სწორედ საპირისპირო სქესის მშობლის მოპყრობა უყალიბებს ბავშვს წარმოდგენას ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე. თუ მამა ყურადღებიანია ქალიშვილის მიმართ, მაშინ ეს უკანასკნელი, ასეთივე მოპყრობას ელის მომავალი მეულლისგან და ამის მოსაპოვებლად ყველაფერს იღონებს, რადგან იცის, რომ ამას იმსახურებს. სხვა შემთხვევაში, გოგონა საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებული იზრდება და ხშირად მომავალში, საოჯახო ტირანიის მსხვერპლი ხდება. თავის მხრივ, ვაჟიშვილის მიმართ დედის ცივმა დამოკიდებულებამ შეიძლება, ამ უკანასკნელს, ქალების მიმართ უნდობლობა გაუჩინოს და არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოუყალიბოს. ■



როგორ მოვიქცეთ ჯადოს აღმოჩენის შემთხვევაში?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ჯადოსთან დაკავშირებით. ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ალექსი ადამაშვილი განგვიმარტავს.

მორენა მერკვილაძე

— როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ადამიანი ჯადოს აღმოჩენის შემთხვევაში?

— ასეთ შემთხვევაში ადამიანმა უნდა მიმართოს ეკლესიას, რადგან ბოროტი ძალების უკეთურ ზემოქმედებას, მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება დავუპირისპირდეთ.

— კონკრეტულად რა საშუალებებით აგვარიდებს მართლმადიდებლური ეკლესია ჯადოს ზემოქმედებას?

— როგორც უფალი ბრძანებს: „ლოცვითა და მარხვით დაითრგუნება ნათესავი ესე“ — ე.ი. ყველაზე დიდი იარაღი, ბოროტი ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც უფალმა ადამიანს მისცა — ლოცვა და მარხვაა. ამასთანავე საჭიროა სინანული, უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარება და სხვა.

— ეკლესიაში ჯადოს საწინააღმდეგოდ იკითხება სპეციალური — კვეთებულის ლოცვები, რომელსაც ხალხში „ჯადოს ახსნას“ უწოდებენ. რამდენ ლოცვას უნდა დაესწროს ადამიანი იმისათვის, რომ კვეთებულის ლოცვამ მაკურნებლად იმოქმედოს?

— როდესაც ადამიანი ავადაა, ექიმი მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე წყვეტს, თუ რამდენი აბი დაუნიშნოს. შეიძლება სამმა აბმა უშველოს, ან სამ დღეში განიკურნოს. ასევეა სულიერი მკურნალობის დროსაც: ჩვენი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, სულიერი მოძღვარი გადაწყვეტს, რამდენი ლოცვა დაგვჭირდება და საერთოდ, გვჭირდება თუ არა კვეთებულის ლოცვები. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი მოდის და ამბობს: მე კვეთებულის ლოცვა მჭირდებაო, — მაგრამ არ იცის, რატომ სჭირდება. ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა, ჩვენი სულის ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, როდის სჭირდება ადამიანს კვეთებულის ლოცვები. ამიტომ მისი რჩევა-მითითებების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ.

— მართლმადიდებელი ქრისტიანები, ამა თუ იმ სნეულებისა თუ განსაცდელის ჟამს, სხვადასხვა წმინდანს სთხოვენ შემწეობას. ჯადოქრობათა და მისნობათაგან მცველად თუ მფარველად მოუხმობენ წმინდა მოწამეებს — კვიპრიანე კართაგენელსა და ქალწულ იუსტინეს. ვინ იყვნენ ეს წმინდანები?

— კვიპრიანე, სანამ ქრისტიანულ სჯულზე მოექცეოდა, იყო გრძნეული მოგვი. იგი ქალაქ ანტიოქიაში ცხოვრობდა. კვიპრიანემ ჯადოქრობის ხელოვნება სახელგანთქმული ქურუმებისგან ისწავლა და ეშმაკისადმი მსახურების ხელოვნებაში ისეთ მწვერვალს მიაღწია, რომ ბოროტი სულები ხილულად ეცხადებოდნენ და ემსახურებოდნენ. იმავე ქალაქ ანტიოქიაში ცხოვრობდა ქალწული იუსტინე, რომელსაც ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული და მთელ დღეებს ლოცვასა და მარხვაში ატარებდა. იუსტინე შეუყვარდა წარმართ ყმაწვილს — აღლვადოსს, მაგრამ მისგან უარი მიიღო და დახმარებისათვის კვიპრიანეს მიმართა. კვიპრიანე ჯადოქრობით შეეცადა იუსტინეს დამორჩილებას, მაგრამ ქალწულზე, რომელიც ცხოვრებას ლოცვით, მარხვით და მღვიძარებით ატარებდა, კვიპრიანეს გრძნეულებამ არ იმოქმედა. ბოლოს, კვიპრიანეს წინაშე თვით ეშმაკმა აღიარა, რომ იუსტინე მათ ჯვრის ძალით ამარცხებდა. როდესაც კვიპრიანემ დაინახა იმ ღმერთების, იმ კერპების და ეშმაკის უძლურება, რომელსაც მსახურებდა, სატანას პირდაპირ ჰკითხა — როდესაც ჯვრის აჩრდილისაც კი გეშინია, ქრისტეს სახელის ხსენებაზეც კი ძრწი, თვით ქრისტე რომ გამოვიდეს შენ წინააღმდეგ, მაშინ რაღას იზამო? ეკვეთა ეშმაკი კვიპრიანეს, რამეთუ ის სინანულში იყო და ქალწულ იუსტინეს ლოცვით, ღვთისგან გაუნათდა გონება. ეკვეთა ეშმაკი წმინდა კვიპრიანეს, მაგრამ მან სინანულით პირჯვარი გადაიწერა, იესო ქრისტეს შეევედრა და ამით დაამარცხა ბოროტი და თვითონაც პირველად შეიგრძნო ქრისტეს ძალა და მფარველობა, ამიტომ კვიპრიანემ ყოველივე დაუტოვა, თავისი ჯადოქრული წიგნები შუაგულ ქალაქში დაწვა, ეპისკოპოს ანთიმოზის კურთხევით აღსარება საჯაროდ წარმოთქვა და ქრისტიანულად მოინათლა. კვიპრიანე ნათლობიდან შვიდი დღის შემდეგ, მედავითნეთ დაადგინეს, ერთი წლის შემდეგ მღვდლად აკურთხეს და სულ მალე, ეპისკოპოსადაც დაადგინეს. წმინდანმა იმდენი იღვაწა, რომ მთელ მის ეპარქიაში კერპთაყვანისმცემლები აღარ დარჩნენ და კერპთა შესაკრებლები დაცარიელდა. ხოლო ქალწული იუსტინე მონაზვნად აღიკვეცა და მონასტრის იღუმენიად იქნა დადგენილი. ეს ყველაფერი ხდებოდა დიოკლეტიანეს მეფობის დროს, რომელმაც შეიპყრო იღუმენია იუსტინე და ეპისკოპოსი კვიპრიანე (რადგან წარმართნი მივიდნენ ქალაქის მმართველთან და კვიპრიანეს ცილი დასწამეს იმაში, რომ გმობდა წარმართ ღმერთებს და ამასთანავე, თითქოს ხალხს, მეფისა და სხვა მმართველების წინააღმდეგ გამოსვლისკენ მოუწოდებდა, ამის გამო კი, ეპისკოპოსის სიკვდილით დასჯას მოითხოვდნენ). კვიპრიანე და იუსტინე ჩაიყვანეს ნიკომიდიაში, სადაც სასტიკად აწამეს და შემდეგ თავები მოჰკვეთეს.

— არსებობს წმინდა მღვდელმოწამე კვიპრიანეს და წმინდა მოწამე ქალწულ იუსტინეს დაუჯდომელი ლოცვები — ჯადოს საწინააღმდეგო. როგორ უნდა ვიკითხოთ ეს ლოცვები და შეიძლება თუ არა წმინდა კვიპრიანეს დაუჯდომელი ვიკითხოთ მოძღვრის კურთხევის გარეშე?

— არა მარტო წმინდა კვიპრიანესა და ქალწულ იუსტინეს დაუჯდომელი, არც ერთი დაუჯდომელი, წმინდანის ცხოვრებაც კი, არ შეიძლება წავიკითხოთ მოძღვრის კურთხევისა და მისი რჩევა-დარიგების გათვალისწინების გარეშე, რადგან შეიძლება, ძალიან სასარგებლო წიგნს ვკითხულობდეთ, მაგრამ მისი წაკითხვა ჩვენთვის ნაადრევი იყოს. შეიძლება ადამიანმა წაიკითხოს სვიმონ მესვეტის ცხოვრება და მესვეტეობა მოინდომოს... ამიტომ მოძღვრის კურთხევის გარეშე ერთი ნაბიჯიც არ უნდა გადავდგათ. როგორც ერთ-ერთი წმინდა მამა ამბობს: „ქრისტიანის გონება უნდა მართოს სინდისმა და გამოცდილთა რჩევა-დარიგებამ; ეშმაკი მაშინ იმარჯვებს, როცა ადამიანი მიენდობა თავის ჭკუას და სჯას და მოძღვარს არ სთხოვს რჩევას“.

— მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით, მართლმადიდებელი, რომელიც განკურნებისთვის მიმართავს ჯადოქარს (მაგს, მკითხავს და სხვ.) წმინდა ზიარებისგან 6 წლით განიკვეთება. ისჯებიან თუ არა დღესაც უზიარებლობით ის ადამიანები, ვინც ჯადოს მოხსნის მიზნით მიმართეს მისანს და ეხსნებათ თუ არა მათ ცოდვა, საეკლესიო სასჯელის აღსრულების შემდეგ?

— მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დადგენილი სასჯელის აღსრულების შემდეგ, ადამიანს მიეტევება ეს ცოდვა. მაგრამ „დიდი სჯულის კანონის“ მიხედვით (სადაც საეკლესიო კანონებია შეტანილი), მოძღვარმა შეიძლება საკუთარ თავზე აიღოს ადამიანის ცოდვა და სასჯელი შეუმსუბუქოს. ■

თამაზ ქორქოლიანი

შეწკიპული ჩახმახივით იყო. მისი შიშით საქართველოს მტრები ვერ ბედავდნენ ისტორიის დამახინჯება-გაყალბებას, ვერც სეპარატისტული ზრახვების სააშკარაოზე გამოტანას, ქართველი ერის გაბიაბრუებას და ზოგადად ქართველის ჰაიჰარად ხსენებას.

კოლხური სიფიცხე მოსდგამდა. იყო ამაყი და არა ამპარტავანი; პრეტენზიული და არა ამბიციური; პრინციპული და არა ახირებული. მისი შურდათ, აკრიტიკებდნენ, ლანძღავდნენ, ათას ბინძურ ჭორს უგონებდნენ, უთვალთვალებდნენ, აბეზღებდნენ. მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდნენ და ებრძვიან დღესაც... ამავდროულად, ქედს იდრეკდნენ მისი უბადლო ნიჭის წინაშე.

15 მაისს კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 110 წელი შესრულდა.

„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია...“

„გამსახურდიას შემოქმედებას აქვს რაღაც მაგიური მუხტი, იგი სულში პატრიოტულ ნაპერწკალს აჩენს, შემდეგ, თანდათან აღვივებს და მარადიულ ცეცხლად აქცევს“, — თქვა ერთმა კრიტიკოსმა.

ალბათ დაბადებიდან, ჯიშად დაჰყვა ეს ეროვნული ნაპერწკალი მწერალს, შემდეგ კი, ადრეულ სიყმაწვილეში, შეიწოვა და შეისისხლხორცა ყოველივე ქართულის სიყვარული. სამი წლის იყო, როცა დედას — თოფურიძის ქალს, ელისაბედს, რომელსაც ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ (დედის მხრიდან ბებია აფხაზი ჰყავდა მწერალს — ჯარამხან, ძველი აფხაზი ფეოდალის, მარშანიას ქალი), გელათისა და მოწამეთას მოსალოცად წაუყვანია. ყრმაზე უღრმესი შთაბეჭდილება მოუხდენია წყალწოთელას ხეობას და მთიდან მოჩვენებასავით გადმომდგარ ტაძარს. გაოცებული შესქცეროდა ბავშვი ამ ტაძარში დავითის ფრესკას, მის დიდრონ, ცისფერ თვალებს, ნიკაპთან ოდნავ გაჟღალებულ წვერს, ალმასებით მოოჭვილ გვირგვინს, კეისრულ, წითელ წაღებსა და ლოორს — ოლარისდარ სამხრეს, რომელიც თურმე მარტო ბიზანტიის კეისრებს ეცვათ, საქართველოში კი, გამორჩეულად — დავითსა და თამარს... ასე გაიცნო ჯერ ისევ ბავშვმა მთავარი გმირი თავისი მომავალი ეპოპეისა — „დავით აღმაშენებლისა“.

მამამისი — სვიმონ გამსახურდია ფუნქციადაკარგული ქართველი აზნაურის ტიპური წარმომადგენელი ყოფილა. ჯირითობას, ნადირობას და დროს ტარებას გადაყოლილი, წიგნებისთვის ვერ იცლიდა. „თავის სიცოცხლეში, „ვეფხისტყაოსნის“ და „დავითნის“ გარდა, წიგნი არ წაუკითხავს და მე აგრე მახსოვს, იგი გულდასმით ამტკიცებდა: რაც დასაწერი იყო, ამ ორ წიგნში უკვე დაუწერიათ და სხვა რა არც არის საჭიროო“, — იგონებდა შემდგომ დიდი მწერალი.

სვიმონ გამსახურდია უშიშარი კაცი ყოფილა. თურქებთან ომშიც გამოუჩენია თავი. ერთხელ, ნაპირებიდან გადმოხეთქილ მდინარე აბაშაში შეუგდია ცხენი და მახვეწარებს — ნუ იზამ ამასო! — შეუძახა თურმე: მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევიაო... გულადობაც შთამომავლობით დაჰყოლია მწერალს.

„შვიდი წლის ბიჭი ვიქადნიდი, წამოვიზრდები და ჩვენი ქვეყნის მტრებს გავჟუჟავ-მეთქი. მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ვოცნებობდი: დიდი გენერალი გავმხდარიყავი, ლაშქარი შემედგინა და საქართველოს მტრები შემეშუსრა“, — იგონებს მწერალი, რომელსაც სიყრმის ტკბილი სიზმრები, ალიხანოვ-ავარსკის ზარბაზნების ქუხილმა დაუფრთხო და გაუფანტა.

ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დროს გადადგა კონსტანტინე გამსახურდიამ მწერლობაში პირველი ნაბიჯები. იქვე იფეთქა მასში მეამბოხის სულმა და საიდუმლო ეროვნული ორგანიზაცია — „ცხრა მუხა“ დააარსა მეგობრებთან ერთად. როცა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა, შავრაზმელმა კუსტინოვიჩმა „ძაღლის ენა“ უწოდა ქართულს, რევოლვერებითა და ხელკეტებით შეიარაღებული „ცხრამუხელები“ სადგურზე დახვდნენ საგარაკოდ მიმავალ კუსტინოვიჩს და ცოლის თვალწინ, ცხვირიდან ძმარი ადინეს. რომანოვთა დინასტიის 300 წლისთავის იუბილეს დროს, „ცხრამუხელები“ გიმნაზიის საქტო დარბაზში შეიჭრნენ, რუსი მეფეებისა და გენერლების მოოქრულ ჩარჩოებში მოთავსებული სურათები ჩამოყარეს, დახიეს და ფეხქვეშ გათელეს, მერე პროკლამაციები დასტამბეს და გაავრცელეს, რომელშიც ხალხს მოუწოდებდნენ, არ ეზეიმათ დამპყრობელი რომანოვების დინასტიის იუბილე და კუდით ქვა ესროლინებინათ კუსტინოვიჩისმაგვარი რუსი შოვინისტებისათვის. ქუთაისის ჟანდარმერია და პოლიცია ფეხზე დამდგარა; თავიდან ვერას გამხდარა, მაგრამ ბოლოს, შეგზავნილი აგენტის წყალობით, „ცხრამუხელები“ აღმოაჩინეს და დააპატიმრეს. „ჩემთვის ეს პირველი პატიმრობა იყო უბედნიერესი მომენტი ჩემი ცხოვრებისა. ბედნიერი გრძნობისგან შეპყრობილი ვიმეორებდი ამ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რამეთუ გდევნონ ჩემი სახელით“, — იგონებს მწერალი, რომელიც მას შემდეგ, არაერთხელ დაუპატიმრებიათ.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1911 წელს კონსტანტინე გამსახურდიას, ილია ჭავჭავაძის სტიპენდია დაენიშნა და პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მაგრამ ერთხელ, ლექციაზე ნიკო მარმა მისი სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძე აუგად მოიხსენია და კონსტანტინემ, პროტესტის ნიშნად, ლექციებზე სიარულს თავი დაანება და დასავლეთ ევროპაში გასამგზავრებლად გაემზადა. „აკაკიმ *(პეტერბურგში იგი აკაკი შანიძესთან ერთად ცხოვრობდა. — ავტ.)* რუკა შემომიტანა, თვალები დამიხუჭა და მითხრა: საეგებიოდ დაადევიო რომელიმე ქალაქს თითი.

თითი მოხვდა კენიმსბერგს“.

ასე აღმოჩნდა მწერალი, იმანუილ კანტის მშობლიურ ქალაქში, რომელიც იმ დროს, გერმანული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კერა გახლდათ.

თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში — „ლანდებთან ლაციცი“ — მწერალი ერთ ადგილას ამბობს: „მე დავიბადე მსოფლიო-

ში ყველაზე უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას, მას სახელად ჰქვია ზანა; მას შემდეგ ერთი მქონდა მიზანი — ყოველ ცისმარე დღეს საკუთარ თავს შემოვუძახებდი — შენ ჰეი! ზანის პირად დაბადებულო ბიჭო! არ გაჯობონ დიდი მდინარის პირას დაბადებულთა".

საპირისპიროდ დღევანდელ ქართველთა უმეტესობისა, რომლებიც უცხოელში მეტოქეს ვერ მოიაზრებენ და მხოლოდ თვისტომში ხედავენ მოქიშპეს, დიდი კონსტანტინე, რაინის, დუნაის, ვოლგისა და ტემზის პირას დაბადებულებთან გასაჯიბრებლად ჩავიდა ევროპაში. გასაკვირიც არაფერია: ახალგაზრდობის მაშინდელი თაობა ხომ, ილია ჭავჭავაძის იდეებით იყო აღზრდილი, კარგად არჩევდა მტერ-მოყვარეს, იცოდა, ვისგან უნდა ესწავლა, ვის გასჯიბრებოდა და ვისთან ებრძოლა... ევროპაში სწავლის პერიოდში, პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო. მწერალი დაიჭირეს და საკონცენტრაციო ბანაკში ჩასვეს, საიდანაც დიდ გერმანელ მწერალთან, თომას მანთან ნაცნობობამ იხსნა. სამშობლოში დაბრუნებამდე, ათასი ფათერაკი, ჩხუბი, კინკლაობა და დუელი არ დაჰკლებია და არავისთვის შეურჩენია სამშობლოსა თუ საკუთარი ღირსების შელახვის მცდელობა. ერთ საღამოს, კაფე „იმპერატორში" შესულა ლუდის დასალევად ორ მეგობართან ერთად. იქვე გერმანული არისტოკრატიული წრის სტუდენტები ლოთობდნენ, რომელთათვის ერთგვარ მოდად იყო ქცეული დებოშები, დუელები და სახეზე ნაიარევით თავის მოწონება... თანამეინახეთ, ვიღაც ლამაზმანი ეჯდათ, რომელმაც შორით აშიკი და მანჭვა გაუმართა გარეგნობით გამორჩეულ, უცხოელ სტუდენტს. ბოლოს, ისე გათავხედდნენ, რომ ორი სეკუნდანტი მიუგზავნეს: რაკი ჩვენს მანდილოსანს ეარშიყები, დუელში გიწვევთო. იფეთქა უცებ

კონსტანტინეს უპასუხია: „სერგო, მეშინია ჩემი ხალხის მოსპობისა, თორემ შენ და შენს რუს წითელარმიელებს როსტოვს იქით გაგყრიდით"

მასში გამსახურდიების სისხლმა და მოძალადეთ, პისტოლეტით დუელი შესთავაზა. მათ — რაპირებით ვიბრძოლოთო, — აიჩემეს და ასეც გადაწყდა. მეორე დღეს, დათქმულ ადგილზე, გერმანული სიზუსტით გამოცხადდნენ დუელანტები — კონსტანტინე გამსახურდია და კურტ ფონ იქსიკიულ, სეკუნდანტების თანხლებით. დუელი შედგა რაპირებით. ახალგაზრდებმა თითო ჭრილობა მიაყენეს ერთმანეთს და კურტ ფონ იქსიკულის სეკუნდანტებმა დაზავება ითხოვეს...

კონსტანტინე გამსახურდია სწავლობდა კენიგსბერგის, ლაიფციგის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1919 წელს დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება. 1918 წლიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ სამსახურში ჩადგა. მენშევიკებთან მწერლის დამოკიდებულებას კარგად ასახავს მისივე მოგონება: „ერთ დღეს, ათი, კარგად შეიარაღებული არტილერისტი ავიყოლე და მოქალაქურად გადაცმულნი შევიპარეთ საზღვაურო ბანკის საკრებულოში, სადაც მენშევიკ მატრაბაზებს სხდომა ჰქონდათ იმ დამეს. ჩვენ წინასწარ ფიცი დავდევით, თუ მენშევიკები არ გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, იმ ღამესვე დაგვეხოცა ნოე ჟორდანია, კაკი წერეთელი და ევგენი გეგეჭკორი. როცა კაკი წერეთელი ტრიბუნაზე ავიდა და მისთვის ჩვეული, რუსეთუმობის ღობე-ყორეს მოედო, მე ჩემი ბრაუნინგი შევწკიპე და ის-ის იყო, ამოშაქრა ამ პეეტარმა სიტყვა „დამოუკიდებლობა"...

1921 წელს, როცა წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო, მწერალმა საპროტესტო წერილი მისწერა ლენინს (ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი. დაიბეჭდა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში"). ამ წერილის გამო, მას თავს დაესხა საქართველოს მთელი წითელი პრესა. კომუნისტების მომდევნო თაობის მესვეურები აღშფოთებას ვერ ფარავდნენ — როგორ გაუბედა ვიღაც გამსახურდიამ პროლეტარიატის უკვდავ ბელადს საპროტესტო წერილის მიწერაო?! არადა, იმ დროისათვის, ლენინს კიდევ სამი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი და გაღმერთებული და ხატად ქცეულიც ჯერ არ იყო. ქართველი მწერლები მას ხან წითურ (რიჟა) ჯუჯა მონღოლს უწოდებდნენ, ზოგი კიდევ — სკვითისთავა და მონღოლისთვალება, პრეისტორიული ხვლიკის გაყინულ თავს ადარებდა... წერილით გამოწვეული აღშფოთება ბოლომდე შერჩათ კომუნისტ-კომკავშირლებს, რადგან იცოდნენ, რომ მწერ-

ძერჟინსკიმ პირადად დაჰკითხა გამსახურდია და გათავისუფლებასაც დაჰპირდა

ალს არასოდეს შეუცვლია თავისი აზრი.

ერთხელ მწერალი, სერგო ორჯონიკიძეს დაუბარებია და უთქვამს: „კოწია, გონს მოდი, თორემ შენნაირ ნაციონალისტებს ჩავსვამ საქონლის ვაგონში და გავაციმბირებ". კონსტანტინეს უპასუხია: „სერგო, მეშინია ჩემი ხალხის მოსპობისა, თორემ შენ და შენს რუს წითელარმიელებს როსტოვს იქით გაგყრიდით". სერგო გაწითლდა და ხმადაბლა უთხრა: „გთხოვ, არავის უთხრა, რაც მე მითხარი. ახლა კი გასწი და ფრთხილად იყავი". მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვის შემდეგ, მაინც დააპატიმრებინა", — იგონებს ზვიად გამსახურდია მამის ნაამბობს.

1926 წელს, ქართველი მწერლების პირველ ყრილობაზე გამსახურდიამ რუსიფიკაციისა და ეროვნული სულის ჩაკვლის წინააღმდეგ გაილაშქრა, რის გამოც დააპატიმრეს „შპიონობისა" და მოღალატეობის ბრალდებით. მართლაც, ჩასვეს საქონლის ვაგონში და მოსკოვში გააგზავნეს. „ლუბიანკაზე" (კაგებეს ციტადელში) დაკითხვის დროს, გამომძიებელმა შეაგინა. კონსტანტინემ წამსვე ფეხქვეშ მოიგდო შეურაცხმყოფელი და ცხვირ-პირი დაუსისხლიანა, რისთვისაც სიკვდილმისჯილის საკანში მოათავსეს. შემდეგ ძერჟინსკიმ პირადად დაჰკითხა გამსახურდია და გათავისუფლებასაც დაჰპირდა, მაგრამ ბედის ირონია იყო, რომ მეორე დღეს, რკინის ფელიქსი უეცრად გარდაიცვალა... სიკვდილმისჯილის საკანში ჯდომის ექვსი თვის თავზე, გამსახურდია სოლოვკის კუნძულზე (პოლიტპატიმართა ბანაკში) გადაასახლეს, სადაც სამი წელი დაყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ის სრულიად უსახსროდ დატოვეს: არ უბეჭდავდნენ ნაწარმოებებს, არ აძლევდნენ სამსახურს, გამუდმებით სდევნიდნენ პრესაში,

კლასობრივ მტრად, ბანდიტების მწერლად, ბურჟუაზიის აგენტად და ნაციონალისტად აცხადებდნენ. ამ დროს, იგი სარჩოს ნადირობით შოულობდა. ბოლოს, ნება დართეს, სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად ემუშავა.

1921, 1924, 1937 წლებს, საქართველოს ისტორიაში „წითელი ტერორის“ ჯოჯოხეთური წლები შეიძლება ეწოდოს. ამ წლებში დახვრიტეს და წამებით სული ამოხადეს არაერთ ჭეშმარიტ ქართველს. დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას შვილი, ლევანი, 1924 წლის ავჯანყებულთა თანაგრძნობისთვის. როცა სერგო ორჯონიკიძესთან მისულან და უთხოვიათ: ლევანი არ დასაჯოთ, დიდი ვაჟას შვილიაო, — სერგოს უპასუხია: ლევანს კი არა — თვით ვაჟა-ფშაველასაც დავხვრეტდი, თუკი ამას რევოლუციის ინტერესები მოითხოვდაო.

„წითელი ტერორი“ და კაცთა კვლა შეეხო ყველა ფენას — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას. ამ წლებში ამოხადეს სული მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს; თვითმკვლელობამდე მიიყვანეს პაოლო იაშვილი (იმ ადგილას, სადაც დახვრეტილებს მარხავდნენ, ახლა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის სათბურებია!). განსაკუთრებულად კი, მაინც არისტოკრატიას მოსდგნენ. თავადაზნაურობას არც ადრე აკლებდნენ ხელს მარქსისტები, მუქთახორებსა და სისხლისმწოველ წურბლებს უწოდებდნენ. ინტერნაციონალისტებმა კარგად იცოდნენ, რომ თავადაზნაურობა იყო ყველაზე ძლიერი ეროვნული მუხტის მატარებელი ძალა. ბოლშევიკების ერთ-ერთ კრებაზე ლევან ღოღობერიძე (თავად ღარიბი აზნაურის შვილი) გამოსულა და უთქვამს: სამარცხვინო ფაქტია — თავად-აზნაურთა რაოდენობით, საქართველო პირველ ადგილზე დგას, ამიტომ მათი რიცხვი უნდა შევამციროთო... — შევამციროთ კი არა, ნულამდე უნდა დავიყვანოთო! — ფეხზე წამოვარდნილა განრისხებული რკინის „ნარკომი“ სერგო ორჯონიკიძე (თავად ღარიბი აზნაურის შვილი). და დაიწყეს „შემცირება“ — სისხლით შეღებეს მდინარეები. შავი ჩააცვეს მთელ ერს...

კონსტანტინე გამსახურდიას ბედმა გაუღიმა: სიკვდილის მანქანამ ამჯერადაც აუარა გვერდი და საშუალება მიეცა, საკუთარი შვილები თვითონვე აღეზარდა, არ მოეშალა ტრადიციული ქართული პატრიარქალური ოჯახი. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში მწერალს ასეთი იგავი უთქვამს: „ერთხელ ლომს თავისი ბოკვერი დაეკარგა თურმე. რამდენიმე ხნის შემდეგ, ლომმა იპოვა თავისი ბოკვერი ერთი გლახის სახლში. ჰკითხა: შვილო, რამ დაგაჩიავა ასე? შენ ლომის ბოკვერი ხარ თუ კატის კნუტი? მეო, უპასუხა კატის კნუტმა, ლომის ბოკვერი ვიყავი, მაგრამ კატებმა გამზარდესო“.

1937 წელს, ლავრენტი ბერია საჯარო გამოსვლაში გამსახურდიას ბრალს სდებს „ფაშისტურ ტენდენციებში“ (გავა დაახლოებით ნახევარი საუკუნე და დიდი კონსტანტინეს ერთადერთ ვაჟს, საქართველოს პირველ პრეზიდენტს „პროვინციული ფაშიზმის“ ფუძემდებლად გამოაცხადებენ, მწერლის სახლ-კარს კი გაძარცვავენ და გადაბუგავენ ბერია-ორჯონიკიძის სულიერი მემკვიდრეები), „მთვარის მოტაცებას“ ყოვლად უგარგის ნაწარმოებად აცხადებს, რადგან ამ ნაწარმოებში კომუნისტი არზაყან ზვამბაია უზნეო კარიერისტად და მამის მკვლელად არის გამოყვანილი. ეს უკვე დახვრეტის განაჩენს ნიშნავდა, მაგრამ რა ხდება? — მოვუსმინოთ ზვიად გამსახურდიას: „სტალინი, რომელიც კითხულობს კ. გამსახურდიას ნაწარმოებებს, მიდის დასკვნამდე, რომ „მაგას უნდა ჭკუა ვასწავლოთ“ და სცემს ბრძანებას, არ გაანადგურონ მწერალი ფიზიკურად, მაგრამ გამუდმებით ლანძღონ და აკრიტიკონ“.

მეორე ვერსიით, ბერიასთან მისულა შალვა დადიანი და უთქვამს: „რას შობი, ლავრენტი, შენ თუ იცი, ერთი მწერალი გვყავს მეგრელებს და იმასაც დახვრეტას უპირებ?“ — „თვალით არ დამენახვოს, საქართველოდან წავიდეს!“ — კბილებში გამოუცრია განრისხებულ პავლოვიჩს.

მწერალი მართლაც, გადაიხვეწა სამშობლოდან. მაგრამ მალე, ბერია კრემლში გადაიყვანეს სამუშაოდ და კონსტანტინეს საქართველოში დაბრუნების საშუალება მიეცა. 1939 წელს, მან თავისი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შედევრთაგანი — „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოაქვეყნა. იმ წელს, სტალინი გაგრაში სამთავრობო აგარაკზე ისვენებდა. ამბობენ, ერთ საღამოს, მან ბერიას, „დიდოსტატის მარჯვენის“ მოტანა სთხოვა. მეორე დილით, სტალინს მისთვის წიგნი დაუბრუნებია და უთქვამს: მართლაც, დიდი მწერალი ყოფილა გამსახურდიაო („დიდოსტატმა“, სოსელო თუ გაალვიძა მის სულში...). მიუხედავად ამისა, „ჭკუის სწავლება“ მაინც გრძელდებოდა. მტრებმა ბელადს ამბავი მიუტანეს, თითქოს გამსახურდიას ეთქვას: სტალინი კომპეტენტურია პოლიტიკაში, ამიტომ მე დამანებოს ლიტერატურის სფერო და თავად, პოლიტიკას მიხედოსო. ამის შესახებ სტალინმა 1948 წელს, ისევ გაგრაში ყოფნისას, პარტორგანიზაციის კრებაზე გამოსვლის დროს თქვა: „ეს გამსახურდია ძალიან ბევრ უფლებას აძლევს თავს. იგი უნდა ავლაგმოთ“. შემდეგ ბერიას შეხედა და წარმოთქვა: „მაგრამ ისე კი არა, თქვენ რომ იცით ზოგჯერ...“ ამის მომსწრე ყოფილა მოხუცი აგრონომი ე. ნაჭყებიაო, — გვიამბობს ზვიად გამსახურდია.

არც სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდეგ უგრძნია შვება მწერალს. მის წინააღმდეგ აგორებული კამპანია კვლავ კომუნისტური შემართებით გრძელდებოდა ადგილობრივ და საკავშირო პრესაში. იმ პერიოდში შეწყვიტეს მის თხზულებათა კრებულის გამოცემა (ქართულ და რუსულ ენებზე) — ოთხი აწყობილი წიგნი გადაადნეს პოლიგრაფიულ ქვაბში. გამსახურდიას ოჯახს უაღრესად უჭირდა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა საკავშირო პროკურორი რუდენკო, გამოვიდა მინისტრი კოჭლავაშვილი და განაცხადა: ამხანაგებო, დადგა დრო, დავაპატიმროთ ხალხ-

საშუალება მიეცა, საკუთარი შვილები თვითონვე აღეზარდა, არ მოეშალა ტრადიციული ქართული პატრიარქალური ოჯახი

ის მტერი და ნაციონალისტ-შოვინისტი გამსახურდიაო. მაგრამ რუდენკომ მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას (ეს ამბავი 1959 წელს გაახმაურა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილმა პარტკომმა გ. კაიშაურმა)...

1957 წლიდან კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების უცხო ენებზე თარგმნა-გამოცემა დაიწყო და მწერალმაც ოდნავ შვება იგრძნო. „პარიზის გამომცემლობა „ედიტერ ფრანსეზ რეიუნი“ 1957 წელს გამოსცემს დემეკის მიერ თარგმნილ „დიდოსტატის მარჯვენას“; იმავე წელს, „იუმანიტე დიმანში“ აქვეყნებს მხატვარ ჟ. დორვილის ილუსტრაციებს რომანისათვის — „დიდოსტატის მარჯვენა“ (ადაპტირებული ტექსტით); გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდება მრავალი რეცენზია (ერთ-ერთში გამსახურდიას, ფლობერს ადარებენ. ისიც ითქვა, რომ ბალზაკისა და ფლობერის სამშობლოში, მწერლებმა უნდა ისწავლონ გამსახურდიასაგან); რეცენზიები იბეჭდება აგრეთვე შვეიცარიულ პრესაში...“ — მოგვითხრობს ზვიად გამსახურდია.

...ერთხელ, სამოციანი წლების დასაწყისში, მწერალი, ბიჭვინთაში დასასვენებლად ჩასულ ხრუშჩოვს მიუწვევია სტუმრად სამთავრობო აგარაკზე. ნინა პეტროვნა, ხრუშჩოვის მეუღლე მის დანახვაზე გაოცებულა და უკითხავს: ასეთი გამხდარი რატომ ხართო (ალბათ თავის ქმარს შეადარა)? კონსტანტინეს ტაქტიანი ღიმილით უპასუხია. მერე და მერე, რომ არ მოეშვა საბჭოთა ქვეყნის უპირველესი ქალბატონი, მწერალს გერმანულად უთქვამს ორიოდე სიტყვა და ოთახიდან გასულა. ბედად, მათ საუბარს გერმანულის მცოდნეც ესწრებოდა, რომელსაც მწერლის ნათქვამი ასე უთარგმნია: გამხდარი მამალი ყოველთვის ჯობია მსუქან მამალსო...

სამოციანი წლების დამლევს, უნივერსიტეტის საქტო დარბაზში, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვედრა ჰქონდათ კონსტანტინე გამსახურდიასთან. სცენაზე შემოვიდნენ: ჭარმაგი, წელში ამაყად გამართული მწერალი და ტანსრული კრიტიკოსი, ბესარიონ ჟღენტი (უნიჭიერესი კაცი და ბრწყინვალე ორატორი) და, რა თქმა უნდა, მასპინძლის — ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის ამალა. გამსახურდიას, ხელში ქუდი, ე.წ. ცილინდრი ეკავა. ტაშის გრიალში სტუმრები მაგიდასთან დასხდნენ. დეკანმა მოკლე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, კათედრა ბესარიონ ჟღენტს დაუთმო. კონსტანტინე აწრიალდა, ცილინდრს ადგილი ვერ მოუძებნა და გვერდით მჯდომ მასპინძელს მიაწოდა; მანაც გამოართვა და უცერემონიოდ, ცხვირწინ მაგიდაზე დაუდო. მწერალმა ჯერ წარბები შეყარა, ალმაცერად გადახედა მასპინძელს, მერე უცებ, სახეზე ღიმილმა გადაუარა, აიღო თავისი ცილინდრი და მაგიდის ქვეშ შეუძახა. დარბაზიდან სიცილის ხმა გაისმა. ბესო ჟღენტმა ალბათ იფიქრა: ასეთი ნეტავ, რა ვთქვი, ხალხი სიცილით რომ იფხრიწებაო? — და თავის მყივანა ხმას მოუმატა. უნივერსიტეტელი მასპინძელი ოთხზე დადგა, მაგიდის ქვეშ შეძვრა, ქუდი აიღო და მწერალს ისევ ცხვირწინ დაუდო. სიცილი კვლავ გრძელდებოდა და ბესო ჟღენტიც კვლავ უმატებდა ხმას. არ გასულა ნახევარი წუთი და კონსტანტინემ ისევ მაგიდის ქვეშ შეაგდო ქუდი. დარბაზში უკვე ხარხარი ატყდა. ბესო ჟღენტმა, რომელიც უსათვალოდ მხოლოდ ლანდებს ხედავდა, ვერაფერს მიხვდა, ხმასთან ერთად, ტემპსაც მოუმატა და მთელი ხმით გაჰკიოდა, სიცილ-ხარხარის ფონზე. ისევ დადგა ოთხზე ის მასპინძელი, ქუდი გამოიღო და ამჯერად, უკვე იქ წაიღო, სადაც თავიდან უნდა წაეღო... შეხვედრის ბოლოს, კათედრასთან გამოვიდა მწერალი და თავისი მოკლე სიტყვის დასასრულს, ღიმილით თქვა: ხომ მოწმე ხართ, როგორი დითირამბები მიმღერა დღეს ბესო ჟღენტმა? — იცოდეთ, იგი ჩემთან ბრძოლაში გაიზარდა და დავაუკაცდაო...

შავჩოხიანები — ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, რომელშიც მწერალს 187 სტრიქონი აქვს დათმობილი, ნახსენებია მისი ჯილდოებიც: „დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენითა და სხვა ორდენებითა და მედლებით“. იმ ავადსახსენებელი რეჟიმის პერიოდში, ვერც ერთი ჯილდო, თვით უმაღლესიც კი, ვერ გამოდგებოდა სიცოცხლის გარანტად. ლენინის ორდენზე ან სტალინურ პრემიაზე უარის თქმა კი, უაზრო თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა... სამაგიეროდ, არავის უნახავს ორდენოსანი გამსახურდია, იგი მეტწილად ჩოხით დადიოდა და წელზე მამაპაპისეულ ბრტყელ სატევარს იკიდებდა. ქართული ჩოხა კი, იმდენად ლამაზი და დახვეწილია, ზიზილ-პიპილოები არ უხდება. თუმცა, არც ევროპულ პიჯაკზე ჰკეთებია ორდენები...

ერთხელ, მწერალთა შეკრებაზე, მასთან მებრძოლ ერთ კრიტიკოსს უთხრა: აქ შენ, ამხანაგო, უნივერმაღის კარივით ხარ — საიდანაც მოგაწვებიან, იქით იღებიო... საშინლად არ უყვარდა უნივერმაღის კარივით კაცები, კაცის კაცები და კაცის კაცის კაცები. ეს ხასიათი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. უყვარდა სამშობლო, რომელსაც სივრცეში და დროში განფენილ, საკუთარი ხალხის მთლიანობაში ხედავდა. ამიტომაც ებრძოდა იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ათასი ჯურის ინტერნაციონალისტს, ნიჰილისტსა და კოსმოპოლიტს. ამიტომაც არ უყვარდათ და დღესაც ებრძვიან კონსტანტინე გამსახურდიას, კოსმოპოლიტობისა და გლობალისტობის ნიღაბს ამოფარებული, დღევანდელი ავანტიურისტები.

ცხოვრების არსს ბრძოლაში ხედავდა. წამომაყენეო! — უთხრა შვილს და უშიშარი, ვითარცა უხორცო, ფეხზე ამდგარი შეეგება სიკვდილს...

P.S. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს — მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევიაო, — თქვა სვიმონ გამსახურდიამ და გადააგდო ნაპირებიდან გადმოსულ აბაშაში ცხენი. მეოცე საუკუნის დასაწყისში — მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევიაო, — თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ და გადააგდო მორევში ცხენი. მეოცე საუკუნის დასასრულს — მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევიაო, — თქვა ზვიად გამსახურდიამ და შეაგდო მორევში ცხენი... ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს... ■

ნიფრეპანინი®

ინგალიპტინის ანალოგი

სწრაფი და ხანგრძლივი ფარმაკოლოგიური ეფექტის ფარგლებში



ერთ-ერთი პირველი „რეალ-შოუს“ – ჰოლანდიური „დიდი ძმის“ პროდიუსერი პოლ რომერი

ტელევიზია, რომელიც ამცირებს ადამიანებს

აშშ-ში ძალზედ პოპულარული, ე.წ. reality show-ს შემქმნელთა თავზე ცა იქუფრება: ტელეპროგრამების მონაწილენი მათ, პატივისა და ღირსების შელახვისთვის, სასამართლოში უჩივიან.

ე.წ. ალტერნატიული პროგრამების სფეროში, ტელეკომპანია Fox-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკლ დარნელი კმაყოფილებისგან ხელებს ისრესს: მისი უკანასკნელი პირმშო – „რეალური შოუ“ – „ჯო მილიონერი“, რომელიც წლის დამდეგიდან გადის ეთერში, არნახული პოპულარობით სარგებლობს. თითქმის 19 მლნ მაყურებელი პირდაპირ ეთერში ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ უარყოფს ერთიმეორის მიყოლებით, მისი გულის დაპყრობის სურვილით შეპყრობილ მშვენიერ ქალიშვილებს ჩვეულებრივი მშენებელი, რომლის წლიური შემოსავალიც 20.000 დოლარსაც არ აღემატება – მაშინ, როდესაც საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გოგონებს ის მილიონერის მემკვიდრე ჰგონიათ...

კმაყოფილია ტელეკომპანია „ეი-ბი-სი“-ს ხელმძღვანელობაც: წარმატებული სტარტი აიღო ამ არხის „რეალ-შოუმ“ – „მარტოხელა ქალმაც“, რომელშიც 29 წლის ტრისტა რეპი იწუნებს მისი ხელის უიღბლო მთხოვნელ მამაკაცებს. სულ კი, ამერიკის ეკრანებზე დღესდღეობით 130-მდე „რეალური შოუ“ ტრიალებს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგრამ ამ ტელეპროგრამების მწარმოებელთა თავზე ნელ-ნელა ცა იქუფრება – „რეალური ტელევიზიის“ გმირები სასამართლოებში ჩივიან და ტელეკომპანიებს პატივისა და ღირსების შელახვისთვის მრავალმილიონიან კომპენსაციას სთხოვენ...

„საპნის ოპერებისა“ და ტრადიციული სერიალების ალტერნატივის მრავალწლიანი ძიების შემდეგ, ახალი ჟანრი ძალუმად იმკვიდრებს ადგილს“, – აღნიშნავს ამერიკული პოპ-კულტურის სპეციალისტი ნიუ-იორკის შტატის სირაკუზის უნივერსიტეტიდან, რობერტ ტომპსონი, რომელიც სულაც არ არის აღფრთოვანებული ამ მოვლენით. მისი აზრით, ამერიკული ტელევიზია, რომელიც არც მანამდე გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტითა და კულტურით, 1999-2000 წლის ტელესეზონიდან მოყოლებული, კიდევ უფრო უგემოვნო გახდა.

„რეალური შოუ“ ამერიკში არცთუ ისე დიდი ხნის წინ შევიდა ევროპიდან, მაგრამ ახალი ჟანრის პირველი პროექტები, სხვა ტელეშოუებისგან დიდად არ განსხვავდებოდა. კონკურსის მონაწილეებს არანაირ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ უყენებდნენ. მაგრამ ძალიან მალე, ამერიკელმა პროდიუსერებმა განავითარეს ახალი ფორმატი, რომელმაც განსაკუთრებული სახელწოდებაც კი მიიღო – Humiliation TV („ტელევიზია, რომელიც ამცირებს ადამიანებს“). ცნობილი სერიის – Survivor-ის ერთ-ერთ ეპიზოდში (რუსეთში ეს პროექტი „უკანასკნელი გმირის“ სახელწოდებით გადის) ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლაში დამარცხებული ვეგეტარიანელი ქალი ჭამს გრძელ შავ ჭიაყელას, რის შემდეგაც კამერა ხანგრძლივად, ათი-თორმეტი წუთის განმავლობაში უჩვენებს, თუ როგორ აღებინებს... „სი-ბი-ეს“-ის პროექტის – Culture Shock-ის („კულტურული შოკი“) ფინალში კი, თოკებით ხელფეხშეკრული მოპაექრენი თავდაყირა დაკიდეს და ყველაზე გამძლეს, პრიზად 100.000 დოლარს შეჰპირდნენ. 29 წლის ლოს-ანჯელესელმა გამყიდველმა ჯილ მაუზერმა ამ მდგომარეობაში 40 წუთის გატარების შემდეგ, ზურგის ტრავმა მიიღო. აი, ფილიპ ზელნიკი, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩაითრიეს ტელეშოუს – Candid Camera-ს („ფარული კამერა“) ეპიზოდის გადაღებაში: ის აეროპორტში ტვირთის შესამოწმებელი სარენტგენო აპარატის ტრანსპორტერზე დააგდეს, საიდანაც უზომოდ შეშინებული და დაკაწრული გამოვიდა. ლას-ვეგასში დასასვენებლად ჩასულმა ჯეიმს და ლორა რაიანებმა სასტუმრო Hard Rock-ის ნომერში, აბაზანაში გვამი აღმოაჩინეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის ნამდვილი არ იყო – საგანგებოდ დაამზადეს შოუ Harassment-ის („შეურაცხყოფა“) მორიგი სერიის გადასაღებად. როცა რაიანების წყვილი შეეცადა, დაეტოვებინა „დანაშაულის ადგილი“, ის სასტუმროს დაცვამ დააკავა... ზემოთ მოყვანილი ყველა შემთხვევის დროს, დაზარალებულები თავს დამცირებულად გრძნობდნენ, პროდიუსერები კი, მხოლოდ ქირქილებდნენ და ხალხში იუმორის გრძნობის დაქვეითებას უჩიოდნენ.

კადრი შოუდან „შიშის ფაქტორი“

დაზარალებულს სრულებით არ თანაუგრძნობს „ფარული კამერის“ წამყვანი პიტერ ფუნტი, რომელმაც საწყალი ზელნიკი რენტგენის აპარატში შეაგდო. „ჩვენ არ გვსურდა მისთვის ზიანის მიყენება, ყველაფერი შემთხვევით მოხდა და შვებით ამოვისუნთქეთ, რომ ის დიდად არ დაშავებულა. ჩვენ სადაზღვევო კომპანიასაც კი დავუკავშირდით და კომპენსაციის გადახდა შევთავაზეთ, მაგრამ ზელნიკმა ამაზე უარი თქვა“.

მაუზერმაც, ზელკინმაც და რაიანების წყვილმაც ტელეკომპანიებს სასამართლოში უჩივლეს. აშშ-ის სასამართლოებში ამგვარი სარჩელების რიცხვი უკვე რამდენიმე ათეულს აღწევს. ადამიანის უფლებათა დამცველები და დაზარალებულთა ადვოკატები იმედოვნებენ, რომ სარჩელების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დამამცირებელი ტელეპროდუქციის მწარმოებელთა თავაშვებულ მოქმედებას ზღვარი დაედება. „აუცილებელია, გადაიდგას რაღაც ნაბიჯები ამის აღსაკვეთად. ისინი

შოუ – „ჩრდილოეთის სანაპიროს“ გადაღებები ჰავაის კუნძულებზე

აშინებენ, შეურაცხყოფენ და ამცირებენ ადამიანებს, – ამბობს ლოს-ანჯელესელი რაიანების ინტერესების დამცველი, ადვოკატი ბარი ლენგბერგი. – პროდიუსერები სრულებით არ უფრთხილდებიან ადამიანურ გრძნობებს, სრულიადაც არ აღელვებთ ელემენტარული წესიერება. ერთადერთი, რაზეც ისინი ფიქრობენ – ფულია“.

მაგრამ ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „რეალური ტელევიზიის“ ბუმის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ფულზე ხომ მხოლოდ პროდიუსერები არ ფიქრობენ – თავად კონკურსანტებიც ხომ, „რეალ-შოუში“ ფულის მოსაგებად მიდიან, რომელიც ზოგიერთ პროგრამაში მილიონ დოლარსაც კი აღწევს. ისინი, ფაქტობრივად, ხელ-ფეხს უხსნიან ტელევიზიის მესვეურებს – წინასწარ ხელს აწერენ საბუთს, რომლითაც ყოველგვარ პრეტენზიაზე უარს აცხადებენ, იმისდა მიუხედავად, თუ რა მოხდება თამაშის დროს და ყველაფერს უსიტყვოდ იტანენ მანამ, სანამ არ წააგებენ და საბოლოოდ არ დაკარგავენ მოგების იმედს. ზოგიერთ დაზარალებულში მხოლოდ ამის შემდეგ იღვიძებს ხოლმე პრინციპულობა და ღირსების გრძნობა. რაც მთავარია – სასამართლო ხარჯებიც ვერ გადაფარავს „უსცენარო სერიების“ აშკარა უპირატესობას, რომელიც „რეალ-შოუში“ ტელეკომპანიისთვის დევს, კერძოდ: მინიმალურ დაბანდებას, სწრაფ მონტაჟს, პროექტის გაშვებისა და შეწყვეტის სიმარტივეს. „აქ მთავარი მომენტი მინიმალური საწარმოო ხარჯია, – მიიჩნევს კომუნიკაციების ექსპერტი პენსილვანიის უნივერსიტეტიდან „ვუაიერისტების ნაციის“ ავტორი კლეი კალვერტი. – ყველაზე დიდი სასამართლო ჯარიმის გადახდის შემთხვევაშიც კი, პრაქტიკულად ნებისმიერი „რეალ-შოუს“ სრული ციკლის გადაღება, გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ყველაზე პოპულარული კომედიური სერიალის – „მეგობრების“ მხოლოდ ერთი ეპიზოდის დადგმა“.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ამერიკული „რეალ-შოუების“ „ოჯახს“ ყოველთვიურად მატება აქვს. მხოლოდ „ეიბი-სი“ თებერვალში აპირებს, რომ თავის გადაცემების ბადეს დაუმატოს სულ მცირე 3 ახალი შოუ. მათ შორისაა პროგრამა, რომელიც გამოავლენს ყველაზე სექსუალურ ამერიკელ მამაკაცებს და ქალებს. ტელეარხის წარმომადგენელი სიუზან ლაინი საჭიროდ არც მიიჩნევს იმის დაფარვას, რომ „ეს იქნება კონკურსი, სადაც გონებრივ შესაძლებლობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭება, სამაგიეროდ, კარგი სანახაობა იქნება“. ამ ტელეარხის ერთ-ერთი ყველაზე ძველი დრამატული სერიალი – „ჩემი შვილები“ ახალი სეზონიდან თავის ეპიზოდებში reality show-ს ელემენტების ჩართვას აპირებს. საკუთარი „უსცენარო სერიებით“ გამდიდრებას გეგმავს ქალებისთვის განკუთვნილი ტელეარხი Oxygen-იც, რომლის პროექტს ეწოდება „ცუდი ყოფაქცევის გოგონები“. მაგრამ Oxygen-ზე რაღა ითქმის, როცა კონსერვატიული და ვითომდა გართობისგან პრაქტიკულად თავისუფალი, მეტეოროლოგიური არხიც კი გეგმავს „რეალ-შოუს“ შემოღებას: მის „შტორმულ ამბებში“ საკუთარ თავგადასავალს სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლნი მოჰყვებიან.

ახალმა ჟანრმა მსხვილი ინვესტორებიც დააინტერესა. მობილური კავშირის ოპერატორმა კომპანიამ FAT&T Wireless სულ ახლახან განაცხადა, რომ ამიერიდან მის კლიენტებს ტელეკომპანია Fox-ის პოპულარული შოუს – „ამერიკული კერპის“ ყოველი სერიის შედეგების შემაჯამებელ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების საშუალება ეძლევათ.

ერთი სიტყვით, მაიკლ დარნელს უმუშევრად დარჩენის არ ეშინია. მის უახლოეს გეგმებში სულ მცირე, ორი ახალი შოუს შექმნა შედის: პირველში, რომელსაც „ახალი შანსი“ ერქმევა, გამოჩნდებიან გასართობი ინდუსტრიის ის პროფესიონალები, რომლებმაც ოდესღაც კარგად დაიწყეს კარიერა, მაგრამ შემდეგ გაუჩინარდნენ; მეორეში – „ადამიანი მხეცის წინააღმდეგ“ – ადამიანებისა და ცხოველების სხვადასხვაგვარი პაექრობა მოეწყობა. მაგალითად, 50 ჯუჯა ბაგირის გადაქაჩვაში შეეჯიბრება სპილოს, „ჰოთდოგის“ ჭამაში მსოფლიო ჩემპიონი კი, ეცდება, დაჯაბნოს 300-კილოგრამიანი გაუწვრთნელი დათვი... ერთი სიტყვით, შოუ გაგრძელდება და ამას ხელს ვერაფერი შეუშლის.

■

მოამგადა ინგა წერეთელმა

„ჯო მილიონერის“ მონაწილენი

პროგრამის – „დიდი ძმა-3“ მონაწილენი

დაგვიანებული ჩეისი მისუოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-19

დეა ავალიანს და მის პატიმარ ძმას — თემოს, ლოგინად ჩავარდნილი დედა ჰყავთ. ისინი გადაწყვეტენ, რომ თავიანთი კერძო სახლის ზედა სართული დააგირავონ. თემოს, კანონიერი ქურდი გიგოლა მფარველობს, რომელსაც დეა პირველად, ციხეში ნახავს, შემდეგ კი — რესტორანში, სადაც თავისი მდგმურის — ლონდას დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე მოხვდება. დეა იქვე გაიცნობს გურამს, რომელიც მეორე დღეს, საქართველოდან კარგა ხნით მიდის. მისი წასვლის დღეს, ქალიშვილს შინ კონვერტი დახვდება, რომელშიც გურამის წერილი, ოქროს მედალიონი და ფული დევს. გურამი დეას სთხოვს: გერმანიიდან ჩემს ჩამოსვლას დაელოდეო...

დეას გაზულუქებული თანაკურსელი კახა ჯღარკავა დანით მოკლავს თემოს ყოფილ თანაკლასელს, გიორგი აბრამიძეს. ამ ამბავს დეას, მისი თანაკურსელი, კახაზე შეყვარებული ანა მხეიძე მიუტანს, რომელიც ემუდარება: კახას საწინააღმდეგო ჩვენება არ მისცეო. დეკანატში, სტუდენტების დასაკითხად, ის გამომძიებელი მოდის, რომელიც თემოს საქმეს იძიებდა. ანას მუდარის მიუხედავად, დეა მას სიმართლეს ეტყვის: კონფლიქტი მთლიანად ჯღარკავას სინდისზეაო. დეას გასაჩუმებლად, იმავე საღამოს, ავალიანებს შინ კახას მამა — სკანდალურად ცნობილი პარლამენტარი გიზო ჯღარკავა და მისი ცოლი, თინიკო ესტუმრებიან. დედა-შვილის მოსაქრთამად, გიზო ელენეს ფულს აძლევს. ელენე კარგად იცნობს გიზო ჯღარკავას შავბნელ წარსულს, ამიტომ შეეპირდება: დეას, შენი შვილის საწინააღმდეგო ჩვენებას უკან გამოვატანინებო. დედის საქციელით გაოგნებულ დეას მოულოდნელად, გიგოლა ეწვევა, რომელიც ელენეს გასასინჯად, ცნობილ ექიმს, პროფესორ ირაკლი ინწკირველს მიუყვანს ავალიანებს. ინწკირველს საიმედო არაფერი აქვს სათქმელი, მაგრამ გიგოლა მას მოსთხოვს: მკურნალობა დაუნიშნე და დეას სიმართლე არ უთხრა, ყველა ხარჯს მე ვკისრულობო...

ჯიშკრიდან გამოსულ გიგოლას, ავალიანებთან მიმავალი გიზო ჯღარკავა შეხვდება, რომელსაც თურმე კანონიერი ქურდის დიდი ვალი ჰქონია. გიგოლა აფრთხილებს მას — დედა-შვილს სათოფეზე აღარ გაეკაროო, — მაგრამ უცებ, რაღაც აზრი გაუელვებს და ეტყვის: ეს ქალები ცოტა შეაშინე, მაგრამ მეტი არაფერი გაუბედო, თორემ ტყავს გაგაძრობო...

საგონებელში ჩავარდნილმა გიზო ჯღარკავამ ავალიანების კარზე კარგა ხნის ყოყმანის შემდეგღა დააკაკუნა. კარი ისე სწრაფად გაიღო, რომ დამფრთხალ პარლამენტარს ხელი ჰაერში გაუშეშდა. ზღურბლზე გიზოზე არანაკლებ შემცბარი დეა გამოჩნდა:

— თქვე-ე-ნ? — დაიწყო მან. — მე კი მეგონა, რომ...

— მაინც, რა გეგონა? — დაინტერესდა გიზო.

— არა, ისეთი არაფერი... — ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა დეამ. — მობრძანდით...

დეა გიზოს სასტუმრო ოთახში შეუძღვა და სკამზე ანიშნა:

— დამელოდეთ, ახლავე ყველაფერს გამოგიტანთ.

— რას გამომიტან? — გაუკვირდა გიზოს.

— ფულს, — მშვიდად მიუგო დეამ.

— რა ფულს?

— დედაჩემს ჩემს მოსაქრთამად რომ დაუტოვეთ...

— მოსაქრთამადო? — თვალები გადმოკარკლა გიზომ. — ვის უბედავ ამას, შე... შე ლაწირაკო?! გიზო ჯღარკავას?! გაგონილა, კაცო? — ხელები ვითომ უმწეოდ გაასავსავა გიზომ. — გაგონილა?! არა, არა, მართალი იყო ცხონებული მამაჩემი, როცა მეუბნებოდა: ქვეყანაზე გლახაკსა და მათხოვარს რა გამოლევს, ყველას შენ ხომ ვერ გამოკვებავ, ამიტომ ვირჩევნია, არავის არაფერი მისცეო. ა, ბატონო, უკვე მერამდენედ დამხვდა წინ მისი ნათქვამი?! ეცი პატივი ამ მართლა მათხოვრებს...

— ბატონო გიზო! — სახეზე სისხლი მოაწვა დეას. — ძალიან გთხოვთ, გამოთქმები შეარჩიოთ! ჩვენ ჯერ არაფერი გვითხოვია, თქვენ კი მთელი დღე კარს გვიტალახებთ. ასე რომ, მათხოვრები ისევ თქვენკენ მოიკითხეთ!

— დეა! — მოისმა უცბად საძინებლიდან ელენეს შეშფოთებული ხმა. — რა გაყვირებს?

ელენეს ხმის გაგონებაზე დეა ელდანაცემივით შეხტა. შემდეგ ორივე ხელი ისე მომუშტა, თითქოს საჩხუბრად ემზადებაო და საძინებელში შევარდა.

— დედა, სად არის ჯღარკავას ფული?

— აგერ მაქვს, ბალიშქვეშ, — უპასუხა ელენემ. — უკვე მობრძანდა, ხომ?

— მოეთრა, — სასწრაფოდ ბალიშს ეცა დეა და გაზეთში გახვეული ფული გამოიღო. — პირდაპირ სახეში უნდა ვთხლიშო მაგ ახვარს!

— დეა! — თვალები დაუბრიალა ელენემ ქალიშვილს? — ისევ დაიწყე?..

— რა დავიწყე, რა? იცი, რა მითხრა? — თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა დეას.

— მაინც, რა?

— მათხოვრები ხართო.

— მათხოვრებიო?!. — შუბლი შეიკრა ელენემ. — მათხოვრები თავისკენ მოი-

კითხოს.

— მეც სწორედ ეგ ვუთხარი.

— კარგად მოქცეულხარ, — დაუყვავა ელენემ ქალიშვილს. — ახლა ერთი აქაც შემომითრიე, ყველაფერზე თვითონ გავცემ პასუხს.

— არც იფიქრო! — წელში გამომწვევად გასწორდა დეა. — ჯღარკავებთან სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. მივაშავებ ამ ფულს და ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ!

ამ სიტყვების შემდეგ, დეა ისე მკვეთრად შებრუნდა, რომ საძინებელში დაუპატიჟებლად შემოსულ გიზოს კინაღამ შუბლით შეასკდა.

— აქ შემოსვლა უნებართვოდ როგორ გაბედეთ?!. — უკივლა პარლამენტარს დეამ.

— ელენე! გააჩუმე ეს სულელი გოგო და მომისმინე! — საწოლისკენ გაიწია გიზომ.

— ვაიმე! — უცბად გულზე ხელი იტაცა გაფითრებულმა ელენემ და თვალები უცნაურად გადაატრიალა.

— რა მოგივიდა?! — შეკივლა დეამ და მაშინვე ავადმყოფს მივარდა.

გიზო სიტუაციის ამდენად გართულებას ნამდვილად არ ელოდა, ამიტომ ჯერ დამბლადაცემულივით გაშეშდა, შემდეგ, ისიც საწოლთან მიიჭრა და ელენეს მაჯა გაუსინჯა. დეა კი ისევ კივილს განაგრძობდა:

— დედა, დედიკო, თვალები გაახილე! არ მოკვდე, გეხვეწები!..

— მოიცა! — იყვირა უცბად გიზომაც და თან, ელენეს მაჯა კიდევ ერთხელ მოუსინჯა: — პულსი აქვს! ცოცხალია! ტყუილად ნუ შეყრი ქვეყანას!

ამასობაში, ელენემ თვალები ნელ-ნელა გაახილა და სახეშეშლილი დეას დანახვაზე გაღიმებაც კი სცადა, მაგრამ ტკივილმა სახე ისევ დაუმანჭა. თუმცა შემდეგ, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მაინც ამოიხრიალა:

— ნუ გეშინია... მიშველე... ექიმი...

— ჩქარა, ექიმი!.. ექიმი გამოიძახეთ! — ეცა დეა გიზოს.

— რომელი ექიმი? — დაიბნა გიზო. — „სასწრაფო“?

— არა!.. ირაკლის... ირაკლი ინწკირველს დაურეკეთ! „ვიზიტკა“ სასტუმრო ოთახში, მაგიდაზე დევს... ჩქარა! — ყვირილს განაგრძობდა დეა.

გიზო საძინებლიდან ტყვიასავით გავარდა, მაგიდიდან პროფესორ ინწკირველის სავიზიტო ბარათი აიღო და ტელეფონს ეცა:

— ბატონო ირაკლი, მე ვარ... გიზო ვარ ჯღარკავა... ჩქარა, გვიშველეთ!.. დიახ, დიახ, ავალიანების სახლიდან გირეკავთ... როგორ?.. სად მოვიდე?.. ხუთ წუთში მანდ ვარ!

ამის შემდეგ, გიზომ ყურმილი დააგდო, თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ და ათიოდე წუთში, დედა-შვილს თავზე პროფესორი ინწკირველი დააყენა.

— ბატონო ირაკლი, გვიშველეთ! — კინაღამ მუხლებში ჩაუვარდა დეა პროფესორს.

— დამშვიდდით, ჩემო კარგო! — ფეხზე წამოაყენა ირაკლიმ დეა და როგორც კი ელენეს დახედა, მაშინვე ისევ დეას და გიზოს მიუბრუნდა: — ძალიან დამავალებთ, თუ ცოტა ხნით ორივე გარეთ გახვალთ.

— მე-ც? — გაუკვირდა დეას.

— ჩქარა!.. ნუღარ მამეორებინებთ!.. ახლა ყოველი წამი ძვირფასია... — თხოვნა გაუმეორა ირაკლიმ.

დეა და გიზო საძინებლიდან სასწრაფოდ გამოვიდნენ. დეა მაშინვე სავარძელში ჩაეშვა და თავი ხელებში ჩარგო. გიზო კი, ჯერ ბოლთის ცემას მოჰყვა, შემდეგ, დეას პირდაპირ გაჩერდა და ის იყო, რაღაცის სათქმელად მოემზადა, რომ დეამ უცბად თავი ასწია, თვალი თვალში გაუყარა და კბილებში გამოცრა:

— იცოდეთ, დედაჩემს თუ რამე დაემართა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი შვილი ციხეში ამოალპონ!

ამ სიტყვების გამგონე გიზომ, ჯერ ნაპირზე ამოგდებული თევზივით გადმოკარკლა თვალები, შემდეგ პირიც ისე უცნაურად დააღო, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო:

— რ-რა მითხარი?

— რაც გაიგონეთ!

— ვის უბედავ ამას, შე ლაწირაკო?! იცი, ვის ელაპარაკები?!

— ვიცი. ჯინსიპარია გიზო ჯღარკავას! — საკუთარ სიტყვებს ანგარიშს საერთოდ აღარ უწევდა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსული დეა.

— ლაჯებზე აგხევ, შენი... — უღრიალა გიზომ და უცბად, ხელი ისე გამეტებით მოუქნია, რომ დეამ თავის გაწევა ვეღარ მოასწრო და გარტყმის მოლოდინში, მხოლოდ თვალებიღა დახუჭა. მაგრამ უცბად, ისეთი ძლიერი ბრაგვანის ხმა გაიგონა, რომ მაშინვე თვალები ჭყიტა და უცნაური სურათის მოწმეც გახდა: წელში ოთხად მოკეცილი გიზო იატაკზე ეგდო და სიმწრისგან იკლაკნებოდა, თავზე კი პირგამეხებული გიგოლა ადგა:

— ქალზე ხელი როგორ ასწიე, შენი დედა... — უღრიალა გიგოლამ გიზოს და წიხლიც ჩააზილა: — მოკვდი, შენი!..

გიზომ რაღაც ღმუილისმაგვარი ხმა ამოუშვა და თავი მართლა მომაკვდავივით გვერდზე გადააგდო. მაგრამ გიგოლას ამისთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევია და ის იყო, კიდევ ერთი წიხლის ჩარტყმა დაუპირა, რომ დეამ იკივლა:

— რას შვრებით?!. მართლა არ მოკლათ!

დეას კივილზე, გიგოლამ ჩასარტყმელად მოქნეული ფეხი ისევ იატაკზე დადგა და კბილები გაახრჭიალა:

— ისევ ამ გოგოს უმადლოდე, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებდი... ახლავე აიხვეტე და შენი „დუხი“ აღარ ვნახო ამ სახლში, თორემ შენს სისხლს სულ წვეთ-წვეთად დავლევ, იცოდე!

გიზომ იატაკიდან წელი ძლივსღა აითრია, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და ის იყო, გასასვლელისკენ წადგა ნაბიჯი, რომ საძინებლის კარის უსიამო ჭრიალის ხმაც გაისმა და თავჩაქინდრული ირაკლი გამოჩნდა. საქციელწამხდარი პროფესორის დანახვაზე დეა ფეხზე წამოხტა:

— ბატონო ირაკლი, რა მოხდა?.. დედა ხომ არ...

ირაკლიმ, უარის ნიშნად, ხელი ძლივსღა გაიქნია, შემდეგ იქვე მდგარ სკამზე მოწყვეტით დაეშვა და დეას დამნაშავესავით შეხედა:

— ნუ გეშინია, ცოცხალია... მაგრამ...

— მაგრამ რა? — უმისამართოდ იკითხა დეამ, შემდეგ საძინებელში გიჟივით შევარდა და ქანდაკებასავით უძრავად მწოლიარე ელენეს გულზე დაეკონა:

— დედა, დედიკო, შემომხედე, თვალი გაახილე, რა, გეხვეწები...

როგორც კი დეა ოთახიდან გაიგულა, გიგოლა მაშინვე ირაკლის მიუბრუნდა:

— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— მეტყველების უნარი წაერთვა, — თავი ჩაქინდრა ირაკლიმ. — ამას სჯობდა, უცბად მომკვდარიყო. ახლა, შეიძლება, ასე გაუნძრევლად დიდხანს იწვეს. თუმცა, ალბათ გული უშველის...

— რას ჰქვია, უშველის? — ვერ გაიგო გიგოლამ.

— გული აქვს სუსტი და ამიტომ, დიდხანს აღარ დაიტანჯება... თუმცა, თუ საავადმყოფოში გადავიყვანთ და აპარატზე შევაერთებთ...

— მერე, რა პრობლემაა? ახლავე გადავიყვანოთ... — თავი წამოყო აქამდე კუთხეში თავისთვის მიყუჟულმა გიზომ, რომელსაც ელენეს მდგომარეობა ახალ თავსატეხს უჩენდა.

— შენ კიდე აქა ხარ?! — მიუბრუნდა

მას გიგოლა. — ვერ გაიგე, რა გითხარი? აქედან მოწყდი-მეთქი!

— კი, ბატონო, წავალ... — სასწრაფოდ დაეთანხმა გიზოც. — ოღონდ, იქნებ, ბარემ ჩემი ვალის ამბავიც გადაგვეწყვიტა.

— გადასაწყვეტი რაღაა?

— დღეს ხომ შემპირდი, ცოტას დაგაცლიო...

— დაგაცლიდი კიდეც, ტვინი რომ გაგენძრია და აქ ეს „ბარდაკი" არ მოგეწყო. ახლა კი, ყველაფერი შენს თავს დააბრალე...

— ბატონო გიზო, — მოისმა უცბად, ოთახში შემოსული დეას ხმა. — აიღეთ თქვენი ფული და გაისტუმრეთ ვალები... მე და დედაჩემს ის არაფერში გვჭირდება... — ამ სიტყვების შემდეგ, დეამ მაგიდაზე ათდოლარიანების დასტა დააგდო.

გიზოს შიშით ენა ჩაუვარდა. გიგოლამ კი მაგიდაზე მიმოფანტულ ფულს ირონიული ღიმილით დახედა:

— ასეთი „გროშებით" ჩვენს „სახელოვან პარლამენტარ" ჯღარკავას ყოველ საღამოს თითო ბოზი დაჰყავს რესტორანში, ვალს კი, უფრო „კრუპნის" იღებს... ზოგჯერ მილიონებსაც კი ეთამაშება ხოლმე... ასე არ არის? — მიუბრუნდა ის პარლამენტარს, მაგრამ ამ უკანასკნელს ხმა ისევ არ ამოუღია.

— მაშინ მე ვეღარაფრით დაგეხმარებით... — ხელი ჩაიქნია დეამ, ოთახის შორეულ კუთხეში მდგარ სავარძელში ჩაეშვა და გაირინდა. ცოტა ხანში კი, თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები...

გიზომ დეას ერთი გახედა და ოთახიდან ქურდივით გაიძურწა. ირაკლი მაშინვე დეასთან გაჩნდა და მზრუნველად გადაუსვა თავზე ხელი:

— წინასწარ გულს რატომ იხეთქავ? — პროფესორი თავადაც ვერ მიხვდა, „შენობით" ლაპარაკზე როგორ გადავიდა...

— რაღა წინასწარ, ბატონო ირაკლი? — დედა უკვე ხელში მაკვდება... ყინულივით ცივი ხელ-ფეხი აქვს... თვალი კი, წამითაც ვერ გავახელინე...

— მერე რა? ეს იმიტომ, რომ ძლიერმოქმედი წამლები მივეცი... ახლა მაგისთვის მთავარი, სიმშვიდე და მოსვენებაა... — გამოსავალი ისევ იპოვა ირაკლიმ.

— ისე მოისვენა ჩემმა მტერმა... — დედაკაცივით დაიწყევლა დეამ.

— შენს მტრებს მოსვენება ნამდვილად აღარ უწერიათ! — წამოიძახა უცბად გიგოლამ.

დეამ მას ცრემლიანი თვალები შეანათა:

— ისე ვიყავი დაფეთებული, რომ თქვენი შემოსვლა საერთოდ, ვერც გავიგე... ჯღარკავა რომ იატაკზე გაგორდა, თავიდან ისიც კი ვიფიქრე, ალბათ რაღაცას წამოედო-მეთქი...

— რაღაცისა რა გითხრა, მაგრამ ისეთ „ვიღაცას" კი ნამდვილად „წამოედო", სიცოცხლის ბოლომდეც რომ აღარ გაახარებს... — დაიქადნა გიგოლამ.

— ალბათ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა დეამ. — თქვენთან ვალში ყოფნა ნამდვილად ძალიან საშიში საქმე იქნება...

— ძალიან, — დაუდასტურა გიგოლამ. — მაგრამ ვალის ამღებსაც გააჩნია, თანაც — ვალიც ხომ ათასნაირია...

— ვალი ვალია... — ხელი ჩაიქნია დეამ. — მაგრამ ახლა, ოღონდ, დედა გადამირჩებოდეს და თუნდაც მთელი მსოფლიოს ვალს დავიდებ...

დეას ამ სიტყვების შემდეგ, ოთახში ცოტა ხანს, სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ ირაკლიმ დაარღვია:

— დეა, იქნებ, დედაშენი ჩვენს კლინიკაში დაგვეწვინა... იქ მაინც სხვანაირი მოვლა და მკურნალობა ექნებოდა...

— როგორც თქვენ იტყვით, ბატონო ირაკლი, — სევდიანად დაეთანხმა დეა.

— კარგი, — განაგრძო ირაკლიმ. — მაშინ ასე მოვიქცეთ: ელენე ხვალ დილამდე აქ დავტოვოთ...

— მაგრამ... ამაღამ რამე რომ მოუვიდეს? — შეშინებული თვალები შეანათა დეამ პროფესორს.

— ნუ გეშინია, აგერ არა ვარ?! ამაღამ მეც აქ დავრჩები, — დააიმედა დეა ირაკლიმ.

— მეც, — საკუთარი თავიც სასწრაფოდ საქმეში გაიყვანა გიგოლამ. — ოღონდ, ჯერ, ერთი-ორი საათით ქალაქში გავალ. რაღაც საინტერესო იდეა მომივიდა და იქნებ, განვახორციელო კიდეც...

გიგოლას წასვლის შემდეგ, დეა და ირაკლი ისევ საძინებელში შებრუნდნენ. პროფესორმა ელენეს მაშინვე პულსი გაუსინჯა:

— ყველაფერი რიგზეა... მშვენიერი პულსი აქვს... — დააიმედა ირაკლიმ დეა და იქვე, შორიახლოს მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

ცოტა ხანს ხმა არც ერთს აღარ ამოუღია და ოთახში ჩამოწოლილ უხერხულ სიჩუმეს ახლა, მხოლოდ ელენეს წყვეტილი სუნთქვაღა არღვევდა...

— დეა... — დაიწყო შემდეგ პროფესორმა.

— დიახ, ბატონო ირაკლი, გისმენთ...

— შეიძლება, ეს სიტყვები ძვირად დამიჯდეს, მაგრამ მაინც უნდა გაგაფრთხილო...

— კიდევ მოხდა რამე? — გული შეუქანდა დეას.

— ჯერ არაფერი, მაგრამ ნამდვილად მოხდება, თუ... — სათქმელი შუა გზაზე გაწყვიტა ირაკლიმ.

— თუ რა? — დაინტერესდა დეა.

— გიგოლა ძალიან საშიში კაცია, დეა. იმაზე ბევრად საშიში, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს... ხომ ხვდები, რასაც გეუბნები? — როგორც იქნა, სათქმელს თავი მოუყარა ირაკლიმ.

— ვხვდები... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა დეამ.

— მაშინ ყველანაირად უნდა მოერიდო.

— კი, მაგრამ როგორ? — მხრები გაბუტული ბავშვითი აიწურა დეამ. — ხომ ხედავთ, რომ სულს იქით პატრონი არავინა მყავს?!. მაგრამ ჩემი თავი ჯანდაბას! დედას რა ვუყო? ან თემოს როგორ ვუშველო? გიზო ჯღარკავამ თუ მოინდომა, ძმას ციხეშიც აღარ დამიყენებს... გიგოლა კი, ყველანაირად მეხმარება...

— გიგოლასნაირები ტყუილად არავის ეხმარებიან...

— ვიცი... — ამოიოხრა დეამ.

— დამიჯერე... როგორც ჩემს შვილს, ისე გეუბნები: სანამ კიდევ შეიძლება, მოიცილე ეგ კაცი... ასეთი ლამაზი, ჭკვიანი და სუფთა, მაგ სისხლისმსმელის ლუკმა როგორ უნდა გახდე?!.

აღელვებული ირაკლი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უცბად, შემოსასვლელში ხმაურის ხმა გაისმა, შემდეგ საძინებლის კარიც ხმაურით გაიღო და ზღურბლზე მიტკალივით გაფითრებული და თვალებამღვრეული თემო გამოჩნდა.

— თემო?!. შე-ენ?!. — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა დეას, შემდეგ სასწრაფოდ წამოხტა და ძმას კისერზე ჩამოეკიდა. — აქ როგორ გაჩნდი? გამოიპარე?

— გამოვაპარეთ, — თემოს ზურგს უკან ლანდივით ამოიზარდა გიგოლა და დეას, გამარჯვებულის იერით გადახედა.

გიგოლას დანახვაზე, დეა თემოს ცივად გაშორდა. თემო კი, მაშინვე საწოლთან მიიჭრა, მუხლებზე დაეცა და ტუჩებით დაეკონა დედის უსიცოცხლო ხელს. უცბად, ელენეს მიწისფერ სახეზე სიცოცხლის მცირეოდენი ნიშანწყალი დაეტყო, შემდეგ რაღაც ღიმილის მსგავსიც დაეფინა და აქამდე სრულიად უსიცოცხლო ქუთუთოებიც კი ოდნავ შეერხა.

— ჩააბარე რა, ბანდეროლი ვარ?!

— იწყინა დეამ.

— ნუ მაწყვეტინებ-მეთქი! — შეუღრინა დას თემომ. — მაგ კაცისგან ძალიან ვარ დავალებული... თანაც, მე ციხიდან მაგის დაუხმარებლად ვერაფრით მოგხედავ...

— კი, მაგრამ გიგოლამ როგორღა უნდა მომხედოს? — დაინტერესდა დეა. — ეგეც შენთან ერთად არ ზის?

— საიდან მოიტანე?

— როგორ თუ საიდან? შენ თვითონ არ მითხარი, მთელი ციხე ხელში უჭირავსო?

— მგონი, გონს მოდის... — იმედი მიეცა დეას.

მის სიტყვებზე თემომაც თავი ასწია:

— დედა, მაინც გაიგე, ხომ, უვარგისი შვილი რომ მოგივიდა? — ამოიგმინა მან, შემდეგ და-ძმა, დედას გულზე დაეკონა და ატირდა. შვილებჩახუტებულ ელენეს კი, ცოტა ხანში, ლოყაზე ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა...

ირაკლი და გიგოლა ამ ყველაფერს კარგა ხანს უსიტყვოდ უყურებდნენ, შემდეგ ისევ გიგოლა ალაპარაკდა:

— თემო, კმარა, ბიჭო... უნდა წავიდეთ...

— ჰო, ახლავე, — დედის მკერდიდან თავი ძლივსღა ასწია თემომ და შემდეგ, დეას თვალით ანიშნა, გარეთ გამომყევიო.

როგორც კი საძინებლიდან გამოსული და-ძმა სამზარეულოში განმარტოვდა, თემომ დეას მაშინვე არაბუნებრივად მოლაპლაპე თვალები შეანათა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა:

— დეა, ბევრი დრო არა მაქვს, ამიტომ კარგად მომისმინე...

— გულისყურით გისმენ, — მშვიდად მიუგო დეამ.

— დედაჩემს სააქაო პირი აღარ უჩანს, ასე რომ, ახლა ჩემი მთავარი სადარდებელი შენა ხარ...

— ჩემზე ნუ დარდობ, — გააწყვეტინა დეამ, — არ დავიკარგები...

— მაცალე, რა... ხომ გითხარი, მეჩქარება-მეთქი, — გაღიზიანდა თემო.

— კარგი, გისმენ.

— შენი თავი გიგოლას ჩავაბარე...

— გავიგე, რომელია? უკვე გამაფრთხილეს: შენი და დროზე მოიყვანე ჭკუაზეო...

— მერე რაღას უცდი, მომიყვანე...

— დეა, გეყოფა ხუმრობა! მაგათ, გიგოლას შიში რომ არ ჰქონდეთ, აქამდე ჩემი ბუნდღაც აღარ იქნებოდა.

— მოკლედ, ყველა გზა გიგოლასთან მიდის, ხომ?

— მიდის, დეიკო, მიდის და რა ვქნათ?

— იმაზე თუ გიფიქრია, პირადად ჩემგან რა უნდა მაგ კაცს?

— მიფიქრია კი არა, ზუსტად ვიცი.

— ზუსტად იცი? — თვალები გაუფართოვდა დეას.

— კი. ცოლად უნდიხარ.

— რა-ა-ა? — პირი უცნაურად დააღო დეამ. — თემო, დაფიქრდი, რას ამბობ! მე რომ მე ვარ, მეც კი ვიცი, რომ კანონიერ ქურდს ცოლის მოყვანის უფლება არა აქვს...

— ის დრო წავიდა, დეიკო... დღევანდელ კანონიერ ქურდებს ოჯახებიც აქვთ, სასახლეებიც, „ფირმა“ მანქანებიც და მილიონებსაც ატრიალებენ...

— გიგოლაც ეგრე არაქურდულად იქცევა?

— შაყირს მორჩი და სერიოზულად იფიქრე.

— მე უკვე ყველაფერი მოფიქრებული და გადაწყვეტილიც მაქვს, — მტკიცედ მიუგო დეამ ძმას.

— ასეთი მაინც რა გადაწყვიტე? — დაინტერესდა თემო.

— დრო მოვა და გაიგებ.

— რამე შენებური სიგიჟე არ მოხიო, თორემ ხომ იცი, მეც დამღუპავ და საკუთარ თავსაც...

— ვიცი, — მშვიდად მიუგო დეამ. — მაგრამ ახლა, აღარც შენზე ვდარდობ და შენ წარმოიდგინე, აღარც საკუთარ თავზე.

— აბა?

— შენგან განსხვავებით, მე ჯერ დედა-ჩემისთვის სასიკვდილო განაჩენი არ გამომიტანია... მინდა, ცოტა ხანს კიდევ ვაცოცხლო... თუნდაც, ციხიდან შენს გამოსვლამდე...

— თუ ასე გააგრძელე, ციხიდან კი არ გამოვალ — გამომიტანენ, იცოდე... — ჩაიღმუვლა თემომ და გაცოფებული გავარდა სამზარეულოდან.

ის იყო, დეამ გაიფიქრა — დედასთან ერთად, ძმაც ხელიდან მეცლებაო, — რომ სასტუმრო ოთახში იარაღმა იჭექა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მსახიობობაზე არასდროს მიოცნებია

პერსონაჟთა ცხოვრებით ბავშვობიდანვე „ვცხოვრობდი“

ამ რამდენიმე წლის წინ, ეშლი ჯადს იცნობდნენ, როგორც ნაომი ჯადის ქალიშვილს, მუსიკოს უინონა ჯადის დას, რობერტ დე ნიროს საყვარელსა და მეთიუ მაკქონეჰის მეგობარ გოგონას. მაგრამ ეკრანებზე ფილმის – „აკოცეთ გოგონებს!“ გამოსვლის შემდეგ (სადაც მსახიობმა ახალგაზრდა ექიმის, ქეით მაკ ტირნანის როლი შეასრულა), 29 წლის მსახიობმა თავადაც ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა. ჰერი ფლედერის შავმა ტრილერმა – „აკოცეთ გოგონებს!“ – მხოლოდ აშშ-ის კინოგაქირავებაში 60 მლნ-ს მოუყარა თავი.

მთელი ჰოლივუდის საზოგადოება ალაპარაკდა ეშლი ჯადის აქტიორულ შესაძლებლობებზე, რომელსაც ფილმის პრემიერის შემდეგ, აღფრთოვანებული კრიტიკა ახალ ჯოდი ფოსტერადაც კი მოიხსენიებდა.

მსახიობმა თავისი სენსაციური კინოდებიუტის შემდეგ, რომელიც 1993 წელს შედგა, პირველად ითამაშა ისეთი გმირის როლი, რომელიც შინაგანად საოცრად ახლოს იდგა მის პიროვნებასთან. ეშლი საკმაოდ არაორდინარული პიროვნებაა – ჰოლივუდში მის მსგავს ადამიანს, კაცი იშვიათად შეხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ოცნების ფაბრიკაში ყველა ცდილობს, საკუთარი ექსტრავაგანტური მანერებითა და გამონათქვამებით მასისაგან გამორჩევას, ახალგაზრდა ვარსკვლავთაგან იშვიათად ვინმე თუ დაიტრაბახებს დიდი განსწავლულობითა და კლასიკური ხელოვნების ცოდნით. ჯადი კი, საკუთარი კოლეგებისაგან განსხვავებით, საკმაოდ კარგად ერკვევა აღმოსავლური რელიგიის საკითხებში, ფილოსოფოსთა ტრაქტატებში და საუცხოოდ ლაპარაკობს ფრანგულად; კლასიკურ ლიტერატურას კი, მის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს.

აშშ-ში სამხრეთელ ქალბატონებს ხშირად ფოლადის მაგნოლიის სახელით მოიხსენიებენ; ეშლი ჯადის ახლობლების აზრით, მსახიობის ამ ეფექტური ტიტულით მოხსენიება, მისი ხასიათიდან გამომდინარე სრულიად გამართლებულია. ეშლის პიროვნებაში მის ანგელოზურ გარეგნობას საუცხოოდ ერწყმის ჭკუა, ტალანტი, სიჯიუტე და საოცარი შრომისმოყვარეობა. ზემოთ აღნიშნული ფილმის გადაღებების დაწყებამდე მსახიობმა საფუძვლიანად შეისწავლა კიკბოქსინგის ილეთები და იმდენად კარგად დაეუფლა ორთაბრძოლის ამ სახეობას, რომ როგორც მწვრთნელის, ასევე ჯგუფის წევრების აღტაცება დაიმსახურა.

ჯადი ირწმუნება, რომ მას არ აშინებს ემოციური ტრავმები და როლზე მუშაობისას, საკმაოდ შორს შეუძლია შეტოპოს. მაგალითად, თუ სიუჟეტის მიხედვით, ის მსუქანი და მოუხერხებელი უნდა იყოს, ის გახდება ასეთი, ოღონდ, ფილმი ამად უნდა ღირდეს. ეშლის დებიუტი დიდ კინოში ცხრა წლის წინ შედგა, ამ ხნის მანძილზე კი, მისი პარტნიორები იყვნენ ჰოლივუდის ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: რობერტ დე ნირო, ველ კილმერი, ალ პაჩინო, ჰარვი კაიტელი და მორგან ფრიმანი. ჰოლივუდში ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ჯადს ძალზე იოლად უყვარდება თავისი კინოპარტნიორები და ხშირად მათი საყვარელიც ხდება. რამდენიმე წლის განმავლობაში, მსახიობი ამ ჭორებს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ერთხელ, როცა თავი ძალიან მოაბეზრეს, ჟურნალ „ჰარპერს ბაზაარის“ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, რომ მას ათი კინოპარტნიორიდან, მხოლოდ ორ მათგანთან ჰქონდა რომანი. „ეს მხოლოდ ოცი პროცენტია, რაც ტაბლოიდების ნორმასთან შედარებით, დამეთანხმებით, საკმაოდ მცირეა, – სრულიად მშვიდი სახით განუცხადა ჟურნალისტებს მსახიობმა. – თანაც ორივე რომანი სრული-

ად ფანტასტიკური გახლდათ!“

ეშლი ჯადი 1968 წლის 19 აპრილს დაიბადა. მისი მშობლები სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობდნენ; გოგონები მხოლოდ გაქუცულყდიანი წიგნების კითხვისას (კინოსა და ტელევიზორისთვის ოჯახს ფული არ ჰქონდა) ხვდებოდნენ ჯადოსნურ სამყაროში და დროებით ივიწყებდნენ რეალური ცხოვრების სიძნელეებს. საღამოობით, ეშლის დედა და და – უინონა, სახლის პარმაღზე სხდებოდნენ და გიტარის თანხლებით სიმღერებს მღეროდნენ. ამ დროს პატარა ეშლი ოცნებას ეძლეოდა: „მე ხშირად ხმამაღლა ვესაუბრებოდი გამოგონილ მეგობრებს. დედა ამას არასოდეს მიკრძალავდა. პირიქით, იგი ამბობდა, რომ წარმოსახვა ცხოვრების შემდგომ ეტაპზე საქმიანობასა და პირადი ცხოვრების მოწყობაში დამეხმარებოდა. მაგალითად, მე შემეძლო წამეკითხა წიგნი, პატარა გოგონაზე და წარმომედგინა, რომ ეს პერსონაჟი მე ვიყავი. ასე რომ, წინასწარ, სპეციალურად არასოდეს მიოცნებია მსახიობობაზე, პერსონაჟთა ცხოვრებით მე ბავშვობიდანვე ვცხოვრობდი“. ოჯახი კენტუკის შტატში მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. ჯადები ხან ფურგონში ცხოვრობდნენ, ხანაც მიტოვებულ სახლებში. როგორც წესი, მათ არ ჰქონდათ ტელეფონი, ელექტრობა და წყალი. იყო ისეთი პერიოდებიც, როცა ოჯახი მხოლოდ იმით იკვებებოდა, რაც თავის ბოსტანში მოჰყავდა; საკუთარი ხელით გაკეთებული ჩანგლებითა და კოვზებით ჭამდნენ საჭმელს და საპონსაც კი, ღორის ქონისაგან თავადვე ხარშავდნენ. ეშლის და მის დას ძალიან უყვარდათ სკოლაში სიარული და კარგადაც სწავლობდნენ. „ყოველი დღე რაღაც სიახლეს მიქადდა, – იხსენებდა მოგვიანებით სკოლის პერიოდს მსახიობი. – იქ უამრავი წიგნი იყო და გარდა ამისა, სკოლაში არავინ მელოლიავებოდა. შინ ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ მე რაღაცნაირი, განსაკუთრებული ბავშვი ვიყავი. მე კი დღემდე ვერ ვიტან, როცა სხვა ადამიანებისაგან გამომარჩევენ ხოლმე“.

13 წლის მანძილზე, გოგონამ კენტუკისა და კალიფორნიაში 12 სკოლა გამოიცვალა. ამასობაში დედამისი ქმარსაც გაეყარა და ცნობილი მომღერალიც გახდა. უინონა და ნაომი ქანთრის ტიპის მუსიკის ვარსკვლავებად იქცნენ და ოჯახმა, როგორც იქნა, სიღარიბესაც დააღწია თავი. როცა უინონა და ნაომი გასტროლებზე იმყოფებოდნენ, ეშლი ბებია-ბაბუასთან რჩებოდა და თავსაც საოცრად ბედნიერად გრძნობდა. ეშლი 14 წლის იყო, როცა დედა-შვილის დუეტმა პოპულარობა მოიპოვა, ნაომიმ სახლი იყიდა და თავის გოგონებთან ერთად იქ დასახლდა. იმ დროისთვის ეშლიმ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ოჯახის ტრადიციისამებრ საკუთარ ბედს მუსიკას კი არა, ლიტერატურას დაუკავშირებდა. „კლასიკური ხელოვნება ყოველთვის მიტაცებდა, – ამბობს ჯადი. ხელმოკლედ ცხოვრებისას მხოლოდ წიგნებთან ზიარების საშუალება მქონდა და პროფესიის არჩევისას ფილოლოგობა ჩემთვის ძალზედ ბუნებრივ არჩევანად მიმაჩნდა. მეათე კლასში ვიყავი, როცა საკუთარ თავს შევფიცე, რომ არასოდეს გავხდებოდი სიბრიყვემდე მისული ამბიციური პიროვნება და ცხოვრებაში გავაკეთებდი მხოლოდ იმას, რაც მსურდა“.

ეშლიმ კენტუკის უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე ჩააბარა და პრივილეგირებული სტუდენტური საზოგადოების – „ფი ბეტა კაპას“ წევრიც გახდა, სადაც მხოლოდ ნიჭიერებით გამორჩეულ სტუდენტებს იღებდნენ. 1990 წელს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ეშლიმ მსოფლიოს მოხალისეთა კორპუსში შესვლა გადაწყვიტა, რათა შემდგომ ამ ორგანიზაციის მისიით აფრიკაში გამგზავრებულიყო. განზრახვის სისრულეში მოყვანამდე, ჯადმა დედისა და დის მონახულება გადაწყვიტა და ნეშვილში დაბრუნდა. უინონამ იცოდა, რომ ეშლი სახისმეტყველებისადმი გულგრილი არასოდეს ყოფილა, ამიტომ მას აფრიკაში გამგზავრებამდე ჰოლივუდში ბედის ცდა ურჩია. „თავდაპირველად გავოგნდი, – იხსენებდა ჯადი. – მომეჩვენა, რომ რაღაც გაუგებრობაში მოვხვდი. მე ხომ პოპულარობა და სახელის მოხვეჭა არასოდეს მინდოდა“. საბოლოოდ, ეშლი დის რჩევას დაჰყვა და ჰოლივუდში გაემგზავრა, მაგრამ გამგზავრებამდე საკუთარ თავს მტკიცე პირობა მისცა –

თუ რამდენიმე თვის მანძილზე კინოასპარეზზე არაფერი გამოუვიდოდა, ჰოლივუდიდან გაემგზავრებოდა.

კარიერის შექმნაც დამოუკიდებლად გადაწყვიტა და კატეგორიული უარი განაცხადა დედის კავშირებისა და ნაცნობების გამოყენებაზე. ლოს-ანჯელესში რესტორან „სუროში“ ოფიციანტად დაიწყო მუშაობა, სადაც ძირითადად, სწორედ ჰოლივუდის რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა ხოლმე. ამასთან ერთად,

„ფლეიჰაუზ ვესტის“ სამსახიობო სკოლაშიც ჩააბარა და საღამოობით ლექციებს ესწრებოდა. პარალელურად სტუდენტურ სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. მალე აგენტიც იპოვა, პირველივე სინჯების შემდეგ, ფილმში – „კაფსი“ ეპიზოდური როლიც მიიღო და მსახიობთა გილდიის წევრიც გახდა. პირველი გადაღებებიდან სულ მოკლე ხანში, ტელესერიალში – „ვარსკვლავური ტრეკი: მომდევნო თაობა“ მეორეხარისხოვანი როლი მისცეს, რასაც ტელეშოუში – „დები“ მუდმივი როლი მოჰყვა. მართალია, ეშლის ტელევიზიაში მუშაობა დიდად არ ხიბლავდა, მაგრამ სულ მალე, ახალი შანსი მიეცა და მსახიობს ის ხელიდან არ გაუშვია.

1993 წელს მან ფილმში „რუბი სამოთხეში“ შეასრულა მთავარი გმირის – ვიქტორია ნუნესის როლი. სურათის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, კრიტიკამ მსახიობს დამოუკიდებელი კინოს აღმოჩენა უწოდა. ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაზე შექმნილმა ფილმმა დამოუკიდებელი კინოს ფესტივალ „სანდერსზე“ ჟიურის დიდი პრიზი და მაყურებლის პრემია დაიმსახურა, თავად მსახიობმა კი, მთავარი გმირის როლის შესრულებისათვის „დამოუკიდებელი სულის“ ჯილდო მოიპოვა. წარმატებული კინოდებიუტის შემდეგ, ეშლის დიდი ბიუჯეტის მქონე კინოში გადასვლა არ უჩქარია და მხოლოდ იმ პროექტებში მონაწილეობდა, რომლის სიუჟეტიც აკმაყოფილებდა. „არის ფილმები, სადაც თამაშზეც უარს ვამბობ ხოლმე, მიუხედავად იმისა, წინასწარ ვიცი, რომ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ეს სურათები დიდ მოგებას მოიტანს, – ამბობს მსახიობი. – როლის შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, უპირატესობას ვანიჭებ იმას, თუ რამდენად მხიარულად გავატარებ იმ რამდენიმე თვეს, როცა ფილმზე მუშაობა მომიწევს და არა იმას, თუ რამდენად მომგებიანი პროექტი იქნება ეს ჩემთვის“.

იმავე 1993 წელს მსახიობმა ითამაშა ნარკომანი გოგონას როლი უეინ ვანგის ფილმში – „ბოლი“. ამას ოლივერ სტოუნის „დაბადებით მკვლელები“ (1994) მოჰყვა, სადაც მსახიობმა სისხლიან ორგიას გადარჩენილი ერთადერთი მსხვერპლის როლი შეასრულა. სურათი იმდენად ნატურალისტურად იყო გადაღებული, რომ „რეიტინგების საბჭომ“ ეს სცენა „ემოციურად საშიშად“ მიიჩნია და ფილმიდან ამოჭრა. ჯადი ამ ფილმში, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ვიდეოკასეტებზე გამოსულ სარეჟისორო ვარიანტში ფიგურირებდა.

1995 წელს გადაღებული „ორთაბრძოლა“ ეშლის თავისი ფილმებიდან დღემდე განსაკუთრებულად უყვარს, სადაც მისი პარტნიორი ველ კილმერი იყო. სურათმა კინოგაქირავებაში 70 მლნ-ს მოუყარა თავი და იგი მსახიობის პირველ კომერციულ ჰიტად იქცა. გადაღების დამთავრებიდან მოკლე ხანში, მას ახალ, პოტენციურ ჰიტში – „მკვლელობის ჟამი“ (1996) შესთავაზეს როლი. ჩვეულებრივი ქალის გმირმა მსახიობი დიდად არ აღაფრთოვანა, თუმცა ამ ფილმში მაინც ითამაშა და საკუთარი როლით საკმაოდ უკმაყოფილო დარჩა (სურათში პარტნიორობას მეთიუ მაკქონეჰი უწევდა). ალბათ სწორედ ამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის დასაძლევად, ჯადმა „მკვლელობის ჟამის“ დასრულებისთანავე, თავი კვლავ გადასაღებ მოედანზე ამოყო და „ნორმა ჯინი და მერილინში“ ამერიკის ყველაზე ცნობილი და ყველაზე დაკომპლექსებული ქალის – მერილინ მონროს როლი შეასრულა.

ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ მსახიობს ამ ფილმში მონაწილეობისას საკუთარ პრინციპებთან კომპრომისზე წასვლა მოუხდა, რადგან ეშლი ეკრანზე გაშიშვლდა. მაგრამ თავად ჯადი ასე როდი ფიქრობს: „ყველაფერი სიტუაციაზეა დამოკიდებული. მაყურებლის ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების მოსახდენად ეკრანზე არავითარ შემთხვევაში არ გავშიშვლდებოდი. მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო საქვეყნოდ გახმაურებულ ინციდენტზე, რომელსაც მთავარი გმირის ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი (ლაპარაკია მერილინ მონროს ფოტოკალენდრისათვის შიშვლად გადაღებულ სურათებზე). საინტერესოა, შიშველი ნატურის გარეშე, როგორ უნდა გადაეღოთ ეს სცენა? დედაჩემის რეაქცია კი, ამასთან დაკავშირებით სულაც არ გამკვირვებია – იგი ხომ სამხრეთელია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ „აკოცეთ გოგონების“ (1997) სადისტური სცენების ნახვის შემდეგ, კიდევ უფრო მწვავე რეაქცია ჰქონდა“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფილმებისა, ეშლი ჯადი გადაღებულია სურათებში: „მოწმე“ (1999), „ორმაგი შეცდომა“ (1999), „იქ, სადაც გულია“ (2000), „ვიღაც შენნაირი“ (2001) და „ფრიდა“ (2002).

„ორმაგ შეცდომაში“ ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ცოლის როლი თავდაპირველად, ჯოდი ფოსტერს შესთავაზეს; მან სტუდია –„პარამაუნტთან“ კონტრაქტსაც მოაწერა ხელი და ექვსი თვის მანძილზე გადაღებებისთვის ემზადებოდა, ვიდრე ორსულობამ არ აიძულა, უარი ეთქვა როლზე. ასე გაუმართლა ეშლი ჯადს და ამ როლის შესრულების შემდეგ, ის ჰოლივუდის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ვარსკვლავთა სიაში მოხვდა. თანაც, ამ სურათში მისი პარტნიორი ტომი ლი ჯონსი გახლდათ.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ამ ფილმში თვით ურთულეს ტრიუკებსაც კი, მსახიობი თავად ასრულებს. მათ შორის, ოკეანეში ჩავარდნილი მანქანის სცენაც კასკადიორების გარეშეა გადაღებული და წყალში ჩაძირულ ავტომობილში ჯადი და ჯონსი ისხდნენ. ერთადერთი სცენა, რომელშიც კასკადიორმა შეცვალა ეშლი, სკოლის შენობის სახურავიდან გადმოხტომა იყო. „მათ იცოდნენ, რომ დუბლიორზე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი და ეს სცენა ჩემს „უჩუმრად“ მაშინ გადაიღეს, როცა გადასაღებ მოედანზე არ ვიმყოფებოდი“, – ღიმილით იხსენებს მსახიობი.

სხვათა შორის, ეშლი ჯადი საკუთარი ძალების მოსინჯვას რეჟისურაშიც აპირებს. ამჟამად კი, პირადი ცხოვრების ყვითელი პრესისაგან დაცვის ხერხსაც მიაგნო და საკუთარი ოჯახური ცხოვრების შესახებ ჟურნალისტებს არაფერს უმხელს, მხოლოდ შემოქმედების თაობაზე აწოდებს ფრიად მწირ ცნობებს. ის ცოლად გაჰყვა ავტომრბოლელ დარიო ფრანკიტს და გათხოვილი ქალის როლში, თავს მეტად ბედნიერად გრძნობს.

■

„ბარსას“ საბიუჯეტო დეფიციტმა 37 მილიონი ევრო შეადგინა

„ბარსელონა“ წმინდა საფეხბურთო სირთულეების გარდა, ფინანსურ კრიზისსაც განიცდის. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბოლოს, კატალონიური კლუბის ბიუჯეტის დეფიციტმა 36 მილიონი ევრო შეადგინა. ამასთან, სეზონის ბოლომდე ეს ციფრი შეიძლება 55 მილიონამდე გაიზარდოს. სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა კლუბის ხელმძღვანელობის მორიგ სხდომაზე „ბარსას“ პრეზიდენტმა, ენრიკ რეინამ. მისი თქმით, „ბარსელონის“ საერთო ვალი 98 მილიონი ევროა, თუმცა ივნისში შეიძლება ეს თანხა 47 მილიონამდე შემცირდეს. საქმე ის არის, რომ კატალონიურ კლუბს თანამგზავრულ ტელეარხ „ვია დიჯიტალთან“ ფინანსურად მომგებიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ეს ტელეარხი „ბარსას“ მატჩების ტრანსლაციის უფლებას ფლობს. კლუბსა და „ვია დიჯიტალს“ შორის ხელშეკრულება 2003 წლიდან 2008 წლამდეა ძალაში და ამ გარიგების საფუძველზე, „ბარსელონის“ ხაზინა წელიწადში 60 მილიონი ევროთი გამდიდრდება. რეინამ ისიც განაცხადა, რომ კატალონიური კლუბის ქონების საერთო ღირებულება, 2003 წლის დასაწყისისათვის 620 მილიონ ევროს შეადგენდა.

ეფენბერგმა სამიჯნურო ტატუ გაიკეთა

„ვოლფსბურგზე“ განაწყენებული შტეფან ეფენბერგი, თურმე თავს მშვენივრად გრძნობს. მაგალითად, ამას წინათ, მან მარცხენა მხარზე თავისი საყვარლის, კლაუდია შტრუნცის სახელის ინიციალი C ამოისვირინგა. გარდა ამისა, გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და „ბავარიის“ ყოფილ ნახევარმცველს საკუთარი სახელის პირველი ასოები – „ეფფე“ – და მისი და შტრუნცისათვის ბედნიერი რიცხვი 51-იც აწერია. „საშინლად მტკივნეული იყო, – განაცხადა ეფენბერგმა ერთ-ერთ ინტერვიუში, – მაგრამ ტატუს გაკეთება ამ ტკივილად ნამდვილად მიღირდა. ამჟამად კანზე კლაუდიასადმი ჩემი სიყვარულის სიმბოლო მაქვს ამოსვირინგებული“. თავად შტრუნცს კი, ანალოგიური სვირინგი უკვე დიდი ხანია, რაც აქვს. მარჯვენა წინამხარზე მას იგივე ბედნიერი რიცხვი – 51 და თავისი და ეფენბერგის ინიციალები – C და S აქვს ამოსვირინგებული. მიუხედავად იმ დიდი გრძნობისა, რასაც ერთმანეთისადმი შტეფანი და კლაუდია

განიცდიან, მათი სიყვარული იურიდიულად არ არის გაფორმებული. საქმე ის არის, რომ ორივე მათგანი ქორწინებას ჯერჯერობით, ნაადრევად მიიჩნევს. გაცნობებთ იმასაც, რომ ორიოდე დღის წინ გამოვიდა ეფენბერგის სკანდალური ბიოგრაფია, რომელშიც იგი თავისი ცხოვრების ბევრ უცნობ დეტალზე დაუფარავად მოუთხრობს მკითხველს.

ფეხბურთელის ცოლი სტრიპტიზს მოაწყობს

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრიტანული სერიალის, „საფეხბურთო ცოლების“ გმირი ქალბატონი, შეიძლება მამაკაცთათვის განკუთვნილი ცნობილი ადგილობრივი ჟურნალის გარეკანზე აღმოჩნდეს. ფოტოსერიაში დედიშობილა მონაწილეობისთვის ზოილაკერს 30 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ, თუმცა ჯერჯერობით, მსახიობს ჟურნალის მესვეურთათვის თანხმობა არ განუცხადებია. „ამჟამად დიდ საგონებელში ვარ ჩავარდნილი, – ამბობს 29 წლის ზოი, – იმის გააზრება, რომ ათასობით კაცმა უნდა მიხილოს, ძალიან მაშფოთებს. ამასთან, ჩემთვის უცნობია ისიც, თუ რა რეაქცია ექნება ამაზე ჩემს მეგობარ ბიჭს“. მიუხედავად მსახიობის ამგვარი განცხადებისა, ლაკერის ერთ-ერთი ახლობელი დარწმუნებულია, რომ „საფეხბურთო ცოლების“ მთავარი როლის შემსრულებელი, კამერის წინ დედიშობილა პოზირებაზე დათანხმდება: „ზოიმ რაც არ უნდა თქვას, მას, ისევე როგორც ყველა სხვა ქალს, დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ ხალხი მოხიბლოს. ამისთვის კი მას მართლაც ხელს უწყობს თავისი მიმზიდველი გარეგნობა.“ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თავად სერიალში ზოის გმირი სექსუალურ პარტნიორებს ცხვირსახოცებივით იცვლის და საწოლიდან საწოლში „მოგზაურობს“.

ეროტიკა და ქალთა ფეხბურთი

ამბობენ, რომ ფეხბურთი სპორტის მეტისმეტად სექსუალური სახეობაა. ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმებიან გერმანიის ქალთა პირველი ბუნდესლიგის გუნდის, „ტურბინ პოტსდამის“ მოთამაშეები – ლენა ჰოჰფილდი და ნავინა ომილადე, რომლებმაც ერთ-ერთი ადგილობრივი მხატვრის ნატურად გახდომა მოისურვეს. სპეციალურად გადაღებებისათვის, ცნობილმა გერმანელმა მოდელიერმა, ბეატა უზემ თავისი ორი საუკეთესო კაბა გამოიყენა, რომელიც თავად გოგონებსაც ძალიან მოეწონათ. სხვათა შორის, პოზირების სპეციფიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ მშვენიერ მომენტში მომხიბვლელ ფეხბურთელებს ტანისამოსი უნდა გაეხადათ. თავად ლენასა და ნავინას თქმით, მათთვის ძალიან დამაინტრიგებელი იყო ასეთ უჩვეულო ამპლუაში ყოფნა. „არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ არ გვრცხვენოდა, თუმცა, როდესაც კაბის გახდა მთხოვეს, წინააღმდეგობის გაწევა არც კი მიცდია,“ – ამბობს ლენა. „როდესაც საფეხბურთო კარიერას დავასრულებ, აუცილებლად გამოვისყიდი ამ სურათებს და ჩემს ოთახში დავკიდებ“, – დასძენს ნავინა.

ევროპაში როდსტერების სეზონი დადგა

Mercedes SLK

გაზაფხულზე, ევროპაში ტრადიციულად, როდსტერების სეზონი დგება. ზამთარში, ღია სპორტული ავტომობილები ჩვეულებრივ, ფარეხებშია შეყუჟული და გამოდარებას ელოდება.

ექსპერტთა პროგნოზების თანახმად, წლეულს, ყველაზე პოპულარულ როდსტერებს შორის იქნება: **Audi TT, BMW Z4, Mercedes SLK** და **Porsche Boxster**. იაპონელი ავტომწარმოებლები მომხმარებლებს შესთავაზებენ **Honda S2000**-ს.

როგორც წესი, ძვირად ღირებული როდსტერების სალონი, კლიენტის დაკვეთის მიხედვით მზადდება. იშვიათი ჯიშების ხის მასალის, მეტალისა თუ ტყავის დეტალები, ხელსაწყოთა პანელის ფერთა პალიტრა უამრავი კომბინაციის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს **Honda S2000** – მას სტანდარტული ხელსაწყოთა პანელი აქვს.

როდსტერის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია რბილი სახურავი. დღეს, ყველაზე საიმედოდ **Mercedes SLK**-ის კონსტრუქციაა მიჩნეული, რომელიც საუკეთესო ხმის იზოლაციასაც უზრუნველყოფს. **BMW**-ის დაპირებით, **Z4**-ის სახურავი სულ 10 წმ-ში გაიშლება და დაიკეცება. **Honda**-ს კონსტრუქციის ღირსება კი, მის სიმარტივეში მდგომარეობს.

მცირეგაბარიტიანი ავტომობილების დინამიკა, ძრავების სიმძლავრით მიიღწევა. მათ, აგრეგატების ფართო პალიტრა აქვთ: 2 ლ-იანი **Honda S2000**-დან – 3,2 ლ მოცულობის **Porsche Boxter**-ამდე. ავტომწარმოებლები მზად არიან, სისწრაფესა და დინამიკას, კომფორტულობის ხარჯზეც მიაღწიონ. როგორც წესი, როდსტერებს უმეტესად, ორი სრულყოფილი ადგილი აქვს – მძღოლის და მის გვერდით მჯდომი მგზავრის. მისი საბარგულიც ფაქტობრივად, სიმბოლურია. მაგალითად, **Z4**-სა და **Boxster**-ს 260 ლ მოცულობის საბარგო დანაყოფი აქვს, **Audi TT**-ს – 10 ლ-ით დიდი; მათზე რადიკალურები აღმოჩნდნენ **Honda S2000**-ისა (160 ლ) და **Mercedes SLK**-ს (145 ლ) მწარმოებლები.

როდსტერის შეძენა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. მათი საწყისი ფასები ევროპაში ასეთია: **Audi TT – 31.900, BMW Z4 – 32.500, Porsche Boxster – 42.108, Mercedes SLK – 32.248, Honda S2000 – 35.450** ევრო ღირს. მათზე ძვირად ღირებული მოდელებია: **BMW Z8, Jaguar XK8** და **Mercedes SL**. შედარებით იაფი როდსტერები, რომელსაც ე.წ. „სახალხოს“ უწოდებენ, **Mazda MX-5, Fiat Spider** და **Ford Streetka** გახლავთ. ■



Audi TT



Porsche Boxster

ბექჰემოფობია

დესაი ბექჰემს ეარშიყება

ამას წინათ, „ჩელსის“ მცველმა, მარსელ დესაიმ საკმაოდ დამაინტრიგებელი განცხადება გაკეთა. საქმე ის გახლავთ, რომ საფრანგეთის ნაკრების შავკანიანი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემს უფრო სექსუალურ ადამიანად თვლის, ვიდრე ანა კურნიკოვას. გარდა ამისა, 34 წლის მარსელი მიიჩნევს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი თვით ზინედინ ზიდანსა და რონალდოზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავია. „ბექჰემი ერთადერთი ფეხბურთელია, რომლის პერსონაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლისურ კულტურასა და შოუბიზნესთან, — ამბობს დესაი, — ამასთან, დევიდს იმავე ანა კურნიკოვასგან განსხვავებით, თავისი შემოსავლის უმთავრესი ნაწილი უშუალოდ სპორტიდან აქვს და არა რეკლამიდან. მე ვთვლი, რომ რუსი ჩოგბურთელი გარეგნულად უფრო ნაკლებად მომხიბვლელია, ვიდრე ინგლისის ნაკრების კაპიტანი. ამჟამად ყველა ცნობილმა სპორტსმენმა სერიოზულად უნდა განსაჯოს თავისი ყოველი ქმედება, რადგან იგი მოზარდთათვის მისაბაძი ობიექტია. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ბექჰემი სამართლიანად ითვლება მილიონობით გულშემატკივრის კერპად, განსაკუთრებული პოპულარობით კი იგი მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში სარგებლობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ბრწყინვალე ფეხბურთელია და ჩემი აზრით, თამაშის კლასით ზიდანსა და რონალდოსაც აღემატება“. სხვათა შორის, თავად დევიდ ბექჰემს დესაის მოსაზრებაზე არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია. ისე კი, რაში სჭირდებოდა ინგლისის წლევანდელ ჩემპიონს ფრანგი ფეხბურთელის ფლირტი — მას ხომ სახლში მშვენიერი ცოლი ჰყავს, ხოლო მთელი პლანეტის მასშტაბით მილიონობით ქალი ეტრფის?!

ბექჰემის ახალ სახლში მოჩვენებები გამოჩნდნენ

როგორც გაზეთმა „სანმა“ გაარკვია, ბექჰემების წყვილის ახალ ვილაში (უფრო სწორედ კი, ციხესიმაგრეში), რომელიც დევიდმა და ვიქტორიამ საფრანგეთში შეიძინეს, იმქვეყნიური ძალები დათარეშობენ, თუმცა ამის შესახებ, ბრიტანელი ვარსკვლავებისათვის თავიდან არავის არაფერი უცნობებია. ცნობილია ის, რომ შენობის ძველ მფლობელს, ამავე სახლში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუსრულებია, სადაც დაუსაფლავებიათ კიდეც. თურმე ვილის მეპატრონის თვითმკვლელობა და მისი მეუღლის ცხოვრება (რომელიც დღესაც ცოცხალია) იდუმალებითაა მოცული. ერთი სიტყვით, ბექჰემთა ახალ სასახლეში მოჩვენებები ცხოვრობენ. ვარსკვლავური წყვილის მეზობლებმა კი, როგორც კლასიკურ საშინელებათა ფილმებში ხდება ხოლმე, სახლის ძველი მეპატრონის თვითმკვლელობის მიზეზების შესახებ არაფერი იციან, სამაგიეროდ, „მანჩესტერისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს მოსვენებას არ აძლევენ ადგილობრივი სამოყვარულო საფეხბურთო გუნდის წარმომადგენლები, რათა დევიდმა მათთან ერთად ითამაშოს და თავისი ოსტატობის საიდუმლოც გაუზიაროს. ასე რომ, თუკი მომავალ ზაფხულს დევიდი და ვიქტორია თავიანთ ახალ სასახლეში გადაწყვეტენ დასვენებას, არც შინ და არც გარეთ ნამდვილად არ მოიწყენენ.

დევიდი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია

France Football-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დევიდ ბექჰემი პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი წელიწადში 15 მილიონ ევროს იღებს. მილიონი ევროთი უფრო ნაკლებს იღებს „რეალის“ ფრანგი ნახევარმცველი, ზინედინ ზიდანი. მესამე ადგილზე კი, ზიზუს ბრაზილიელი თანაგუნდელი რონალდოა, რომელიც წელიწადში 11,7 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ნიშანდობლივია ის, რომ პლანეტის ყველაზე მდიდარი ფეხბურთელების ოცეულში ოთხ-ოთხი მოთამაშით არიან წარმოდგენილი „რეალი“ და მილანის „ინტერი“, ხოლო სამი მოთამაშით „მანჩესტერი იუნაიტედი“. სრული სია კი, ასე გამოიყურება:

1. დევიდ ბექჰემი („მანჩესტერ იუნაიტედი“) — 15
2. ზინედინ ზიდანი („რეალი“) — 14
3. რონალდო („რეალი“) — 11,7
4. რიო ფერდინანდი („მანჩესტერ იუნაიტედი“) — 9,62
5. ალესანდრო დელ პიერო („იუვენტუსი“) — 9,55
6. ჰიდეტოში ნავატა („რომა“) — 9,36
7. რაული („რეალი“) — 9,3
8. კრისტიან ვიერი („ინტერი“) — 9,28
9. მაიკლ ოუენი („ლივერპული“) — 8,9
10. როი კინი („მანჩესტერ იუნაიტედი“) — 8,65

11-12. ლუიშ ფიგუ („რეალი“) — 8,6
11-12. გაბრიელ ბატისტუტა („ინტერი“) — 8,6
13. სოლ კემპბელი („არსენალი“) — 8,1
14. ოლივერ კანი („ბავარია“) — 7,65
15. ალვარო რეკობა („ინტერი“) — 7,6
16. ფრანჩესკო ტოტი („რომა“) — 7,3
17. რივალდო („მილანი“) — 7,2
18. ტიერი ანრი („არსენალი“) — 6,2
19. ფაბიო კანავარო („ინტერი“) — 6,08
20. პაოლო მალდინი („მილანი“) — 6.

თანხები მოცემულია მილიონ ევროში

„ფეშენ ფართების“ წვიმა თბილისში

ამ კვირაში თბილისში კიდევ ერთი „ფეშენ ფართი“ მოეწყო. საღამოს ორგანიზატორები იყვნენ ლადო ბურდული და მოდელების სააგენტო „ამსა“ (ხელმძღვანელი – სოფო ჭყონია). საზღვარგარეთიდან ჩამოსულები იყვნენ: FashionTV-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფრანსუა ტილე (ეს საღამო ნაჩვენები იქნება FTV-ის ეთერში), „ფორდ მოდელის“ სააგენტოს წარმომადგენლები – ჯენი ლესქუა და მია მელიავა (რომელიც წარმოშობით ქართველია) და ამავე სააგენტოს მოდელები ფანი ვორენი და იოჰანა ზიკოვა. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო სააგენტო „ამსას“ 7 მოდელის შერჩევა, რომელსაც საფრანგეთში წაიყვანენ. ორი მათგანი – თიკა სიხარულიძე და დაშა ფირსანოვა სტუმრებთან ერთად უკვე გაემგზავრნენ პარიზში.



საღამოს დაწყებამდე, ერთ-ერთ ორგანიზატორს – **ლადო ბურდულს** ვესაუბრეთ:

— თქვენ ხართ ამ ყველაფრის ორგანიზატორი?

– FTV-ის დირექტორის ჩამოყვანა საქართველოში ჩემი დახმარებით მოხდა, რადგან ფრანსუა ჩემი მეგობარია, მაგრამ დღევანდელი საღამო მხოლოდ ჩემი მოწყობილი არ არის.

— ეს ყველაფერი მხოლოდ დღევანდელი მოვლენით შემოიფარგლება თუ კიდევ რაიმეს გვპირდებით?

– ამ კონკრეტულ სიტუაციაში, „ამსასთან“ ვთანამშრომლობ. მე და სოფიკო ჭყონია ალბათ კიდევ საინტერესო გეგმებს განვახორციელებთ.

— ამ „ფეშენ ფართის“ თუ აქვს რაიმე საერთო, გასულ კვირას გამართულ „აფრიკულ ფეშენ ფართისთან“?

– ნინო იოსელიანი, 9 თვის წინ, ფრანსუას მე გავაცანი. მაშინ მე და ნინო ერთობლივად ვაპირებდით ასეთი „ფართის“ გამართვას, მაგრამ რატომღაც ნინომ დამოუკიდებლობა არჩია...

— დღევანდელი საღამო რა სახით იქნება ნაჩვენები FTV-ზე?

– ეს იქნება ორწუთიანი კლიპი, რომელიც თვე-ნახევრის განმავლობაში იტრიალებს FTV-ის ეთერში.

სულ მალე, საღამოც დაიწყო. თავდაპირველად, სცენაზე „ამსას“ მოდელები ვიხილეთ, რომლებსაც „ამსას“ ფირმის მაისურები ეცვათ. მოგვიანებით, სცენაზე ხათუნა გოგოლაშვილის მიერ შექმნილი კოლექციის ჩვენება შედგა. კოლექციაში, ძირითადად, საღამოს კაბები იყო წარმოდგენილი. ამის შემდეგ, „ამსას“ მოდელებმა დიზაინერ გიორგი ფანცულაიას კოლექცია გვიჩვენეს. არც ერთ მოდელს სახე არ უჩანდა, რადგან დიზაინერის ჩანაფიქრით, ნიღბები ეფარათ, ხელებზე სამკლავურები ჰქონდათ წამოცმული და ფეხშიშველები იყვნენ. კოლექცია შავ-თეთრი ფერებით შემოიფარგლებოდა. კოსტიუმებს ძველი ქართული შტრიხებიც ამშვენებდა. ფანცულაიას შემდეგ, სცენაზე დიზაინერ გიორგი ნადირაძის კოლექციით შემოსილი მოდელები გამოჩნდნენ. ავანგარდული სტილის კოლექციაში მრავლად იყო სპორტული დეტალი და მასში სამხედრო ფორმის შეფერილობის ქსოვილი ჭარბობდა.

ჩვენება დამთავრდა, მაგრამ მოსკოვიდან მოწვეულმა DJ-იმ – მის მელორმა მაყურებელს ენერგიული მუსიკა შესთავაზა და გათენებამდე მხოლოდ ქართველები კი არა, საფრანგეთიდან ჩამოსული სტუმრებიც დიდი ენთუზიაზმით ცეკვავდნენ. ■

კატრინ დენევისა და ელვის პრესლის ახალი სახეები ქართულ კლიპში

11 მაისს, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ მარიკა თხელიძისა და სოსო თოლორაიას დუეტზე – „ქვეყანა აირია“ გადაღებული კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. კლიპის რეჟისორი ბასა ფოცხიშვილია, ტექსტი ეკუთვნის კოტე ყუბანეიშვილს, ხოლო მუსიკა – კოტე ნიშნიანიძეს.

კლიპში ბარბის თოჯინასავით მორთული მარიკა, კატრინ დენევის, ხოლო სოსო – ელვის პრესლის როლს ასრულებს. მასში კომპიუტერული და მულტიპლიკაციური კადრების სიუხვეა. გადაღება „ელიავას“ ბაზრობაზე მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც თემურ თათარაშვილმა თქვა, კლიპის ფერები ბასასეულიაო.

ამ საკმაოდ მხიარული კლიპის ორჯერ ჩვენების შემდეგ, სცენაზე ჯგუფი ავიდა და გადაღებების დეტალებზე ისაუბრა. კოტე ყუბანეიშვილმა ხმამაღლა გამოაცხადა: უკვე შექმნილი მუსიკისთვის ტექსტის დაწერა აღარავინ მთხოვოს, მაინც აღარ დავწერო.

შემდეგ, სცენაზე პოპულარული მომღერლები ცვლიდნენ ერთმანეთს და სტუმრებს საცეკვაოდ უხმობდნენ, თუმცა ისედაც, იმდენი ხალხი ცეკვავდა, რომ გავლასაც კი ვეღარავინ ახერხებდა.

საღამო კვლავ ახალი კლიპის ჩვენებით დასრულდა. ■

ლათინურამერიკული სტილის ფრანგული სამოსის დეფილე პრიზების გათამაშებითა და „ალა-ფურშეტით“ დაგვირგვინდა



სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ მაღაზია „ლამაზმანის“ პრეზენტაცია გაიმართა. მართალია, თვით მაღაზია ჯერ მხოლოდ ერთი თვისაა, მაგრამ კომპანია „ფუეგოს“ პროდუქცია, რომელსაც ეს მაღაზია წარმოგვიდგენს, უკვე 20 წლის მანძილზე წარმატებით სარგებლობს საფრანგეთში და აი, ჩვენამდეც მოაღწია. პრეზენტაცია იმ მარკის მოდელების ჩვენებით დაიწყო, რომლებიც სააგენტო „ნატალის“ და „იმიჯ-ცენტრის“ გოგონებმა წარმოადგინეს. ჩვენება რვა განსხვავებული კოლექციისგან შედგებოდა, მაგრამ ყველა კოსტიუმი ლათინურამერიკულ სტილში იყო გადაწყვეტილი, რაზეც კოლექციების სახელწოდებებიც მეტყველებდა: „მამბო“, „ტეკილა“, „ტანგო“, „ლა ჩიკა“ და სხვ.

კოსტიუმები უმეტესად, ჯინსის, ბამბის, კრეპისა და ვისკოზისგან იყო შესრულებული. რაც შეეხება ფერებს – დომინირებდა თეთრსა და შავ ფონზე შესრულებული ორნამენტი. თუ „ფუეგოს“ დავუჯერებთ, ამ ზაფხულს, კვლავ მოდაში იქნება სქელი, დეკორატიული ქამრები და ქვედაბოლოები, „აჭრილი“ კალთით. წამყვანების მიერ დასაწყისში დაპირებული სიურპრიზი, ჩვენების ბოლოს, შავ კაბებში გამოწყობილი ექვსივე მოდელის ერთდროულად გამოსვლა იყო; მათ კაბებზე გამოსახული წარწერა სიტყვა „ფუეგოს“ შეადგენდა; გოგონებთან ერთად, ამ ჩვენებისთვის საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოსული, კომპანია „ფუეგოს“ ვიცე-პრეზიდენტიც წარდგა პუბლიკის წინაშე.

ქართველი დიზაინერებიდან დარბაზში მხოლოდ ავთო ცქვიტინიძეს და თათა ვარდანაშვილს მოვკარით თვალი. ავთომ ცოტა ხანს თვალი ადევნა სცენას და მალე გაქრა თვალთახედვიდან, თანაც ისე, რომ დეფილეს შესახებ მისი აზრის შეტყობაც ვერ მოვასწარით. აი, თათა ვარდანაშვილს კი, ბოლომდე არ დაუტოვებია დარბაზი.

ჩვენების დამთავრებისთანავე, სცენა „ლამაზმანის“ კოსტიუმებში გამოწყობილმა ქართველმა მომღერლებმა დაიკავეს. კონცერტი ლელა წურწუმიამ გახსნა, მას ნატო დუმბაძესთან ერთად მოსული ბუკა მანაგაძე მოჰყვა, შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: „ენსი“, ცისანა სეფიაშვილი, ნატო მეტონიძე, ეკა კვალიაშვილი, თათია გიორგობიანი. მომღერლების გამოსვლებს შორის, წამყვანი – გოგიჩა (გიორგი გოგიჩაიშვილი) და მსახიობი ნატო ჩხეიძე სპონსორების მიერ წარმოდგენილ პრიზებს ათამაშებდნენ. გარდა ამისა, მაყურებლები „ფუეგოს“ პროდუქციითაც დასაჩუქრდნენ, რითიც ძალზედ კმაყოფილნი დარჩნენ.

პრეზენტაციას სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებიდან მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ. საღამოს დასრულებისთანავე, საპატიო სტუმრები „ალა-ფურშეტზე“ მიიწვიეს. ■

მსოფლიო ჩემპიონი ოთხი შვილის მამა და მესამე კურსის სტუდენტია

„DJ ბუკლეს“ (ჟურნალი „რეიტინგი“) სტუმარი, მსოფლიო ჩემპიონი გიორგი ასანიძე თაყვანისმცემლებთან შესახვედრად მარტო მოვიდა. კერპთან შესახვედრად, როგორც ბიჭები, ასევე გოგონებიც შეიკრიბნენ.

მსოფლიო ჩემპიონმა, რომელსაც სულ ერთი თვის წინ, ხარებას (7 აპრილს) ტყუპი ქალ-ვაჟი – სალი და საბა შეეძინა, ხმამაღლა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს და არჩევის შემთხვევაში, მხოლოდ სიმართლეს ემსახურება.

შემდეგ ისაუბრა შვილებზე – როგორც ტყუპზე, ასევე მათ უფროს და-ძმაზე – 7 წლის მარიამსა და 3 წლის ირაკლიზე, რომლებიც თურმე არც ისე ცელქები ყოფილან. გიორგიმ სინანულით აღნიშნა, რომ სპორტის გამო, სასმელს ვეღარ სვამს

და სიგარეტსაც ხანდახან, ისიც ვიღაცის ხათრით ეწევა. ჩემპიონმა ასევე გაგვიმხილა, რომ არ უყვარს ყავა და ტკბილეული და დასძინა: ეს ალბათ ნევროზის ბრალიაო...

„ვახტანგ გორგასლის“ II და III ხარისხის ორდენოსანი ჩემპიონი უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია.

შეხვედრის ბოლოს, გიორგიმ თავისი ფოტოებიანი ბუკლეტები ცელოფანის პარკში მოათავსა, ერთ-ერთ ბუკლეტს ხელი მოაწერა, შემდეგ გულშემატკივრებს სათითაოდ ამოაღებინა და ვისაც ხელმოწერილი ბუკლეტი შეხვდა (ერთ-ერთი გოგონა), გამარჯვებულადაც ის დაასახელა და საჩუქრად ორი პატარა შტანგა გადასცა.

„DJ ბუკლეს“ მორიგი სტუმარი ჯგუფი „სეიშენი“ იქნება. ■

„რეაქტიული კლუბის“ პოეტური ფეიერვერკი



9 მაისს, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ „რეაქტიული კლუბის“ 13 წლისთავი აღინიშნა. სადღესასწაულო „ალა-ფურშეტის“ შემდეგ, კოტე ყუბანეიშვილმა მუსიკის ფონზე წაიკითხა საკუთარი ძველი და ახალი ლექსები. ხმის ტონსაც და სხეულის მოძრაობასაც მუსიკას უწყობდა და პოეზიისა და მუსიკის სინთეზირებას ცდილობდა.

პოეტმა აღნიშნა: ძველი ლექსები ჩემია, მაგრამ ახლა რომ ვკითხულობ, ჩემი არ მგონია, რადგან მაშინ, თეთრ ლექსებს ვწერდი, ახლა კი რითმაზე „ვზივარო“. ერთსაათიანი გამოსვლის შემდეგ, კოტე ყუბანეიშვილმა სცენა „რეაქტიული კლუბის“ მეორე წევრს – ირაკლი ჩარკვიანს დაუთმო, რომელმაც ორსულ მეუღლესთან ერთად, ასევე თითქმის ერთსაათიანი რეპერტუარი შეასრულა.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კლუბის შესასვლელთან კოტე ყუბანეიშვილის ლექსების კრებულის ჩანაწერებიანი კომპაქტდისკი იყიდებოდა. ■

მტარვალი ჰიტლერი, თვალებგაბრწყინებული სტალინი და აცრემლებული კვალიაშვილი...

თითქმის ნახევარწლიანი მზადების შემდეგ, 9 მაისს, სპორტის სასახლეში ეკა კვალიაშვილის სოლო კონცერტი – შოუდადგმა „იმპერია“ გაიმართა. მომღერალს მოწვეული ჰყავდა ომის ვეტერანები. თავად ეკა, კონცერტის დასაწყისში, სცენაზე ძველი დროის, გაურკვეველი მარკის ავტომანქანით მოგვევლინა. შოუს მსვლელობისას, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის სხვადასხვა მოვლენა გაცოცხლდა: მომღერალი ხან ჯიბგირი ქალის, ხან კომისრის, ხან კურტიზანი ქალის როლში წარმოგვიდგა. საღამოზე 20-მდე ძველი პოპულარული ჰიტი შესრულდა, უმეტესად – რუსული.

კონცერტში 80-მდე მსახიობი მონაწილეობდა. შოუს დამდგმელი რეჟისორი გოჩა კაპანაძე, მთავარი ქორეოგრაფი – ეკას მეუღლე ბესო ბაკურაძე იყო. მონაწილეობდნენ ანსამბლი „მამული“, „შოუდანსი“, პანტომიმის თეატრის მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები. შოუს დასაწყისშივე მტარვალი ჰიტლერი ვიხილეთ, რომელიც აღფრთოვანებული იყო მომღერალი ქალით, ხოლო მალე, სცენაზე გამარჯვებით თვალებგაბრწყინებული სტალინიც გამოჩნდა.

კონცერტი ეკამ დაასრულა სიმღერით – „День победы“. ამ დროს, მომღერალი სცენიდან ჩამოვიდა და ყველა ვეტერანი თითო წითელი ვარდით დაასაჩუქრა, რის შემდეგაც, ეკას გული აუჩუყდა და სცენაზე აცრემლებული დაბრუნდა. თუმცა, არა მხოლოდ საღამოს მთავარი გმირი, არამედ ძალიან ბევრი მაყურებელიც გულამოსკვნილი ტიროდა.

კონცერტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მომღერალმა აღნიშნა, რომ შოუ „იმპერია“ საკუთარ ქვეყანას და ხალხს უძღვნა. მას კომერციული დატვირთვა არ ჰქონია, თუმცა ეკამ აქვე აღნიშნა, რომ თუ სადმე მიიწვევენ, უკვე კომერციული მხარით დაინტერესების შემთხვევაში გამართავს კონცერტს. უახლოეს დღეებში, რუსეთში გამგზავრება და კონცერტის იქ წარმოდგენაა დაგეგმილი. მოგვიანებით, იმავე კონცერტს მომღერალი ბერლინის დანგრეული კედლის ადგილზე ჩაატარებს. იგი დარწმუნებულია, რომ ეს მას დიდ წარმატებას მოუტანს. ■

„ვია სლივკი“ თბილისში

როგორც ცნობილია, 13 მაისს თბილისს გოგონათა ჯგუფი – „ვია სლივკი“ ესტუმრა, რომელმაც „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ გამართა კონცერტი. ნახევრად შიშველი, ლამაზი გოგონების სცენაზე გამოსვლას დარბაზში დიდი ხმაური და ოვაცია მოჰყვა. ჯგუფის წევრები ქართულად მოგვესალმნენ და რამდენიმე ენერგიული სიმღერა შეასრულეს. შემდეგ გამოაცხადეს: ამ სიმღერებს ყველა შეყვარებულს ვუძღვნითო, – და სამი სევდიანი სიმღერა შემოგვთავაზეს.

დარბაზში მყოფებმა ჯგუფის მთელი რეპერტუარი ზეპირად იცოდნენ, რაც თავად „სლივკის“ წევრებსაც გაუკვირდათ. მიკროფონები დარბაზისკენ მოაბრუნეს და სიმღერა – „Метели“ მაყურებლის შესრულებით მოისმინეს. სხვათა შორის, დარბაზში მოცეკვავეთა შორის, ჯგუფი „რონდო“, ქეთი წიკლაური და შოუბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც შევამჩნიეთ. ■

მოამზადეს ნათია ქივიძემ და ლიკა ლუბენეცმა

მეც ალბათ ბევრმა ხალხმა ვიცი ეს მაგალითი: ადამიანი ეკრანზე ერთ-ერთ პოლიტიკოსად ქცეულა

დათო მელიქიშვილი მხატვარ-ვიზაჟისტია. იგი უკვე სამ წელზე მეტია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში მუშაობს. დათოს მის სამუშაო ოთახში შევხვდი. არცთუ ისე იშვიათად, დათოს ჟურნალისტებისათვის ტელემაკიაჟის გაკეთება ეთერში გასვლამდე სულ სამი-ოთხი წუთით ადრე უწევს ხოლმე. მაგრამ ვიზაჟისტი ექსტრემალურ პირობებში მუშაობას შეჩვეულია და ასეთ სიძნელეებს არ უშინდება.

ლალი მესხი

— ეკრანზე რამდენი სახეც არის — იქნება ეს ეკა ხოფერია, დათო კიკალიშვილი, ნათია ლაზაშვილი, ნანა ლეჟავა თუ ნათია ზამბახიძე — ტელემაკიაჟი ისე უნდა გაუკეთდეს, რომ თითოეულმა თავისი ინდივიდუალური სახე არ დაკარგოს.

— ტელევიზაჟის ძალას ჩვენ, მაყურებლებიც ხშირად ვამჩნევთ. მაგალითად, ასე მოხდა ეკა ბერიძის შემთხვევაში, როცა ჟურნალისტმა რამდენჯერმე შეიცვალა ტელესახე.

— ძალიან აქტუალურ თემას შეეხეთ. როცა ეკა ბერიძე „რუსთავი 2“-ში მოვიდა, მას გარკვეული ტელეიმიჯი უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული: გრძელი თმა და „ჩოლკა“, რომელიც თითქმის მთლიანად უფარავდა სახეს. ერთი სიტყვით, ეგვიპტელ ფარაონს წაგავდა. „რუსთავი 2“-მა გადაწყვიტა, აბსოლუტურად შეეცვალა მისი ტელესახე და ეს უშუალოდ მე დამევალა. მინდა გითხრათ, რომ ეს არ იყო ადვილი და მარტივი. ვსინჯეთ ყველაფერი, ამ საქმეში კომპიუტერიც ჩაერთო, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა — ვერაფრით მივაგენით იმ ვარცხნილობას, რომელიც ამ შემთხვევაში მისაღები იქნებოდა ჩვენთვისაც და მაყურებლისთვისაც. სხვა გამოსავალი არ იყო — ჩემი პროფესია, მხატვრობა უნდა გამომეყენებინა და ჩანახატების კეთება დავიწყე. შედეგიც მივიღე: რამდენიმე დღეში ეკა ბერიძე დაემშვიდობა თავის გრძელ თმას და ეკრანზე აბსოლუტურად სხვა სახით გამოჩნდა. „ჩოლკის“ დამოკლებასთან ერთად, შეეცვალა წარბების ფორმაც. მისი ტელესახის შექმნა, რა თქმა უნდა, ამით არ დასრულებულა, მასზე მუშაობა თვეების მანძილზე გრძელდებოდა და იგი დღითი დღე იხვეწებოდა. ასეა ნებისმიერი ტელესახის შექმნისას.

— რა არის თქვენთვის ის ძირითადი პრინციპი, რომელზეც უარს არასოდეს ამბობთ და რა საერთოა მხატვრობასა და ტელემაკიაჟს შორის?

— ტელევიზაჟი იგივე როდია, რასაც დღის ან ღამის მაკიაჟს ვეძახით. ის სრულიად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან თუ ტელემაკიაჟის წესებს დაარღვევ, ხელში შეგრჩება ვულგარულობა ან, უკეთეს შემთხვევაში, ე.წ. პოდიუმის მაკიაჟი. ტელევიზაჟი უშუალოდაა დამოკიდებული საეკრანო გამოსახულების ხარისხზე. ჩემი პრინციპი ასეთია: ჟურნალისტი არ შეიძლება გახდეს სხვა ადამიანი, არ უნდა დაიკარგოს მისი ინდივიდუალური სახე, რომლის რადიკალურად შეცვლა არ შეიძლება.

— ტელეჟურნალისტები, რომლებთანაც მუშაობთ, პრეტენზიულები არიან?

— ბუნებრივია, მაკიაჟში კორექტირების შეტანის სურვილი მათ უჩნდებათ ხოლმე. ეს მე სრულებით არ მაღიზიანებს. თუ საჭიროდ ჩავთვლი, მათ რჩევებს ვიზიარებ კიდეც.

— პოლიტიკოსებისთვის მაკიაჟის გაკეთება მათი სურვილით ხდება ხოლმე თუ ეს აუცილებელია ეკრანზე გამოსვლისას?

— რა თქმა უნდა, აუცილებელია. თუმცა, ამის შეგნება ბევრს ძალიან გაუჭირდა. ერთ-ერთი პოლიტიკოსი მამაკაცი (მას შეგნებულად არ დავასახელებ) მაკიაჟზე კატეგორიულ უარს აცხადებდა და სავარძელში არც ვჯდებოდა იმის შიშით, თითქოს ამით მამაკაცობას დაკარგავდა. პირდაპირ მითხრა — არ დავჯდებიო. გავოგნდი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ბოლოს ეს ვუთხარი: ამ ოთახში მამაკაცები როგორც შემოდიან, ასევე მამაკაცებად გადიან-მეთქი... სხვათა შორის, დღეს ეს პოლიტიკოსი მორჩილად იტარებს საჭირო პროცედურას — ეტყობა, შეეჩვია. სამი წლის წინ, ტელევიზაჟი ახალი ხილი იყო და პოლიტიკოსებთანაც ხშირად ამიტომ მქონდა კონფლიქტი. ზედმეტ შეკითხვებსაც აღარ სვამენ. ეს მათთვის უკვე ჩვეულებრივი პროცედურაა, როგორც ღილით პირის დაბანა. ნინო ბურჯანაძემ კი, იცით, რა ოცნება გამიზიარა?

— საინტერესოა.

— იმ ლაქზე ვოცნებობ, რომელიც ტელემაკიაჟს სახეზე დამფიქსირებს და ორი-სამი დღე შემინარჩუნებსო. აი. ასეც ხდება!

— მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავებიდან, რომლის „დახატვას“ ისურვებდით?

— არ დაგიმალავთ, ჩემი ოცნებაა, ვიმუშაო ლინდა ევანგელისტასთან, ჯონ მალკოვიჩთან, ბრიუს უილისთან, ნასტასია კინსკთან. ეს შეიძლება, მხოლოდ სურვილად დამრჩეს, იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ ჩვენგან შორს, ასე ვთქვათ — „სხვა პლანეტაზე“. თუმცა, ერთხელ მეც გამიღიმა ბედმა.

— რას გულისხმობთ?

— ტანია მარიას გავუკეთე მაკიაჟი, ეთერში გასვლამდე. ეს ქალბატონი სავარძელში ქანდაკებასავით უძრავად იჯდა, თავისი სახე მთლიანად მე მომანდო. ეს მე ვიგრძენი და აღტაცებული დავრჩი. როცა მის სახეს ბოლო შტრიხი შევმატე, ტანია მარია ფეხზე ადგა და ხელებზე კოცნა დამიწყო. არ დამავიწყდება მისი სიტყვებიც: მე ასეთი ლამაზი არასდროს ვყოფილვარო!..

ნინო ბურჯანაძე

ეკა ბერიძე

კორტნი ლავი: „გვესაჭიროთმა ქალღმერთმი!“

დაუდგრომელი ხასიათით გამორჩეულ კორტნი ლავს, თავისი სადებიუტო სოლო ალბომის ჩაწერის ბოლო ეტაპზე, მოულოდნელად, საკონცერტო ჯგუფის კადრების პრობლემა გაუჩნდა. კორტნიმ ამ დელიკატური საკითხის, ისევე, როგორც მის ცხოვრებაში ოდესმე არსებული ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა, თავადვე იკისრა და თანაც საამისოდ ძალზედ იოლი მეთოდიც გამონახა. მან ნიუ-იორკის გაზეთ „ვილეჯ ვოისში“ შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „შეუერთდი კორტნი ლავს – გახდები ცნობილი და ქვეყანასაც ნახავ! გვესაჭიროება: ბასისტი ქალი და გიტარისტი ქალი, რომლებიც რეალურად ფლობენ ინსტრუმენტს და ამასთან ქალღმერთის გარეგნობაც აქვთ. ყმაწვილკაცებს ვთხოვთ, ტყუილად თავს ნუ შეიწუხებენ და ნუ გამოგვეხმაურებიან“.

კორტნი იმედოვნებს, რომ მისი სადებიუტო ალბომი – America`s Sweetheart-ი ზაფხულისთვის გამოვა. ალბომში შემავალი სიმღერების უმეტესი ნაწილის თანაავტორია Non Blondes-ის ყოფილი ვოკალისტი – ლინდა პერი, რომელიც კრისტინა აგილერასა და პინკის სიმღერების ავტორიც გახლავთ.

People პლანეტის ულამაზეს ადამიანთა სიას აქვეყნებს

ჟურნალ People-ში გამოქვეყნდა პლანეტის ულამაზეს ადამიანთა 50-კაციანი სია. ჟურნალის გარეკანს ჰოლივუდის კინოვარსკვლავის ჰოლი ბერის ფოტოსურათი ამშვენებს, რომელიც People-ს ვერსიით, მსოფლიოს უმშვენიერეს ქალბატონადაა მიჩნეული. ჟურნალში გამოქვეყნებულ ულამაზეს ქალბატონთა სიაში აგრეთვე შევიდნენ: მსახიობები – ნიკოლ კიდმანი, ჯულია რობერტსი, სელმა ჰაიეკი, ჯენიფერ ენისტონი, სიუზენ სარანდონი; მომღერლები – ნორა ჯონსი და ბრიტნი სპირსი. ამ უკანასკნელმა ჟურნალის მკითხველებს თავისი სილამაზის საიდუმლოც გაუმხილა. ბრიტნის თქმით, იმისათვის, რომ კარგად გამოიყურებოდე, ბევრი უნდა იძინო. ყველაზე ლამაზი მამაკაცების სიას, ყველასათვის მოულოდნელად, სათავეში მოექცა მსახიობი ეშტონ კატჩერი, რომელმაც პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც ითამაშა კომედიაში – „სად არის ჩემი მანქანა, ძმაო?“ ამ რეიტინგში მის გარდა შევიდნენ: ბენ აფლეკი, ჯორჯ კლუნი, ლეონარდო დი კაპრიო, ჰიუ ჯეკმენი, ასევე რამდენიმე სპორტსმენი და ერთი ფლამენკოს მოცეკვავეც კი.

ნიკო გომელაურის აუდიოკრებული

„XXI საუკუნის ფრანსუა ვიიონი“ – ასე მიმართა ვახუშტი კოტეტიშვილმა ნიკო გომელაურს „თავისუფალი თეატრის“ სცენიდან, პოეტის აუდიოწიგნის პრეზენტაციაზე.

„... ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა“... – ასე დაასათაურა ნიკომ აუდიოწიგნი, რომელშიც 43 ლექსია შესული. მუსიკალური რიგი გრიბოედოვისა და „თავისუფალი თეატრის“ მუსიკალურმა ხელმძღვანელმა, კოტე მალანიამ მოამზადა. საღამო საკმაოდ უჩვეულო გამოვიდა. მუსიკის ფონზე ნიკომ რამდენიმე ლექსი წაიკითხა, შემდეგ კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრმა“ მისი სამი ლექსი: „გულში გვალვა შევიფერე“, „წელიწადის ყველა დროს“ და „შეყვარებული მსახიობის მონოლოგი“ – პლასტიკაში გააცოცხლა. ნიკომ სიმღერაშიც სცადა ბედი და „უცნობთან“ ერთად, საკუთარ ლექსზე დაწერილი – „მზეს ველოდები“ და ლადო ასათიანის – „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“ იმღერა. შეკრებილმა საზოგადოებამ ერთხმად აღნიშნა, რომ ნიკოს, სიმღერაც ძალზედ კარგად გამოსდის. მერე სცენაზე მსახიობი რამაზ იოსელიანი ავიდა და თქვა: „სულ კლასიკოსებს ვკითხულობ ხოლმე. მინდა, შენც კლასიკოსი გახდე და მერე ვიამაყო, რომ შენი თანამედროვე ვარ“, – და ნიკოს ლექსი წაიკითხა.

ცნობილია, რომ ნიკოს არ უყვარს, როცა მის ლექსებს სხვები კითხულობენ. საღამოს ბოლოს, ვკითხე: თუ მოგეწონათ რამაზის წაკითხული ლექსი-მეთქი?

– მომეწონა ის, რომ რამაზს გაუჩნდა სურვილი, წაეკითხა ეს ლექსი. რამაზი გენიალური მსახიობი და ჩემი ძმაკაცია. თუმცა, საერთოდ წინააღმდეგი ვარ, რომ ჩემი ლექსები წაიკითხონ, ყოველ შემთხვევაში – სანამ ცოცხალი ვარ... ისე, აუდიოწიგნით კმაყოფილი ვარ. წერ იმისთვის, რომ ის, რაც დაგროვილი გაქვს, დახარჯო და გასცე. თუ არ გაეცი, შეიძლება მოკვდე ან თავი მოიკლა. როცა ენერგიას გასცემ, მსუბუქი ხდები. სიმსუბუქე კი კარგი გრძნობაა...

„როცა მუსიკას ვქმნიდი, ამოსავალი წერტილი ჩემთვის, ის ემოცია იყო, რაც ნიკოს ლექსებმა მომცა ერთი კვირის განმავლობაში. დღე და ღამე ამაზე ვმუშაობდი. ძალიან ცხოვრებისეული, ნამდვილი და მართალი ლექსებია. რაც შეეხება მის სიმღერას – მთავარი ის არის, თუ როგორ ხასიათს გამოსცემს და როგორ ბუსუსებს დააყრის მსმენელს. ნიკოს ეს არა მხოლოდ სიმღერით, ლაპარაკითაც შეუძლია“ – თქვა კოტე მალანიამ.

ავთო ვარსიმაშვილმა, პოეტი გომელაური, ვლადიმირ ვისოცკის შეადარა; მსახიობ რუსუდან ბოლქვაძეს, თეთრ პერანგში გამოწყობილმა ნიკომ, გურამ რჩეულიშვილი გაახსენა; აღტაცებულმა მიხეილ ქვლივიძემ კი მითხრა: „სწორედ ის, რაც მეგონა – ჩემს შემდგომ თაობას აკლდა, – ნიკოს ჭარბად აქვს მომადლებული: ეს არის მოქალაქეობრივი გრძნობა. ჭირივით სძულს მაძღარი კრეტინები, იდეოლოგიის იდიოტები, რომლებსაც ისევ უნდათ, საქართველო „კომუნისტურ სამოთხეში“ დააბრუნონ. მინდა მას ვუთხრა სიტყვები:

ეს უქომაგო წიგნია,
შეუპოვარი ერთობ,
ცოდვაა მისი დამწერი –
შენ შეეწიე, ღმერთო!“

... ბევრი ლექსი ნიკოს, მეუღლისთვის – ნინა ჩოდრიშვილისთვის აქვს მიძღვნილი. რამდენიმე მათგანი აუდიოწიგნშიც არის შესული. „ბედნიერი ადამიანი ვარ იმიტომ, რომ მისი ბევრი ლექსი მე მეკუთვნის, მაგრამ ყველაზე მეტად მომწონს მისი „უაზრო ლექსი“ – რომელიც არ არის ჩემზე დაწერილი“... – ამბობს ქალბატონი ნინა. ის ლექსი კი, რომელიც მას ასე ძლიერ მოსწონს, ასე მთავრდება:

წიგნი ივსება ნელა,
არაფერს დავწერ ზედმეტს...
და როგორც ლექსი ყველა,
უაზრო არის ესეც...

ნათია თენიეშვილი

თქვენი პატარა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გოლიათები და ცეროდენები

ოჯახში დიდი სიხარულია, როცა გოლიათი მემკვიდრე იბადება. მაგრამ განა ცეროდენა მასზე ნაკლებია? არის თუ არა ახალშობილის დიდი წონა მისი კარგი ჯანმრთელობის მაჩვენებელი?

ნორმალური ახალშობილის წონა

დაბადებისას ბავშვის წონა თუ 2500 გ-ს აღემატება, იგი ნორმალურად ითვლება. 2500-2700 გ წონის ახალშობილებს პედიატრები პატარებად არ მიიჩნევენ. ასეთი წონის მქონე ცხრათვიან ბავშვს არ ესაჭიროება განსაკუთრებული კვება, ჩაფუთნა, ზედმეტად გამთბარი ოთახი. ზოგჯერ მშობლებს სურთ, ცეროდენა პატარას მეტი აჭამონ, რომ მალე მოსუქდეს... ისინი ბავშვს აძლევენ ნორმაზე ოდნავ მეტ საკვებს, შედეგად კი ამოქაფებას ღებულობენ.

არ შეიძლება ცეროდენას გადატვირთვა საკვებით. ასეთი პატარა, შედარებით ნაკლებს ჭამს, ვიდრე გოლიათი ახალშობილი, მაგრამ მისთვის ეს საკმარისია. უბრალოდ მას სხვა კონსტიტუციური აღნაგობა აქვს. იგი შეჭამს თავის ნორმას, ნორმალურად განვითარდება, ყველა პარამეტრში დაეწევა თავის თანატოლებს და ერთი წლის შემდეგ, შესაძლოა მათზე ნაკლებსაც აღარ იწონიდეს.

მცირეწონიანი ახალშობილი

ბავშვები, რომელთა წონა 2,5 კგ-ზე ნაკლებია, ექიმთა განსაკუთრებულ ყურადღებას და მოვლას საჭიროებენ. პედიატრები მათ მცირეწონიან ახალშობილებს უწოდებენ.

მცირეწონიანი ბავშვის დაბადების მიზეზებია:

- ნაადრევი მშობიარობა;
- ჰიპოტროფია (უჯრედებისა და ქსოვილების კვების მოშლის გამო გადაგვარება);
- მრავალნაყოფიანი ორსულობა.

ნაადრევი მშობიარობისას დაბადებული ახალშობილის ძირითადი პრობლემაა არა მცირე წონა, არამედ ორგანიზმის ძირითადი სისტემების მოუმწიფებლობა. პატარას კიდევ უნდა ეცხოვრა დედის მუცელში რაღაც პერიოდი, მაგრამ უეცრად რაიმე მიზეზის გამო, იძულებული გახდა, მოვლინებულიყო ქვეყნად.

ნაადრევად შობილები იყოფიან: ძალიან დაბალი წონის – 1,5 კგ-ზე ნაკლები და ექსტრემალურად ნაკლები წონის – 1 კგ-ზე ნაკლები.

ადრე 1000 გ-იანი ახალშობილის გაჩენა კატასტროფად მიაჩნდათ, ამჟამად კი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციის თანახმად, 22 კვირის მუცლადყოფნის შემდეგ, ცოცხლად დაბადებული, 500 გ-ზე მეტი წონის მქონე ბავშვი უნდა გამოიზარდოს. წონით 1000-1200 გ-იანი ახალშობილისაგან გონებრივად და ფიზიკურად სრულყოფილი ბავშვი შეიძლება გაიზარდოს.

ზოგჯერ ბავშვი დროულად იბადება, მისი სიგრძეც ნორმალურია, მაგრამ წონა ძალიან მცირე – 1300-1500 გ. ეს ჰიპოტროფიაა. იგი გამოწვეულია დედის ავადმყოფობით: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით, ჰიპერტონიით (წნევით), ენდოკრინული სისტემის დარღვევებით... ჰიპოტროფიული ბავშვები შემდგომშიც ცუდად მატულობენ წონაში იმის მიუხედავად, რომ მათ განსაკუთრებულად კვებავენ. მთელი ცხოვრება ისინი შესაძლოა უჭმელებად დარჩნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, კარგად განვითარდნენ.

ახალშობილის ჰიპოტროფიის მიზეზი შეიძლება გახდეს დედის მავნე ჩვევები. თუ დედა ორსულობისას ეწევა სიგარეტს, ნაყოფი ცუდად ვითარდება და ნაკლებწონიანი იბადება.

მცირეწონიანია ახალშობილი, ტყუპი ნაყოფის დროსაც. ასეთი ნაყოფიც ვადაზე ადრე იბადება, რადგან დედის ორგანიზმს არ შეუძლია ტყუპის საერთო დიდი წონის ტარება.

პრობლემური გოლიათები

რაც შეეხება გოლიათ ახალშობილებს, რომელთა წონა 4 კგ-ს აღემატება, ისინი ექიმებს უამრავ თავსატეხს უჩენენ.

ჯერ ერთი, მათი გაჩენა ძნელია. დიდი ნაყოფის დროს ხშირია სამშობიარო ტრავმები, ამიტომ ექიმები ხშირად სთავაზობენ ასეთ მშობიარეს საკეისრო კვეთას.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დიდი წონის ახალშობილს აჩენს დაავადებული დედა, რომელსაც აქვს შაქრიანი დიაბეტის აშკარა ან ფარული ფორმა. მის მიერ გაჩენილი ყოველი შემდგომი ბავშვი სულ უფრო და უფრო დიდი წონის იქნება და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს ბავშვებიც ენდოკრინული დარღვევებით დაიბადებიან.

დიდწონიანი ბავშვები დაბადების შემდეგ, უფრო დიდხანს ადაპტირებენ. ჩვეულებრივ, ახალშობილს ახალ გარემოსთან შეგუებისათვის 3-5 დღე ჰყოფნის, ამ პერიოდის გავლის შემდეგ მისი ორგანიზმი იწყებს რიტმულ, ზომიერ მუშაობას, დიდწონიანებს კი ამისთვის 2 კვირა მაინც სჭირდებათ.

ჯანმრთელობისათვის ყველაზე უკეთესი, ახალშობილის საშუალო, ოპტიმალური (3-3,5 კგ) წონით დაბადებაა.

■

ქრონიკული პიელონეფრიტი

ქრონიკული პიელონეფრიტი თირკმლის ქსოვილის ქრონიკული ანთებაა, რომელსაც თან ახლავს შარდგამომტანი გზების დაზიანება. მას საფუძვლად უდევს შარდის გამოსვლისა და თირკმლის ინფექციისადმი მგრძნობელობის მოშლა. შარდის გამოტანა ირღვევა თირკმელ-კენჭოვანი დაავადების, შარდის ბუშტისა და შარდსაწვეთების ანთების, ორსულობის, შაქრიანი დიაბეტის და სხვა მდგომარეობათა დროს. ინფექცია თირკმელში შარდის ბუშტიდან აღმავალი გზით ხვდება, შარდსადენებიდან ან შარდსაწვეთებიდან მაშინ, როდესაც თირკმლებს დაკარგული აქვს თავდაცვის უნარი ანუ როცა დაქვეითებულია ადგილობრივი იმუნიტეტი.

მწვავე პიელონეფრიტი ქრონიკულისგან განსხვავდება არა მხოლოდ პროცესის სიმწვავით. ქრონიკული პიელონეფრიტის გამწვავებისას, მწვავეს მსგავსად, ჩნდება ყრუ, ხანგრძლივი ტკივილი და შემცივნების შეგრძნება წელის არეში. შარდვა ხდება ხშირი, მტკივნეული და, რაც მთავარია, მატულობს შარდის რაოდენობა, აღინიშნება ღამით შარდვა. ზოგჯერ ტემპერატურაც მომატებულია. ავადმყოფს აქვს ოფლიანობა. ქრონიკული პიელონეფრიტის დროს თირკმლებში ანთებითი კერის ადგილას ვითარდება შემაერთებელი ქსოვილი ანუ ქსოვილი, რომელსაც არ აქვს თირკმლის სტრუქტურა. ამიტომ თირკმლები იწყებს თავისი ფუნქციის დაკარგვას, ავადმყოფს კი უვითარდება ახალი სიმპტომები: შეშუპება (უფრო ხშირად სახეზე – დილაობით), წნევის მატება, ზოგჯერ ანემია – ჰემოგლობინისა და ერითროციტების რაოდენობის დაქვეითება. ქრონიკული პიელონეფრიტის მიმდინარეობა ხანგრძლივია, ერთმანეთს ენაცვლება გამწვავებისა და რემისიის (ჩაწყნარების) პერიოდები. ხშირად დაავადება ორსულობისას მწვავდება, რადგან ამ დროს მატულობს თირკმლების დატვირთვა. რემისია შეიძლება იყოს ხანგრძლივი, მრავალწლიანი. ქრონიკული პიელონეფრიტის არაკეთილსაიმედო მიმდინარეობის დროს, თირკმლებში ვითარდება შეუქცევადი ცვლილებები: სკლეროზირება, შეჭმუხვნა და თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ჩამოყალიბება.

მკურნალობისას გამოიყენება იგივე პრინციპები, რაც მწვავე პიელონეფრიტის დროს – ინიშნება ანტიბაქტერიული თერაპიის 10-14-დღიანი კურსი. ანტიბაქტერიული საშუალების შერჩევა დამოკიდებულია გამომწვევის სახეზე, რომელსაც ადგენენ შარდის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით. ქრონიკული პიელონეფრიტით დაავადებული ადამიანისთვის რეკომენდებულია სითხის დიდი რაოდენობით (არანაკლებ 1,5-2 ლ დღე-ღამეში) მიღება, „თირკმლის“ ბალახეულის გამოყენება. წნევის მომატებისა და შეშუპების დროს იზღუდება მარილის მიღება, ინიშნება წნევის დამწევი წამლები. ქრონიკული პიელონეფრიტის დროს, უმჯობესია კალციუმის ანტაგონისტების, ობზიდანის ჯგუფის (ანაპრილინი) პრეპარატების დანიშვნა. თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადელფანი, კლოფელინი, კაპტოპრილი მაღალი წნევის შემთხვევაში. შეშუპების დროს იყენებენ შარდმდენებს.

ქრონიკული პიელონეფრიტის ყველა სტადიაზე რეკომენდებულია საკვები, რომელიც შეიცავს ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს ნორმალური რაოდენობით და მდიდარია ვიტამინებით. კვების რაციონში უნდა შედიოდეს: რძე, რძის პროდუქტები, მოხარშული ხორცი, თევზი, ხილი და ბოსტნეული. დიდი რაოდენობით სითხე (2 ლ); სითხის რაოდენობა იზღუდება დაავადების მწვავე პერიოდში, თუკი დარღვეულია თირკმლების შარდგამომყოფი ფუნქცია.

რაციონიდან უნდა გამოვრიცხოთ ცხარე კერძები, სანელებლები, ხორცისა და თევზის ბულიონები, ყავა, ალკოჰოლური სასმელები.

დაავადების ლატენტურ (გამოუმჟღავნებელ) პერიოდში დასაშვებია 8-12 გ მარილი, გამწვავების დროს – 6-8 გ, ჰიპერტონიული სინდრომის დროს კი, იგი კიდევ უფრო უნდა შეიზღუდოს 2-4 გ-მდე. ანემიური სინდრომისას (სისხლნაკლებობისას), საჭიროა რაციონის გამდიდრება რკინით და კობალტით, რისთვისაც უნდა მიირთვათ: ვაშლი, მარწყვი, ბროწეული და სხვ. სასარგებლოა საზამთრო, ნესვი, გოგრა.

ქრონიკული პიელონეფრიტის მკურნალობის აუცილებელი პირობაა შარდის გამოტანის აღდგენა. ამისთვის თირკმლის დაწევისას საჭიროა სპეციალური ბანდაჟის ტარება. შეკრულობისას კი უნდა მოწესრიგდეს ნაწლავის ფუნქცია, რადგან მუცლის შებერვა არღვევს უროდინამიკას (შარდის გამოსვლას). ■

ელექტრონული ყური

ამიერიდან შესაძლებელია, სმენადაქვეითებულ ადამიანებს სმენის აპარატის ელექტროდები პირდაპირ სმენის ნერვთან მიუერთდეს. ასეთი უნიკალური ოპერაციები გაკეთდა პარიზის ტრაუსოს ჰოსპიტალში ქირურგების მიერ. სმენის აპარატი მონტაჟდება პაციენტის ყურის ნიჟარის უკან, ხოლო ელექტროდების მინიატურულ გამტარებსა და ნერვულ ბოჭკოებს შორის კონტაქტის ადგილი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდით დგინდება. ოპერაცია 2-3 საათი გრძელდება და შესანიშნავ შედეგებს იძლევა. ეს მეთოდი სპეციალურად ბავშვებისთვის შეიმუშავეს, რადგან მათ უჭირდათ ვეებერთელა სასმენი აპარატის ტარება, ხოლო იმპლანტანტი პრობლემებს არ ქმნის. მთავარია, დროულად შეიცვალოს ელემენტები მოწყობილობის გარეთა ნაწილში (ანტენასა და ბგერით პროცესორში). ■

საოცარი ფირფიტა

პოლონეთში შექმნეს სამედიცინო წებოვანი ფირფიტის სრულიად ახლებური სახესხვაობა. იგი მზადდება პოლიურეტანული ფირფიტისაგან და მცირე ჭრილობებისა და ნაკაწრების საიზოლაციოდ გამოიყენება. ახალი შესახვევი მასალის თვისებების წყალობით, ადამიანს შეუძლია თავისუფლად დაიბანოს ხელები, მიიღოს შხაპი და მსუბუქად გაიხეხოს კიდეც ნაჭრილობევი არე – წყალი ფირფიტაში ვერ აღწევს და იგი წყლის ზემოქმედებით არც ძვრება კანიდან, ვიდრე თქვენ თვითონ არ აიგლეჯთ. წყალგაუმტარობის მიუხედავად, პოლიურეტანი თავისუფლად ატარებს ჰაერს, რაც ჭრილობას დაჩირქებისაგან იცავს და აჩქარებს მის შეხორცებას. ■

რეზერვი თუ ჩიხი

– ექიმო, მოვკვდები?

– აუცილებლად!

სწორედ ეს „შავი“ ანეკდოტი შეიცავს პასუხს კითხვაზე: უსაზღვროა თუ არა ჩვენი რესურსები?

სიკვდილის ფაქტი

ჩვენი ორგანიზმის თითოეული უჯრედის შიგნით არის სპეციალური სტრუქტურები – ტელომერები. ნორმალური სიცოცხლისათვის მათი რაოდენობა უნდა იყოს 50, მაქსიმუმ 55, მაგრამ უჯრედის ყოველი გაყოფის შემდეგ, მათი რაოდენობა ერთით მცირდება და ხდება 49, 48 და ა.შ. და როდესაც იწურება უჯრედთა გაყოფის უნარი, დგება ბუნებრივი სიკვდილი.

ამდენად ჩვენი ზღვარი უჯრედთა 50-55-ჯერადი დაყოფა გახლავთ. საშუალოდ, ეს ერთი ტონა უჯრედია, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი გამოიმუშავებს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ასეთი რესურსებით 150 წელიც შეიძლება სიცოცხლე, მაგრამ მხოლოდ – ცივილიზაციისაგან მოშორებით და ხელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებში. აქტიური მოღვაწეობის ზღვარი 80-90 წელია. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ მოხუცებს კანი პერგამენტისმაგვარი უხდებათ, ძველი ტრავმებისა და დამწვრობების ადგილას კი უცნაური პიგმენტური ლაქები ჩნდება. ამ დროს უჯრედთა განახლების პროცესი შეფერხებულია.

ადამიანის კანის ზედაპირული ეპითელური შრე განახლდება:

- ხელებზე – ყოველდღიურად;
- სახესა და თავზე – 3 დღეში ერთხელ (ნუ დაუჯერებთ სარეკლამო რჩევებს, რომ შამპუნით თავის დაბანა ყოველდღიურადაა აუცილებელი);
- ტანზე – კვირაში ერთხელ (და ნუ ჩამოიხეხავთ მას ხშირ-ხშირად).

სისხლის უჯრედები განახლდება:

- ჩვეულებრივ ადამიანში – ყოველ 80 დღეში;
- სპორტსმენებში – 40 დღეში.

გულს შეუძლია შეიკუმშოს მხოლოდ 800 მილიონჯერ სიცოცხლის განმავლობაში.

ასე რომ, ადამიანის ფიზიოლოგიური რესურსები საკმაოდ მოკრძალებულია. პროფესიონალური სპორტი კი აჩქარებს თვითგანახლების პროცესს და ამიტომ ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ადამიანები და მანქანები

გამეფებულია აზრი, რომ ადამიანის ტვინის მხოლოდ 10% მუშაობს. სინამდვილეში კი ყოველთვის მთლიანად მუშაობს. მაშინაც კი, როცა გაზეთს კითხულობთ და თითქოს ტვინის მხოლოდ ის ზონები უნდა იყოს აქტივიზებული, რომელიც მხედველობაზე, კითხვასა და ლოგიკაზეა პასუხისმგებელი, სინამდვილეში დასაქმებულია სხვა ნეირონებიც, რომლებიც, მაგალითად, პასუხს აგებს თქვენი პოზის შენარჩუნებაზე. მართალია, ისინი ნაკლებად აქტიურია, მაგრამ მონაწილეობს სიგნალის გადაცემაში და ნებისმიერ მომენტში მზადაა ახალი დავალების შესასრულებლად.

ტვინი მართლაც 10%-ით რომ იყოს დატვირთული, ადამიანი 4 წუთში დაიღუპებოდა. სულ სხვა საქმეა, რამდენად ააქტიურებთ ამა თუ იმ ზონას. და აქ ისევ იბადება ერთი კითხვა: შეიძლება თუ არა ადამიანის შესაძლებლობების განვითარება? არა! შესაძლებელია მხოლოდ მათი რეალიზება. ტვინის გონებრივი და ფიზიკური რესურსები განსაზღვრულია დაბადებიდანვე მშობელთა გენებით და იმით, თუ რა მასალას (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) იყენებდა მომავალი დედა ახალი ნერვული სისტემის ასაგებად.

უბრალო ენით რომ ვთქვათ, როგორც არ უნდა მოვმართოთ „ზაპოროჟეცი“, იგი „მერსედესს“ ვერ გაუსწრებს. ამდენად, აზრი არა აქვს გენიოსთა მასშტაბურ ძებნას, რადგან ეს უნიკალური მოვლენაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ არა იმ ფუნქციათა განვითარებას, რომელიც არ არსებობს, არამედ იმის რეალიზებას, რაც მშობლებისაგან გვერგო. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ ეს? ძალიან მარტივად – მიეცით ტვინს სხვადასხვა დატვირთვა და თავად მიხვდებით საკუთარ შესაძლებლობებს.

ყველაფერს აქვს საზღვარი: უზომოდ რთული დავალების შესრულება არც დიდი შესაძლებლობების მქონე ტვინს ძალუძს. სწორი გზა, საკუთარი ტალანტის თანდათანობითი, საფეხურებრივი რეალიზაციაა. ■

ჭორფლი ბიზნესმენი ქალბატონებისათვის

ჭორფლიანი სახის მქონე ადამიანებს თან სდევს წარმატება ბიზნესში – ასეთი შედეგები აჩვენა ფრანგი დერმატოლოგებისა და ფსიქოთერაპევტების ერთობლივმა გამოკვლევებმა. აღმოჩნდა, რომ მათი გამომეტყველება დადებითად მოქმედებს საქმიან პარტნიორთა ქვეცნობიერებაზე, უნერგავს მათ ფირმის საიმედოობის რწმენას და ზრდის კონტრაქტის დადების შანსებს. პარიზელმა ვიზაჟისტებმა უკვე შექმნეს კიდეც ჭორფლის საიმიტაციო კოსმეტიკური საშუალებები, სპეციალურად საქმიანი ქალბატონებისათვის. ■

რაც მეტია კბილების რაოდენობა, მით უფრო ჯანმრთელია გული

ადამიანებს, რომელთაც 25-ზე ნაკლები კბილი აქვთ, გულის იშემიური შეტევის გადატანის 57%-ით მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ კბილებიან თანატოლებს – ასეთია ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევართა დასკვნები. 17-დან 24-მდე კბილის არსებობა რისკს 50%-ით ზრდის, ხოლო მათი რაოდენობის 6-11-მდე შემცირება – უკვე 74%-ით. კბილების რაოდენობის შემცირება გულის დაავადებებისათვის ახლა ისეთივე რისკის ფაქტორად ითვლება, როგორც სიგარეტის მოწევა. ■

ᲝᲚᲘᲕᲔᲠ ᲙᲐᲜᲘᲡ: ᲛᲔ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ ᲠᲝᲓᲘ ᲕᲐᲠ!

ჩვენს მკითხველს უკვე ვაუწყეთ „ბავარიის“ გოლკიპერის, ოლივერ კანის სახელის გარშემო აგორებული სკანდალის შესახებ, რომელიც თანამედროვე გერმანული ფეხბურთის სიმბოლოსა და დისკოკლუბის თანამშრომელ, ვინმე ვერენას რომანმა გამოიწვია. ცოტა ხნის წინ კი, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა უკვე სხვა მხრივ მიიპყრო გერმანული ყვითელი პრესის ყურადღება. ოლივერი შეიძლება იმის გამო დააჯარიმონ, რომ „ბავარიის“ ვარჯიშზე Ferrari-თ მივიდა (როგორც Bild-ი იუწყება, ამ ავტომობილის ღირებულება 150.000 ევროს შეადგენს). საქმე ის გახლავთ, რომ მიუნხენური კლუბის ყველა მოთამაშე ვალდებულია ვარჯიშზე Audi-თ მივიდეს – ავტომობილების მწარმოებელი ეს კომპანია ხომ „ბავარიის“ ერთ-ერთი სპონსორია. კანმა კი, მეორედ დაარღვია ხელშეკრულება. ოლივერის ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამია, რომ მან ნაჩუქარი Audi ცოლ-შვილს დაუთმო. „თავად განსაჯეთ, – ამბობს ფეხბურთელი, – ნუთუ Ferrari საოჯახო ავტომობილია? არავითარ შემთხვევაში. მე არ შემეძლო, რომ გამერისკა და მეუღლე სპორტული მანქანის საჭესთან დამესვა. ხოლო იმდენად, რამდენადაც იძულებული ვიყავი, რომ Audi მეუღლისათვის დამეთმო, ვარჯიშზე მისვლა Ferrari-თ მომიხდა. აბა, სამსახურში ტაქსით ხომ არ მივიდოდი?..“

სხვათა შორის Ferrari-სთან დაკავშირებულმა მითქმა-მოთქმამ მაინც მეორე პლანზე გადაიწია, რადგან უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან შესაძლოა, ოლივერ კანი სხვა კლუბში ვიხილოთ. ჯერჯერობით Bild-ი ევროპული საკლუბო ფეხბურთის ოთხ გრანდს – „რეალს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „მილანს“ და „ბარსელონას“ ასახელებს, რომელსაც გერმანელი მეკარის შეძენა სურს. „საიდუმლო არ არის ის, რომ მე ყველაფერს „ბავარიაში“ მივაღწიე. ახლა მითხარით, როგორ შეიძლება ჩემს მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ახალი მიზნები დაისახოს. გუნდში ეს ჩემი მეცხრე სეზონია და საკუთარი თავი მთლიანად „ბავარიას“ მივუძღვენი. როდესაც შენ უცხოეთში აპირებ თამაშს, საკუთარი პროფესიონალიზმის დამტკიცება თავიდან მოგიწევს, ყველაფერს ხელახლა იწყებ“, – ამბობს ოლივერი Bild-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. 33 წლის კანის კონტრაქტი მიუნხენურ კლუბთან 2006 წელს იწურება. აღსანიშნავია ის, რომ მარტში „ბავარიის“ მთავარმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიცეფილდმა თავისი შეშფოთება გამოხატა სახელოვანი გოლკიპერის მიუნხენიდან შესაძლო წასვლის გამო. ოლივერის სხვა კლუბში გადასვლის მთავარ მიზეზად კი, მის ოჯახურ სკანდალს ასახელებენ. ამას წინათ, გერმანულ გაზეთებში ვერენას ახალი სკანდალური ფოტოები გამოქვეყნდა. ერთ-ერთ მათგანში კანის საყვარელ კუნძულ იბიცაზეა გადაღებული. იგი ქვიშაზე ზის, მის ფეხებს შორის კი ვიღაც მამაკაცის სახე მოჩანს. თუ ვინ არის იგი, გაურკვეველია. სამაგიეროდ, ყველასათვის ნათელია ის, თუ რითია დაკავებული იმ მომენტში ვერენას ინკოგნიტო თაყვანისმცემელი. სხვა ფოტოზე ვერენას უკვე ცნობილი გერმანელი ტელეწამყვანი ეფერება უკანალზე. „კანთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მგვრის. რაც შეეხება მის მეუღლეს... მეცოდება. კანი მეუბნებოდა, რომ მასთან განქორწინებას აპირებდა. სიმონეს დაფიქრება მოუწევს – ხომ არ არის თავად ის ამ ყველაფერში დამნაშავე? ცოლთან ნორმალური ურთიერთობებისას მამაკაცები გვერდით აღარ იხედებიან. რაკი ოლი განქორწინებაზე ფიქრობდა და საუბრობდა, თანაც მისი მეორე ბავშვის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, მას ალბათ ამისთვის სერიოზული მიზეზიც ჰქონდა“, – განაცხადა ვერენამ, თუმცა მას ოცნება არ აუსრულდა, რადგან ოლივერმა არჩევანი მაინც ოჯახის სასარგებლოდ გააკეთა. „არჩევანი ცოლ-შვილის სასარგებლოდ გავაკეთე. სიმონესთვის ეს ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მაინც მაპატია. ამჟამად ცხოვრებაში სერიოზული პერიოდი დამიდგა. ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყო. თავიდან უნდა დავუმტკიცო ცოლსაც და სხვებსაც, რომ არამზადა არ ვარ“, – აცხადებს კანი. თუმცა ამჟამად ის და მისი ოჯახი მაინც დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. ალბათ სწორედ ამიტომაც არ არის გამორიცხული ის, რომ იგი მომავალი საფეხბურთო სეზონიდან ესპანეთში, იტალიაში ან ინგლისში ვიხილოთ. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ „ბავარიის“ გოლკიპერის დღეში აღმოჩნდნენ ფრანც ბეკენბაუერი (მან საკუთარ მდივანთან გააბა რომანი და მასთან ბავშვიც ეყოლა) და ბორის ბეკერი, რომელსაც ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა რუს მეძავ, ანჟელა ერმაკოვასთან. ამის გამო კაიზერ ფრანცსა და ბორისს გერმანიის პურიტანული საზოგადოება აუმხედრდა. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება ამჟამად ოლივერ კანიც, რომელიც არც მალავს თავისი განვლილი ცხოვრების დეტალებს: „დისკოთეკაზე ადრეც დავდიოდი. მე ხომ წმინდანი არა ვარ!...“ ■



ვერის დღმ-რთზე მნ მო-ლა ვერა-ლი ბრალი

მოცარტის ოპერაში ფი ვადლ-ხურია

კუთხის შუაზე გამყოფი

მოხეტიალე მეფოკუსე ბერი ინდოეთში

ყვავილი

დიდი ფასის მქონე

თანამედროვე ინგლისური სამეცნიერო ცეკვა

ისლან-დიის დედაქა-ლაქი

სახედარი

ბატის ხმა

დაფერა ლთა ამრეკის ქვეშეში შუადღისას

სამონა-დირეო ძაღლის ჯიში

დაავადება

მოლანის „ინტერის“ თურქ ფეხბურთელი

ინგლი-სელი ფეზბურ-თელი

საღებავე-ბიანი ფიცარი

აფრიკის უმაღლესი მწვერვა-ლი

გერმანიის დედა-ქალაქი

სამუშაო

ფოლადგა-მომდნობი კომპანია გერმანიაში

ვერმნული ფუტბალ-ტი „ფენ“-ის პროტოტიპი

თამაქის ბრიტანული კორპო-რაცია

აზერბაიჯა-ნის პრეზი-დენტი ... ალიევი

ყოვლის მძლე (საბა)

ავტორი რომანისა „წითელი და შავი“

ხალხთა ისტორიუ-ლად მყარი ერთობა

ფეთქებადი ნივთიერება

ძვირფასი ქვა

უმაღლესი კასტის წარმომადგ. ინდოეთში

შესაძლო შედეგი სპორტში



გერმანე-ლი მწერლები, ძმები

ბრტყელი ყაბაყი

„ბოშათა ბანაკ ცას მიმგზავრეა“ (მსხ.)

ბერძნულ-რომაული ფეხსაცმე-ლი

იაპონური ფირმა

მეგრული ფაფა

რაიონული ცენტრი აფხაზეთში

ღრმა, ბნელი სპატიმრო ორმო

პროფე-სიონალი მოჯირ-ითე

პერსონაჟი ფალაშვილის ოპერიდან „დაისი“

ნაპოლეო-ნის პირველი მხატვარი

XVIII-ს შოტლანდ. ფილოსოფ. და ეკონომისტი

ბახუსის დღესას-წაული

შეადგინა რამაზ ალანიამ

21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ.

კვირის (19 – 25 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

მარხვეი – 22/V-21/VI

ამ კვირაში გაბედულება და შესაძლოა, ავანტიურისტული გადაწყვეტილებების მიღებაც კი მოგიხდეთ. რაც უფრო აქტიური და ენერგიული იქნებით, მით უფრო მეტს მიაღწევთ. ფორტუნა თქვენს მხარესაა. თუმცა, უქმე დღეებში სჯობს, დაისვენოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

შესაძლოა, კრედიტორებმა ძველი ვალის დაბრუნება მოგთხოვონ, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ უსიამოვნებას ასცდეთ. კვირის შუა პერიოდში, საქმეები აგეწყობათ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის, დიდი ყურადღება გმართებთ, რათა თავიდან აიცილოთ ყოველგვარი უსიამოვნება.

ლომი – 23/VII-23/VIII

ეცადეთ, დიდი დაკვირვება გამოიჩინოთ ყველა საქმის კეთებისას და მაქსიმალურად დაიზღვიოთ თავი შეცდომებისგან: ამ კვირაში, ბევრი ისეთი საკითხის მოგვარება მოგიწევთ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი მომავლისათვის. ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ, მაგრამ უქმეებში მაინც, დასვენება სჯობს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

თქვენი ნათესავისა თუ თანამშრომლის დასასვენებლად წასვლა დამატებით საზრუნავს გაგიჩენთ. თუმცა, ეს შეიძლება, მხოლოდ კვირაში ერთხელ, ყვავილების მორწყვით შემოიფარგლოს. სამაგიეროდ, ნებისმიერი მსგავსი „განსაცდელი“ კეთილად დაგიბრუნდებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

ეს კვირა კარგ პერსპექტივას გადაგიშლით. შესაძლოა, ისეთ მოგზაურობაშიც კი წახვიდეთ, რომელზეც ხშირად გიოცნებიათ. ასეც რომ არ მოხდეს, ბევრი სასიამოვნო და დასამახსოვრებელი შეხვედრა გელით. თანაც, ახალმა კონტაქტებმა შეიძლება, დიდი ფინანსური წარმატება მოგიტანოთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

გამახვილებული ინტუიცია სამსახურში წარმოქმნილი რთული სიტუაციების შეფასებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. თუმცა, არც გამოცდილი, ბრძენი კოლეგების რჩევები გაწყენთ, ამიტომ დროდადრო, მათი რჩევების გათვალისწინებასაც ნუ ითაკილებთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ეს კვირა ბევრ სიხარულს მოგიტანთ – როგორც ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე სამსახურებრივ საქმიანობაში. კვირის შუა პერიოდში, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ და სერიოზულ გარიგებებს მოერიდოთ. უქმეებში, მუზეუმს ან თეატრს ეწვიეთ; საინტერესო წიგნიც სიამოვნებას მოგანიჭებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ამ კვირაში უამრავი პრობლემა გექნებათ გადასაჭრელი. ეცადეთ, დაღლილობა და გაღიზიანება, გარშემომყოფთა მიმართ უდიერი დამოკიდებულებით არ გამოხატოთ. და კიდევ – ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

მერწყული – 21/I-19/II

თუ აქამდე, სასიყვარულო „ფრონტზე“ დაგიგროვდათ პრობლემები, ახლა ზუსტად ის დრო დგება, როცა აქტიურ მოქმედებებზე უნდა გადახვიდეთ. თქვენი მიმზიდველობა და სექსუალურობა იმდენად თვალში საცემია, რომ საპირისპირო სქესის წარმომადგენლები მზად არიან, საკმაოდ ადვილად დაჰყვნენ თქვენს ნებას.

თევზები – 20/II-20/III

ამ კვირაში რაღაც საქმის ნულიდან დაწყება მოგიწევთ. შეიძლება, ეს ახალი სამსახური იყოს ან იმ ადამიანთან ურთიერთობის გაწყვეტა, რომელიც დიდად არ გეხატებათ გულზე. იოლ გზებს ნუ ეძებთ. გაითვალისწინეთ, რომ სხვისი აზრის მოსმენა და თვითკრიტიკა, თქვენი უმთავრესი კოზირებია.

ვერძი – 21/III-20/IV

თქვენი ნიშნისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდი დგება. მოჭარბებული კომუნიკაბელურობა და მომხიბლაობა გავლენიან ადამიანებთან დაახლოებაში შეგიწყობთ ხელს. ამას კი, დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენი კარიერისთვის.

კურო – 21/IV-21/V

დროა, სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი საკუთარ ფინანსურ საქმეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე თვის ბოლოს, სერიოზული პრობლემები გაგიჩნდებათ. ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად და საერთოდ, საქმიანი მოლაპარაკებისთვის ყველაზე ხელსაყრელი, უქმეები იქნება.



უკეთესი თქვენ ხელთაა

22 მაისიდან, თქვენი თვე იწყება და ბუნებრივია, გაინტერესებთ, თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს პერიოდი თქვენთვის.

ასტროლოგები საკმაოდ სასიკეთო პერსპექტივას გპირდებიან. ენერგიის მოზღვავება, სიხალისე, სიცოცხლის ტრფიალი თქვენი თანამდევი იქნება. ახალი ნაცნობობა, ძალზედ საინტერესო და დიდ გატაცებაში გადაიზრდება, თუმცა შეიძლება, თავიდანვე ამას ვერც მიხვდეთ. არადა, ცოტა ხანში, თქვენი ურთიერთობა ელვისებურად განვითარდება და ამასთანავე, ზედმეტი ვალდებულებებისგანაც სრულიად თავისუფალი იქნება, რაც მას განსაკუთრებულ ხიბლს შემატებს. ურთიერთობის ამგვარი სტილი ადრეც გიზიდავდათ, მაგრამ შესაფერისი პარტნიორი აქამდე, არ შეგხვედრიათ.

თუმცა, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს კავშირი, მით უფრო საფუძვლიანი გახდება. ამდენად, მალე, შეიძლება არჩევანის წინაშე დადგეთ: რა სჯობს – სტაბილური, ე.ი. ვალდებულებებით დატვირთული ურთიერთობა თუ ხანმოკლე რომანტიკა? არჩევანი თქვენზეა. მთავარია, კარგად აწონ-დაწონოთ თითოეული ნაბიჯი.

როგორია თქვენი თვითშეფასება?

1) შეგიძლიათ თუ არა, შეინარჩუნოთ სიმშვიდე დაძაბულ სიტუაციაში?

ა) არა, ეს გიჭირთ – 0;

ბ) მეტ-ნაკლებად – 1;

გ) თავისუფლად ინარჩუნებთ – 2.

2) გაგჩენიათ თუ არა ოდესმე ისეთი შეგრძნება, თითქოს რაღაც საფრთხე გემუქრებათ?

ა) არა, არასოდეს – 2;

ბ) არა, მაგრამ შესაძლებელია, რომ გაგიჩნდეთ – 1;

გ) ასეთი შეგრძნება ხშირად გეუფლებათ – 0.

3) ხომ არ შეგიმჩნევიათ საკუთარი თავისთვის, რომ ხშირად, უფრო დაძაბული ხართ, ვიდრე ამას სიტუაცია მოითხოვს?

ა) დიახ, საკმაოდ ხშირად – 0;

ბ) ძალიან იშვიათად – 1;

გ) არასოდეს, მუდამ ახერხებთ თავშეკავებას – 2.

4) ხშირად გიჩნდებათ თუ არა სინანულის გრძნობა წარსულის გახსენების დროს?

ა) დიახ, საკმაოდ ხშირად – 0;

ბ) არასოდეს – 2;

გ) ხანდახან – 1.

5) გრძნობთ თუ არა თავს სრულიად თავისუფალ და დამოუკიდებელ ადამიანად?

ა) დიახ, ყოველთვის – 2;

ბ) ხანდახან თავს შეზღუდულად გრძნობთ – 1;

გ) თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე მუდამ ოცნებობდით, მაგრამ ამაოდ – 0.

6) ნერვიულობთ თუ არა წინასწარ, მოსალოდნელი წარუმატებლობის გამო?

ა) დიახ, მუდამ – 0;

ბ) ცდილობთ, ამაზე წინასწარ არ იფიქროთ – 1;

გ) არ ნერვიულობთ; იმაზე ფიქრობთ, თუ როგორ შეიძლება საქმის სასიკეთოდ შემობრუნება – 2.

7) ხშირად გიჩნდებათ თუ არა საკუთარი თავით უკმაყოფილების შეგრძნება?

ა) დიახ, ხშირად – 0;

ბ) იშვიათად – 1;

გ) თითქმის არასოდეს – 2.

8) გქონიათ თუ არ ისეთი შემთხვევები, როცა აღელვების გამო, ადგილს ვერ პოულობდით და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდით?

ა) არასოდეს – 2;

ბ) თითქმის ყოველთვის – 0;

გ) ძალიან იშვიათად – 1.

9) მოხვედრილხართ თუ არა ისეთ სიტუაციაში, სადაც თავს შეზღუდულად და დაძაბულად გრძნობდით?

ა) თითქმის ყველგან ასე გრძნობთ თავს – 0;

ბ) ძალიან იშვიათად – 1;

გ) არასოდეს, თავს ყველგან თავისუფლად გრძნობთ – 2.

10) კმაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი ცხოვრებით?

ა) დიახ, სავსებით კმაყოფილი ხართ – 2;

ბ) ხანდახან უკმაყოფილებას გრძნობთ – 1;

გ) მუდამ გტანჯავთ საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობა – 0.

11) გიჩნდებათ თუ არა ისეთი შეგრძნება, რომ მუდამ საკმარისზე მეტი პრობლემა გაწუხებთ?

ა) დიახ, მუდამ პრობლემები გტანჯავთ – 0;

ბ) პრობლემები გაქვთ, მაგრამ ბევრი არა – 1;

გ) პრობლემა იმდენი გაქვთ, რამდენის მოგვარებასაც თავისუფლად ახერხებთ – 2.

12) ფიქრობთ თუ არა, რომ ბედნიერი ადამიანი ხართ?

ა) დიახ – 2;

ბ) ხანდახან – 1;

გ) საკუთარი თავი უბედურ ადამიანად მიგაჩნიათ – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-8 ქულა: ძალიან დაბალი თვითშეფასება გახასიათებთ და ეს, უპირველეს ყოვლისა, თქვენივე ბრალია. ძალიან მოკრძალებული ადამიანი ხართ და საკუთარ შესაძლებლობებს საერთოდ ვერ აფასებთ. მეტი გასაქანი მიეცით თქვენს ნიჭს და შემოქმედებით უნარს, იყავით უფრო თამამი და თავს უფრო ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ.

9-18 ქულა: ხანდახან თავი სუპერადამიანი გგონიათ, ხან კი, ისეთ სიტუაციაში ვარდებით, რომ დიდხანს გტანჯავთ საკუთარი უსუსურობის შეგრძნება. ეცადეთ, თქვენ კი არ მოერგოთ რაიმე სიტუაციას, არამედ თვით შექმნილი მდგომარეობა გამოიყენოთ თქვენს სასარგებლოდ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ თქვენ ეს შეგიძლიათ და ამით ცხოვრებასაც უფრო გაიმარტივებთ.

19-24 ქულა: საკუთარ თავზე საკმაოდ დიდი წარმოდგენა გაქვთ. ამაში ოჯახის წევრები და მეგობრებიც ხელს გიწყობენ. არ გიფიქრიათ იმაზე, რომ თქვენ ყოვლისშემძლე ადამიანი კი არ ხართ, არამედ უბრალოდ გიმართლებთ და მართლაც ერთგული ადამიანები გყავთ გვერდით?! ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე წარმოდგენა უნდა დაკარგოთ — უბრალოდ, ზომიერების დაცვა ყოველთვის საჭირო.

ჰოლივუდში ახალი „მატრიცის" პრემიერა შედგა

ლოს-ანჯელესში შედგა ფანტასტიკური ფილმის – „მატრიცა: გადატვირთვის" პრემიერა. ეს გახლავთ, 1999 წელს გამოსული პოპულარული სურათის – „მატრიცის" სიქველი. ეკრანებზე გამოსვლისთანავე, „მატრიცამ" თავისი ბრწყინვალე სპეცეფექტების წყალობით, კინოხელოვნებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. ასე რომ, საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ახალი ფილმის პრემიერას. მიმომხილველები დარწმუნებულნი არიან, რომ სიქველი უფრო დიდ შემოსავალს მოუტანს შემქმნელებს, ვიდრე „მატრიცა", რომელმაც თავის დროზე, 300 მლნ-ს მოუყარა თავი.

ლოს-ანჯელესურ პრემიერას დაესწრნენ ფილმის მონაწილე მსახიობებიც: კიანუ რივზი, ლოურენს ფიშბერნი, ჰუგო უივინგი, ორსული კერი-ენ მოსი, ჯად პინკეტ სმიტი და იტალიელი მონიკა ბელუჩი.

უკანასკნელი ორი წელი მსახიობებმა ავსტრალიაში კინოეპოპეის გადაღებებზე გაატარეს, სადაც „მატრიცა: გადატვირთვის" გარდა, კიდევ ერთი სერიაც გადაიღეს (სურათის მესამე ნაწილი ეკრანებზე წლის ბოლოს გამოჩნდება). მათ გადაღებები ლოს-ანჯელესშიც ჰქონდათ, სადაც სპეციალურად ფილმისათვის გაიყვანეს სამკილომეტრიანი ჩქაროსნული ტრასა, რომლის მშენებლობაც რამდენიმე მილიონი დაჯდა.

„მატრიცა: გადატვირთვის" მსოფლიო პრემიერა 23 მაისს შედგება. ■

„იქსის ადამიანების" შეუსაბამობები

ახალგამოსულ ფილმში – „იქსის ადამიანები–2" კინოფანატებმა 42 შეცდომა აღმოაჩინეს. მათ შორისაა, კადრიდან დოკუმენტებისა თუ ცხედრების სრულიად მოულოდნელი გაქრობა, ცარიელი ჭიქების თავისთავად შევსება და სხვა.

მაყურებლის მახვილ თვალს არც პირველ ფილმში არსებული ლაფსუსები გამოჰპარვია და ფანატებმა შეუსაბამობების სრული სია „კინოშეცდომების" საიტზე გამოაქვეყნეს. სიქველის ერთი შეცდომა მუტანტების პრეზიდენტთან სტუმრობისას ფიქსირდება. პრეზიდენტს გადასცემენ საქაღალდეს, რომელიც შემდგომ კადრში მაგიდიდან სრულიად მოულოდნელად ქრება. მეორე სცენაში მაგნეტო ჯარისკაცებს ხოცავს, რომელთა ცხედრებითაც მოფენილია არემარე. მაგრამ შემდგომ ეპიზოდში მოკლული ჯარისკაცების კვალიც კი არსად ჩანს. როცა ვოლვერინი სტაიკერს შვეულმფრენზე მიაჯაჭვავს, იგი მას მხოლოდ მკერდზე შემოახვევს ჯაჭვს. მოგვიანებით, სტაიკერი გათავისუფლებას ცდილობს და მაყურებელი აფიქსირებს, რომ მას ზურგს უკან ხელებიც გაკრული აქვს... ■

ამერიკული კინოხელოვნება და მისი ხეკოხდები

ჰოლივუდში გაიხსნა საზაფხულო სეზონი, რომელიც განსაკუთრებული შემოსავლიანობით აღინიშნება. ამჯერად, ფანტასტიკური ბოევიკის – „იქსის ადამიანების" სიქველის წარმატებულმა პრემიერამ, ყოველგვარ მოლოდინს გაადაჭარბა. ბრაიან სინგერის ფართოდ რეკლამირებულმა ფილმმა – „იქსის ადამიანები–2", კინოგაქირავებაში გამოსვლიდან პირველი სამი დღის მანძილზე, მხოლოდ აშშ-სა და კანადაში, 85,9 მლნ-ს მოუყარა თავი. მსოფლიო პრემიერა, კიდევ 93 ქვეყანაში შედგა, რომლის შემოსავალმაც 69,3 მლნ-ს მიაღწია. ასე რომ, ფანტასტიკურმა ბოევიკმა მხოლოდ ერთი „უიქენდის" განმავლობაში, საერთო ჯამში, 155,2 მლნ-ს შეგროვება შეძლო (ეს კი, 2000 წელს გამოსული პირველი ფილმის შემოსავალს ორჯერ აღემატება), რაც მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.

აშშ-ის ყველაზე წარმატებული პრემიერების სიაში „იქსის ადამიანები–2"-მა მეოთხე ადგილი დაიკავა (რეიტინგი შედგენილია მხოლოდ აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლების მიხედვით). პირველ ადგილს კვლავ ინარჩუნებს „ადამიანობობა" (115 მლნ), მას მოჰყვება „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა" (90,3 მლნ), მესამე ადგილზეა – „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" (88,4 მლნ). ■

ჰონკონგსა და ჩინეთში SARS-ის თემაზე მხატვრული ფილმებს ილებენ

„მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომის" (SARS) ეპიდემიის თემატიკამ კინოხელოვანთა ყურადღებაც მიიპყრო. აზიურ გრიპზე, რომელმაც ჩინეთში 219, ხოლო ჰონკონგში 204 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უახლოეს ხანებში ორ სრულიად დამოუკიდებელ ფილმს გადაიღებენ. ჩინეთსა და ჰონკონგში უკვე ქმნიან სცენარებს, რომლის სიუჟეტიც ეპიდემიის გამო, გამოცხადებული კარანტინის პირობებში ვითარდება. ფილმების ავტორები ცდილობენ, გაისიგრძეგანონ ტრაგედიის მასშტაბები, რომელმაც ადამიანების ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

დაგეგმილია, რომ სტივ ჩონგის სურათი „SARS-ის ქალაქი", რომელსაც ჰონკონგის სტუდია – „მანდარინ ფილმის" ბაზაზე გადაიღებენ, უკვე ა.წ. ივლისში გამოვა ეკრანებზე. ფილმში მოცემული იქნება სამი სიუჟეტი. პირველი ნოველა კარანტინის პირობებში ჩასახული სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. მეორის მოქმედება ატიპურ ვირუსთან ჰონკონგელი ექიმების უშედეგოთო ბრძოლას ასახავს. მესამეში გადმოცემულია ეპიდემიის გავრცელების მიზეზით გაკოტრებული ბიზნესმენის ამბავი, რომელიც თავს დამტყდარი ფინანსური კრახის გამო, ცდილობს, დაავადდეს პნევმონიით. ცნობილი გახლავთ ისიც, რომ SARS-ის თემაზე გადაღებულ ჩინურ ფილმში, მთავარ როლს დასავლეთში კარგად ცნობილი ჩინელი მსახიობი – გონგ ლი შეასრულებს. ■

ფოტოკუთხეები



ь 68/18

N10(44) 15/V-28/V.-2003.

ოჯახის მეუნიალი

საშეადიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

მთავარი თემა
სისხლი

პაპარა
ბალში მიდის

როგორ დავანებოთ
თავი მოწევას

სიყვარულიდან
განხეთქილებამდე

ინსულტი

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის